C M Y K

# საერთო გაზეთი

№50 (179) ● 7-13.XII, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათს და შაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## ram `Seayvara~ mixeil saakaSvils ase uceb biZina ivaniSvili?!



**მამუკა არეშიძე:**



iseTi intrigani, rogoric kokoiTia, aucileblad gamoiyenebs Sanss, ruseTi da saqarTvelo erTmaneTs daajaxos



## mTavrobis sxdoma haerSi...

## `ara puriTA, qarTvelobiT ganvicdi SimSils~



**რეზო ამაშუკელი:**

movuwodeb mTel saqarTvelos, gansakuTrebiT axalgazrdobas, gadavarCinoT `qarTuli ocneba~, davudgeT gverdiT ivaniSvilis ideas da nu vicxovrebT mxolod dRevandeli dRiT!



## ivaniSvils, `respublikelebs~ da `Tavisufal demokratebs~ saerTo Rirebulebebi aerTianebT

**მამუკა გიორგაძე:**

ivaniSvilis mTavari amocana isedac damarcxebuli saakaSvilis damarcxeba ki ara, qveynis Rirsebis dabruneba unda iyos!





## gorSi saakaSvilTan erTAd mTeli saqarTvelo forTxavda miwaze...




## kremlis Soki da gaSetereba

`marTvadi demokratiis~ epoqis dasasruli

## რედაქტორის სვეტი

მშვიდობა ომისთვის სამზადისიაო, ნათქვამია.

მშვიდობაა დღეს ქართულ პოლიტიკაში და ეს მშვიდობაც ომისთვის მზადებას ჰგავს, ჩვენი ომი კი, როგორც ქართველი პოლიტიკოსები ამბობენ, მომავალი საპარლამენტო არჩევნებია.

ფაქტობრივად, ამ „ომში“ გადაწყდება საქართველოს ბედი, ამიტომაც ამ არჩევნებს, თამამად შეიძლება ითქვას, ისეთივე მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, როგორც თავის დროზე დიდგორის ომს ჰქონდა და თუ ეს ასეა, ახლაც უნდა ჩაიხერგოს უკან დასახევი გზები, რომ ვიღაცას კვლავ არ წაუცდეს ხელი ერთი ტომარა ფქვილისკენ თუ შაქრისკენ, როგორც ეს წინა „ომების“, ანუ წინა არჩევნების დროს ხდებოდა.

სამწუხარო ფაქტია, რომ ქართველთა ერთი ნაწილი სამშობლოს გაყიდვას შეეჩვია და ეს სამარცხვინო საქმე შემოსავლის წყაროდ გაიხადა.



დიახ, მომავალი არჩევნები იქნება გადამწყვეტი ომი საქართველოსთვის, თუმცა არავინ იცის, როდის დაჰკრავს ბუკსა და ნაღარას „მთავარსარდალი“ და როდის დაინიშნება ეს „ომი?“

ამ ფაციფუცს თუ მივაყურადებთ, რაც სახელისუფლებო წრეებში დაიწყო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არჩევნები შორს არ არის.

მიხეილ სააკაშვილმა ახალი, სიდიდით მეორე ქალაქის — ლაზიკის მშენებლობა უნდა დავიწყოო — განაცხადა, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნები მალე იქნება.

კიწმარიშვილმა ვეფხვის კამარა შეკრა და გალავანს გადაევლო, — ანუ არჩევნები ახლოვდება.

ხელისუფლებამ პრესის გამავრცელებელ ჯიხურებს შეუტია, რაც იმის ნიშანია, რომ არჩევნები გაცილებით მალე დაინიშნება, ვიდრე ჩვენ გვგონია.



ეგზალტირებული მანდილოსნები სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გაჰყვირიან — მიშა, მიშას! ანუ არჩევნები კარს მოგვდგომია.

შეიძლება ერთ მშვენიერ დილას გაიღვიძოთ და კართან საარჩევნო ყუთი დაგხვდეთ...

ასე რომ, ძვირფასო ქართველებო, იყავით მშვიდად და ყოველდღე ემზადეთ „ომისთვის“, ანუ არჩევნებისთვის.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# ss `banki qarTus~ xelmZRvanelobis gancxadeba

**საქართველოს საბანკო სისტემის ერთ-ერთი წამყვანი კომერციული ბანკის ირგვლივ შექმნილია უაღრესად შემაშფოთებელი სიტუაცია.**

გასული კვირის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა უპრეცედენტო სადამსჯელო ოპერაცია, როდესაც ორი-სამი დღის განმავლობაში ოთხ ბიზნეს-ჯგუფს (14 იურიდიული და ფიზიკური პირი) 100 მლნ ლარის ღირებულების ქონება დაუყადაღა; ამით, ფაქტობრივად, არაუზრუნველყოფილი დატოვა სს „ბანკი ქართუს“ 70 მლნ ლარის საერთო მოცულობის საკრედიტო ვალდებულებები, რაც ბანკის საერთო საკრედიტო პორტფელის თითქმის 20 პროცენტია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იმ კომპანიების ქონებაზე, რომლებზეც საგადასახადო ორგანოს არ შეეძლო ძველი რიცხვით (სს „ბანკი ქართუს“ პირველადი იპოთეკის რეგისტრაციამდე) „აღმოეჩინა“ საგადასახადო დავალიანება (მაგ. კომპანია ახალი დაფუძნებულია), გასულ დღეებში დაჩქარებული წესით განხორციელდა ხსენებული კომპანიების ქონების განვადებით გასხვისება ისეთ კომპანიებზე, რომლებსაც შემდგომში „აღმოუჩინეს“ ან გააჩნდათ საგადასახადო დავალიანება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნასყიდობის ფასი არც ერთი ასეთი ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი არ არის და ის მყიდველმა უნდა გადაიხადოს მომავალში (მაგ. ერთი წლის შემდეგ). ეს ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებები თვალთმაქცურია და ისინი დაიდო მხოლოდ სს „ბანკი ქართუს“ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფინანსური ზარალის მიყენების მიზნით. ფაქტია ის გარემოებაც, რომ ხსენებული ნასყიდობის ხელშეკრულებები გაფორმდა ბიზნეს-ჯგუფებში შემავალ კომპანიებს შორის.

ასევე ჩვენთვის ცნობილია, რომ გასულ კვირას ბანკის უმსხვილესი მსესხებელი ბიზნეს-ჯგუფის აქციონერმა მიაღწია შეთანხმებას ერთ-ერთ პირთან 2012 წლის მარტიდან იმ ქონების მიქირავებაზე, რომელიც მან მოლაპარაკებამდე გაასხვისა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და რომლის რეალიზაციაც უახლოეს დღეებშია დაგეგმილი საჯარო აუქციონზე სახელმწიფოს სასარგებლოდ. ზემოთაღნიშნული ფაქტი ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს იმაზე, რომ ხსენებულ აქციონერს „ჩამორთმეული“ ქონების უპირობო დაბრუნების იმედი აქვს.

სამწუხაროდ, რეალობად იქცა ჩვენი საფუძვლიანი ეჭვები, რომ „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ კანონსა და „საგადასახადო კოდექსში“ ბოლო პერიოდში შეტანილი ცვლილებები, რომლებზეც არც საქართველოს ეროვნულ ბანკს, არც საბანკო სისტემის რომელიმე სუბიექტს და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქართველოში მოქმედ არც ერთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს არანაირი რეაქცია არ ჰქონია, გამოყენებული იქნებოდა სს „ბანკი ქართუს“ წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული ანგარიშსწორებისთვის.

ბანკის ინკასაციის მანქანის დაყაჩაღებამ და დიდი ოდენობით თანხის კონფისკაციამ, კლიენტებზე ფართომასშტაბიანმა ზემოქმედებამ, რამაც ბანკიდან 45 მლნ ლარის გადინება გამოიწვია, საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ბანკის ადმინისტრაციაზე პირდაპირმა და პერმანენტულმა ზეწოლამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო; ამიტომაც ხელისუფლება გადავიდა აშკარა ეკონომიკურ ტერორზე, რათა ფინანსურად ყველაზე უზრუნველყოფილ ბანკს იძულებით დაარღვევინოს საზედამხედველო ნორმატივები და დაუნიშნოს, ხელისუფლებისთვის ასე სასურველი, დროებითი ადმინისტრაცია.

ბანკი აფრთხილებს შესაძლო მყიდველებს, არ მიიღონ მონაწილეობა ისეთი სახის აუქციონებში, სადაც სს „ბანკი ქართუს“ პირველი რიგის იპოთეკის მიუხედავად ხორციელდება ბანკის მსესხებლების ქონებების გასხვისება საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად და უნებლიეთ არ გახდნენ ხელისუფლების უსამართლო ქმედებების თანამონაწილე.

სს „ბანკი ქართუს“ ხელმძღვანელობა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეწყვიტოს ბანკის მიმართ სადამსჯელო ოპერაციების განხორციელება და საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად მოგვცეს საშუალება, კეთილსინდისიერად ვემსახუროთ ქვეყნის ეკონომიკასა და ქართველ საზოგადოებას.

მივმართავთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საბანკო დაწესებულებებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლობებს საქართველოში: ახლა მაინც, როდესაც დღესავით ნათელი გახდა სს „ბანკ ქართუს“ წინააღმდეგ მიმართული და პოლიტიკურად მოტივირებული სახელისუფლებო ტერორი, ხმა აიმაღლონ უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ.

# biZina ivaniSvilis pressamdivnos gancxadeba

ბიძინა ივანიშვილი 60-მდე ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელს შეხვდა. ახალგაზრდებმა ბიძინა ივანიშვილს ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის საკუთარი ხედვა გააცნეს და არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს. თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილმა დაწვრილებით ისაუბრა იმ როლზე, რომელიც ახალგაზრდობას ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლაში აკისრია. ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დაახლოებით 3 საათი გაგრძელდა.



გამომდინარე იქედან, რომ მავანნი ცდილობენ „მაესტროს“ ირგვლივ მიმდინარე მოვლენები ბიძინა ივანიშვილის სახელს დაუკავშირონ, იძულებულნი ვართ კიდევ ერთხელ განვმარტოთ: ბიძინა ივანიშვილი მზად არის დაეხმაროს დამოუკიდებელ, თავისუფალ ჟურნალისტიკას და ამით დაეხმაროს სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების პროცესს. ბიძინა ივანიშვილის მიზანია არა ერთი რომელიმე კონკრეტული მედიასაშუალების ინტერესების დაცვა, არამედ ზოგადად თავისუფალი ქართული ჟურნალისტიკის მხარდაჭერა. ამ მიზნით აწარმოებდა და მომავალშიც გააგრძელებს ბიძინა ივანიშვილი შეხვედრებს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული მედიის წარმომადგენლებთან. ასე რომ ხმები ბიძინა ივანიშვილის მიერ ტელეკომპანია „მაესტროს“ შესყიდვის სურვილის შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება; იგი გარკვეულ პირთა ინტერესებს ემსახურება და პროცესების სხვა ჭრილში გადატანის მცდელობას წარმოადგენს.

ბიძინა ივანიშვილი არ აპირებს საზოგადოებისგან მალულად არანაირი მოლაპარაკების წარმოებას, მათ შორის მედიასაშუალების შესყიდვის თაობაზე და თუ მომავალში ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტს შეიძინოს ესა თუ ის მედიაკომპანია, ამის შესახებ საჯაროდ და ღიად განაცხადებს.

**ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო**

◆

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# ეროსია თუ ღლონტია, ორივე მიშას ყლორტია

ეროსი ახტა, დახტა და „მაესტროს“ გალავანზე გადახტა.

მართალია, მთლად დამოუკიდებლად ვერ მოახერხა ამის გაკეთება, მაგრამ უკნიდან თანამებრძოლები მიაწვნენ და ისიც როგორღაც გადააბობღდა საკმაოდ მაღალ გალავანს.

საინტერესოა, რომ ბ-ნ ეროსის გალავანზე გადავლება მაინცდამაინც მაშინ მოესურვა, როცა წინა ღამეს ეკა ბერიძესთან ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ შედგა, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცა.




ინტერვიუში ბევრი საგულისხმო და საყურადღებო რამ ითქვა, განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილის მისამართით.

დანამდვილებით და დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, ნამდვილად ამ ინტერვიუს უკავშირდება თუ არა ბ-ნ ეროსის მიერ განხორციელებული ეს „ტერაქტი“, თუმცა ეჭვის საფუძველი, რომ სწორედ გაღიზიანებულმა ხელისუფლებამ, პირდაპირ თუ ირიბად, უბიძგა კიწმარიშვილს ამ ნახტომის გასაკეთებლად, ნამდვილად არსებობს.



„ტერორისტებმა“ შენობის მეორე სართული დაიკავეს და კარები საგულდაგულოდ ჩაგმანეს.

ამასობაში მამუკა ღლონტის მეთაურობით დამფუძნებლებიც გამოჩნდნენ და ქვემოდან, ანუ პირველი სართულიდან სცადეს მეორე სართულზე გამაგრებული კიწმარიშვილის გამოძევება დისლოკაციის ადგილიდან, მაგრამ ამაოდ.

ორმხრივი „შეტევები“ ქვემოდან ზემოთ და ზემოდან ქვემოთ დიდხანს გაგრძელდა.

— ბანდიტი ხარ შენ, ყაჩაღი ხარ და შენი ადგილი ციხეშია, — უთხრა ღლონტმა ყოფილ საქმიან პარტნიორს.

ისმის კითხვა — ეროსი კიწმარიშვილი ბანდიტი და ყაჩაღი რომ არის მხოლოდ ახლა გაიგო მამუკა ღლონტმა, თუ მაშინაც იცოდა, როცა ბ-ნ ეროსისთან ძმობის და მეგობრობის ხელშეკრულებას აწერდა ხელს?

როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, თავის მოსულელება ყოველთვის დრამატულად მთავრდება და ამა თუ იმ მიზეზით თავმოსულელებულს მრავალ თავსატეხს უჩენს ხოლმე.

— ნუ დავადანაშაულებთ დღეს მამუკა ღლონტს იმის გამო, რომ თავის დროზე კიწმარიშვილთან იფსკვნა ჯვარი — ამ „ქორწინებით“ მან „მაესტრო“ გადაარჩინაო, — ამბობენ ვიღაცები, თუმცა არ ითვალისწინებენ იმ ფაქტორს, რომ უმთავრესი და უპირველესი ღირებულების, სინდისთან კომპრომისის ფასად გადარჩენა არ ღირს, რადგან ასეთი გადარჩენა ზოგჯერ დაღუპვაზე უარესია.

ერთ პერიოდში შალვა რამიშვილი „რუსთავი-2“-ის და „იმედის“ ჟურნალისტებს დასდევდა მიკროფონით და ერთი და იგივე კითხვას უსვამდა: — გვითხარით, ვინ არის თქვენი ტელეკომპანიის მფლობელიო.

კარგი იქნებოდა, ეს კითხვა რამიშვილს საკუთარი თავისთვის და თანამშრომლებისთვისაც დაესვა — ბოლოსდაბოლოს იმას მაინც ხომ გავიგებდით, ვინ არიან ამ ტელეკომპანიის მფლობელები, რამდენი ადამიანის საკუთრებაა ეს ტელეკომპანია — ერთის, ორის, სამის თუ ათის? თითოეულ მათგანს რამდენი წილი აქვს ამ კომპანიაში და რატომ იცვლებოდნენ მისი მესაკუთრეები წამდაუწუმ?

სიმართლის დასადგენად და გასაგებად ამის ცოდნა აუცილებელია საზოგადოებისთვის, ისე როგორც იმის ცოდნა, რატომ ვერ შევიდა კარებიდან კიწმარიშვილი შენობაში და რატომ გახდა იძულებული მაინცდამაინც გალავნიდან გადამძვრალიყო?

**— ფულს ყველასგან ავიღებ, სააკაშვილისგანაც კი ავიღებ, თუ იმის გარანტია მექნება,რომ სარედაქციო მუშაობაში არ ჩაერევა — განაცხადა ღლონტმა.**

**სცადეთ ერთი, ბატონო მამუკა, ოღონდ იცოდეთ, სააკაშვილი გალავანს კი არ გადმოახტება კიწმარიშვილივით, ტანკებით მოგადგებათ და სულ მიგილეწავთ იქაურობას, იმასაც ეროსისავით თუ დაუპირებთ გადაგდებას.**

**კიწმარიშვილია თუ ღლონტია ორივე მიშას ყლორტია, ხან ერთი ამოკოკრდება იმ ყლორტიდან და ხან — მეორე.**




შექმნილი სიტუაცია არც დამფუძნებლებს და არც მართვის კომპანიას შეჰმატებს სახელს და ღირსებას, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ქექვა-ქექვაში ბევრი ისეთი რამ ამოიქექება კომპრომატების სკივრიდან, რაც ცუდად იმოქმედებს თითოეულ მათგანის იმიჯზე.

ერთადერთი, ვინც ამ ტრაგიკომიკური ვითარებით მოგებული რჩება, ხელისუფლებაა, რომელიც ძველი, ნაცადი ხერხით — დაჰყავი და იბატონე — აგრძელებს თავისი ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლას და წარმატებებსაც აღწევს.

**რაც „მაესტროში“ ხდება, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ თუ გინდა მართალი იყო საკმარისი არ არის მხოლოდ ხანდახან იყო მართალი — მართალი უნდა იყო ყოველთვის და ყველა გარემოებაში, თორემ როცა დღეს ვიღაცას უსამართლოდ და დაუმსახურებლად ლანძღავ, ხვალ კი იმავე ადამიანს აქებ და ადიდებ, ეს არ არის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა — ეს თვალთმაქცობაა.**

სამწუხაროდ, ქართული ჟურნალისტიკა, განსაკუთრებით, ელექტრონული მედია, თვალთმაქცებით გაივსო, რომლებიც იმდენ გალავანზე არიან გადამხტარნი და გადმომხტარნი, სადაც სამართალია, კიწმარიშვილის ერთი გადახტომა არ უნდა უკვირდეთ.

რა ხდება გალავანს იქით და გალავანს აქეთ, დრო გავა და ალბათ გაირკვევა, თუმცა სამწუხარო ისაა, რომ სიმართლეს ყველაზე გვიან ქართველი საზოგადოება გაიგებს;

რაც შეეხება „მაესტროს“ შენობაში მარტო დარჩენილ ეროსი კიწმარიშვილს, არსებობს სერიოზული არგუმენტები, რომ ის არასოდეს არ წასულა ხელისუფლებიდან შორს და გულწრფელად არასოდეს დაპირისპირებია მას.



გავიხსენოთ თუნდაც ის მომენტები, თუ რა უძღოდა წინ 26 მაისის ცნობილ მოვლენებს და როგორ თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად უშლიდა ხელს კიწმარიშვილი ოპოზიციური პოლიტიკური ძალების შესაძლო გაერთიანებას.

კიწმარიშვილის პროფესია ესაა — პროვოკაციების, ინტრიგების შავი პიარის მეშვეობით დაშალოს და დააპირისპიროს ერთმანეთს პოლიტიკური ჯგუფები, მერე კი ამღვრეულ წყალში ოქროს თევზს წაავლოს ხელი ლაყუჩებში.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# ram `Seayvara~ mixeil saakaSvils ase uceb biZina ivaniSvili?!

— ბიძინა ივანიშვილი ჩვენთვის კარგიცაა, ფორმის შენარჩუნებაში გვეხმარებაო, — განაცხადა ინგლისურენოვან „ეკონომისტში“ მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც ჩანს, აფრიკის დემოკრატიის შუქურად წოდებული იდი ამინივით მიხეილ სააკაშვილსაც გადაწყვეტილი აქვს მთელი მსოფლიო გააბითუროს და მასხრად აიგდოს, თორემ „ეკონომისტის“ ჟურნალისტს რაც უთხრა, იმის ხმამაღლა თქმას როგორ გაბედავდა მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ბიძინა ივანიშვილს შეჰკადრა — წაართვა საქართველოს მოქალაქეობა, დაუყაჩაღა ინკასაციის მანქანა, „ქართუ ჯგუფის“ სახელზე გამოგზავნილ ტვირთებს მისი მებაჟეები გულდაგულ ჩხრეკენ და აზიანებენ, სააკაშვილის კონტროლს დაქვემდებარებული საინფორმაციო საშუალებები ათასგვარ სიბინძურეს უგონებენ ივანიშვილს და ა.შ.




სააკაშვილი, იმის იმედით, რომ „ეკონომისტმა“ მისი ამ საგმირო საქმეების შესახებ არაფერი იცის, უტიფრად ცრუობს და „ეკონომისტის“ ათიათასობით მკითხველს თვალში ნაცარს აყრის.

ცხონებული იდი ამინიც ასე იქცეოდა — უგანდელ ჟურნალისტებს ახლოს არ იკარებდა, სამაგიეროდ, თვე არ გავიდოდა, უცხოელი ჟურნალისტები არ



მოეწვია და თავი არ მოეწონებინა მის მიერ აშენებული „სანიმუშო“ აფრიკული დემოკრატიით, ეს იმ დროს, როცა ასიათასობით უგანდელი გაურკვეველ ვითარებაში უგზო-უკვლოდ ქრებოდა.

ამინის მმართველობის შედეგები რომ შეაჯამეს, სამასიათასი უგანდელი დააკლდათ ანგარიშში, რომლებიც „დემოკრატმა“ იდიმ აართქლა.

არადა, ამინი წლების განმავლობაში ახერხებდა დაერწმუნებინა მსოფლიო, რომ ჰუმანისტი და დემოკრატი იყო.

ტყუილების თქმაში და მსოფლიოსთვის თვალში ნაცრის შეყრაში არც ბატონი სააკაშვილი ჩამორჩება თავის აფრიკელ კოლეგას.

მართალია, სამასი ათასი უგზო-უკვლოდ დაკარგული არ გვყავს, სამაგიეროდ გვყავს სამასიათასი პრობაციონერი და ოცდახუთი ათასი პატიმარი.

ამ რიცხვს იმ ადამიანთა რაოდენობასაც თუ დავუმატებთ, რომლებიც 2004 წლიდან დღემდე სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში იმყოფებოდნენ და გათავისუფლდნენ, შემზარავ სტატისტიკას მივიღებთ.

აი, ასეთია „დემოკრატი“ და „ჰუმანისტი“ სააკაშვილის ნამდვილი სახე.

სააკაშვილმა თავისი „რეფორმებით“ იმდენს მიაღწია, რომ საქართველოს ერთი მილიონი მოქალაქე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, დაახლოებით ამდენივე (ცოტა მეტი) სამუშაოს საძებნელად უცხოეთშია გაქცეული, თუმცა პატივცემულ მიშას ეს სულაც არ უშლის ხელს, რომ მსოფლიოს განუცხადოს — საქართველოში ეკონომიკა ჰყვავის და იფურჩქნებაო.



სააკაშვილს არც იმის თქმის რცხვენია, რომ საქართველოში თურმე კორუფცია მოისპო და ამოიძირკვა, ეს იმ დროს, როცა ქვეყნის ბიუჯეტიდან თითქმის მილიარდი ლარი სხვადასხვა ხარჯებშია გაწერილი, იქიდან კი ამ თანხის დიდი ნაწილი, როგორც ამბობენ, ხელისუფლების წარმომადგენელთა ჯიბეებში ილექება.

ქვეყანაში, სადაც სააკაშვილის თქმით, კორუფცია არ არსებობს, თითქმის არ არსებობს სამინისტრო, რომლის მაღალჩინოსნებიც სწორედ კორუფციისთვის, სახელმწიფო სახსრების დატაცებისთვის ციხეებში არ ისხდნენ.



ახალი პოლიტიკური ოპონენტის, ივანიშვილის, გამოჩენით „გახარებულ“ სააკაშვილს, „ეკონომისტთან“ საუბრისას ის არ უთქვამს, რას უკეთებდა იგი ძველ პოლიტიკურ ოპონენტებს, რომელთაგან მრავალი სააკაშვილის „კომფორტულ“ დილეგებშია გამომწყვდეული, ზოგი საზღვარგარეთაა გაქცეული, ზოგი კიდევ მიწაში წევს.

ეტყობა, სააკაშვილი ივანიშვილთან მიმართებაში ახლო რაციონალიზატორულ ტაქტიკას ირჩევს — შინ, საქართველოში, ყოველ მხრივ შეავიწროებს ივანიშვილს, გარეთ, უცხოეთში კი გაბადრული სახით იტყვის — რა კარგია ივანიშვილი რომ გამოჩნდა, ცხოვრებას ხალისი შეემატა და ჩვეულ ფორმასაც ნელ-ნელა ვიბრუნებთო.

სააკაშვილი ბრძენი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი რომ იყოს, ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა მართლაც უნდა უხაროდეს, მაგრამ ბატონი მიშა ის კაცი არ არის, ზნე და ხასიათი შეიცვალოს — მას უყვარს თავისი ოპონენტები, ოღონდ თუ ეს ოპონენტები ციხეში სხედან, ან კიდევ უკეთესი — მიწაში წვანან.

საინტერესოა, სანამდეს გაგრძელდება ჩვენი ამერიკელი თუ ევროპელი მეგობრების თავისმოსულელება და სააკაშვილის ფერად-ფერად ტყუილებზე მორჩილად თავის კანტური?

რის ფასად ითმენენ ისინი ამ ტყუილებს და სად არის მათთვის ის ზღვარი, რომლის იქით წასვლა არ შეიძლება?

რაც შეეხება უცხოელ ჟურნალისტებს, ხელებგაშვერილი და ფეხებაშვერილი კისრისტეხით რომ მორბიან საქართველოსკენ და დიდი ჰონორარების ფასად სიცრუეს სიმართლედ რომ ასაღებენ, მათთვის ეს ქვეყანა დიდი ხანია ოქროს საბადოდ იქცა — რაც უფრო დიდ ტყუილს დაწერ, მით უფრო დიდი ოქროს ზოდი შენ!

ყველაფერს აქვს დასასრული და სიყალბის და სიცრუის ეს ფეიერვერკიც დასრულდება ოდესმე.

როგორ მაინტერესებს, რას იტყვიან მაშინ ის ადამიანები, ამ ფეიერვერკს თითო ჩირაღდანს რომ აშველებდნენ და ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზას უნათებდნენ ბოროტებას.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

## 45-დან 60 წლამდე პირების დასაქმებასთან დაკავშირებული ცვლილებები დამტკიცდა



დღეს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე 45-დან 60 წლამდე ასაკის პირების დასაქმებასთან დაკავშირებული ცვლილებები მესამე მოსმენით, საბოლოოდ დაამტკიცა. საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები 69 ხმით ერთხმად დამტკიცდა.

კანონპროექტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება 45–დან 60 წლამდე ასაკის პირის მიერ კერძო სამართლის იურიდიული ან ფიზიკური პირისაგან ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი ახალ სამუშაო ადგილზე დაქირავებით მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში, თუ მან ახალ სამუშაო ადგილზე დაქირავებით მუშაობა 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივლისამდე დაიწყო და მუშაობის დაწყებამდე 3 თვის განმავლობაში იყო უმუშევარი.

ამასთან, ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პირი ზემოაღნიშნულ დამქირავებელთან იმავე სამუშაო ადგილზე უკვე დაქირავებული პირის გათავისუფლების შემთხვევაში დასაქმდება.

ცვლილებების ინიციატორი საქართველოს მთავრობაა.

## ფანასკერტელის ქუჩაზე ხანძარს დედა-შვილი ემსხვერპლა

თბილისში, ფანასკერტელის ქუჩის №15-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში რამდენიმე საათის წინ გაჩენილ ხანძარს ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.



როგორც „მედიანიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან აცნობეს, დედა–შვილი, 84 წლის მეგი აზვლედიანი და 55 წლის გიორგი კვაჭაძე კვამლით გაიგუდნენ.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო ოთხი სახანძრო მანქანა და ერთი სამაშველო ბრიგადა. დამწვარია 15 კვადრატული მეტრის ფართი და საყოფაცხოვრებო ნივთები.

მეხანძრეების ინფორმაციით, საცხოვრებელ ბინაში ცეცხლი სავარაუდოდ, სიგარეტის ნამწვიდან გაჩნდა. ამ დროისათვის ხანძარი ლიკვიდირებულია.

## ე.წ. ატსტუპნიკები აშშ-ს საელჩოს დახმარებას სთხოვენ

ე.წ. „ატსტუპნიკები“ აშშ-ის საელჩოს მათი პრობლემით დაინტერესებისკენ მოუწოდებენ და სთხოვენ საქართველოს მთავრობას და პარლამენტს შესაბამისი რეკომენდაციით მიმართონ.

ალნიშნული მოთხოვნით მათ დღეს ამერიკის საელჩოსთან აქცია გამართეს და საცხოვრებელი ფართების დაკანონება კიდევ ერთხელ მოითხოვეს.

ე.წ. „ატსტუპნიკების" აქციას პარტია "მომავალი საქართველოც" შეუერთდა. პარტიის ლიდერის გიორგი ლაღიძის თქმით, აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ ამ ადამიანებს საცხოვრებელი ფართები არ დაუკანონდებათ.



მისივე თქმით, „ატსტუპნიკების" რაოდენობა მხოლოდ თბილისში 40 000-ს აჭარბებს.

შეგახსენებთ, რომ ე.წ. „ატსტუპნიკები" საცხოვრებელი ფართების დაკანონების მოთხოვნით აქციებს თითქმის ერთი თვეა მართავენ.

„მედიანიუსი“



# mTavrobis sxdoma haerSi, anu rogor cviva saarCevno yulabaSi haerSi gasrolili ugulavas milionebi

ვაი-მე! აბა, ამათა ჰყოლიათ, აი! აქამდე მეგონა, რომ მხოლოდ ერთი კაცი ვერ იყო „თავის მატორზე" და შიგადაშიგ კარგადაც ერეკებოდა. ორშაბათის გასეირნებამ დამარწმუნა, რომ ამათ ყველას გვარიანად ასხია და თუ ფრთხილად არ ვიქნებით, შეიძლება რამე უბედურებას გადავეყაროთ. ვინა თქვა, ორშაბათი მძიმე დღეაო?! ადგნენ, ჩასხდნენ ვერტმფრენში და კოლხეთის დაბლობს გადაუფრინეს და მერე უკან გადმოუფრინეს. ყველა მაღალჩინოსანი ადგილზე იყო, თვით ვანო მერაბიშვილიც კი. პრემიერი ცდილობდა, განსაკუთრებულად საქმიანი მთავრობის სხდომა გაემართა ვერტმფრენის გამაყრუებელ გუგუნში, მაგრამ ამაოდ. ბაქრაძისა და უგულავას სახეებს რომ შეხედავდით, მიხვდებოდით, რომ გადახარხარებას აღარაფერი აკლდათ. ჩვენ, შორიდან მაყურებლებს რაღა დაგვემართებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ. მთელი ქვეყანა ხარხარის ხასიათზე პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ დააყენა: ანაკლიასა და ყულევს შორის ახალი, ნახევარმილიონიანი ქალაქი უნდა ავაშენოთო. ორშაბათის გასეირნებაში ყველაზე კომიკური ის იყო, რომ უსაქმური გოროზია, რომელმაც სამეგრელო მიწასთან გაასწორა და ნახევრადმიცვალებული სოფლის მეურნეობის სამინისტრო საბოლოოდ დაასამარა, იდგა და ლაზიკის ალმშენებლობის გეგმას მინისტრთა კაბინეტის წევრებს აცნობდა. ყველაფრიდან ჩანდა, მიშამ ბიჭებს კარგად დასცეცხლა და ახალი იდეის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. უკაცრავად, კი არ მოუწოდა, დაავალა. არ გააკეთებდნენ და . . .

ამ ტრაგიკომედიაში ერთადერთი კარგი ის არის, რომ ეს ამბავი საქართველოს ფარგლებს არ გასცდება და როგორც გურიაში იტყვიან, კიდევ ერთხელ არ მევიჯაყებით. არ გასცდება, რადგან აღარავის აინტერესებს საქართველოს პრეზიდენტის ბოდვითი აზრები.

## პრეზიდენტი — მთავარი დამტერორებელი

კიდევ ერთი ტრაგიკომიკური და სამარცხვონო ამბავი, რომელიც ლაზიკის მშენებლობისგან განსხვავებით, მთელმა მსოფლიომ გაიგო, ებრაელი ბიზნესმენების საქმეა. რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი ქრთამის შეთავაზების ბრალდებით ქართველმა სამართალდამცველებმა 2010 წლის 14 ოქტომბერს დააკავეს. მანამდე კი ებრაელმა ბიზნესმენებმა საქართველოს ხელისუფლებას ლონდონის სასამართლოში საქმე მოუგეს და 98 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრეს.



ერთი თავის მოსაჭრელი ამბავი ის არის, რომ ეს ბიზნესმენები საქართველოში სტუმრად, ანუ დასაჭერად ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მოიწვია. მეორე ის, რომ ქართულმა სასამართლომ კანონის გვერდის ავლით მიიღო მათი დასჯის გადაწყვეტილება. მესამე ის, რომ 98 მილიონს გადააყოლეს ქართულ-ებრაული ურთიერთობები და ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კავშირი, ფაქტობრივად, გაწყდა. მეოთხე ის, რომ ციხეში მყოფ ბიზნესმენებს ისე ექცეოდნენ, რომ ერთმა გულის ინფარქტი მიიღო, მეორე ძლივს გადარჩა ცოცხალი. ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუმცა ესეც სრულიად საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რა მძიმედ არის ავად ხელისუფლება, რომელსაც დაკისრებული თანხის გადახდა არ უნდა და ყველაფერს კადულობს თავის დასაძვრენად.

ებრაელების საქმით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი პატივცემული მიშასია და როგორც მოეპრიანება, ისე განკარგავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასი მილიონის გამო თავს არ შეირცხვენდა მთელს დუნიაზე და დიპლომატიურ სკანდალებში არ გაეხვეოდა. სამარცხვინოა ისიც, რომ პრეზიდენტმა კარგად ივაჭრა ებრაულ მხარესთან და ბიზნესმენებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის წყალობით აიძულა ისინი, ნაწილობრივ მაინც უარი ეთქვათ მოგებულ თანხაზე. შეთანხმების მიხედვით,აბიზნესმენები თანახმა არიან, მიიღონ 40 მილიონი დოლარი 110 მილიონის ნაცვლად, რადგან გადაუხდელობის გამო, სასამართლოში მოგებულ თანხას ყოველდღიურად საურავი ემატებოდა. ამის მერე, რაკი გული დაიმშვიდა, მწყაზარი სახით, პრეზიდენტმა ბიზნესმენები შეიწყალა და ისრაელის პრემიერის მადლობაც დაიმსახურა. „ვიცი, რომ ეს თქვენი პირადი გადაწყვეტილება იყო. ეს არის კეთილშობილური გადაწყვეტილება და მას უდიდეს პატივს ვცემ", — განუცხადა პერესმა საკაშვილს სატელეფონო საუბრის დროს.

როგორი ბიჭია?! ქიციც იცის და ქიცმაცურიც. დაიჭირა, დაატერორა, გაფცქვნა და მადლობაც ათქმევინა. სამაგიეროდ, ბიუჯეტს 70 მილიონი დაუზოგა. პრეზიდენტის პრესსპიკერმა ღიად განაცხადა, ბიზნესმენებთან გარიგებამ ბიუჯეტს 70 მილიონი დაუზოგაო. აღარც მალავენ, რომ გარიგდნენ და რომ ის 70 მილიონი თავისთვის უნდათ. აბა, უპოვრებისა და სოციალურად დაუცველებისთვის ხომ არ მეიჯაყავდა მთელს დუნიაზე თავს. ბოლოსდაბოლოს, პრეზიდენტი კაცია. რა მაგის ბრალია, რომ ვერც ბიუჯეტი „ქაჩავს" და ვერც მისი ბიზნესმენები იმდენს, რამდენი მადა და სურვილიც აქვს პატივცემულ სააკაშვილს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ამ საქმეში: გათავისუფლებული ბიზნესმენები აეროპორტამდე ისრაელის ელჩმა და კონსულმა მიაცილეს. იქ კი სპეცრეისი დახვდათ, ისრაელიდან საგანგებოდ ჩამოფრენილი თვითმფრინავი. დააკვირდით, როგორ არ ენდობა ეს ხალხი ნაცხელისუფლებას და როგორი შიშით უყურებენ მათ დაპირებას. ალბათ, ფიქრობენ, ემანდ, ჭკუა არ აგდაუბრუნდეთ და უკან არ შეგვაბრუნონო. ამათგან ხომ არაფერია გასაკვირი და მოულოდნელი.

## გიგის „გამჭვირვალე" ტენდერები

ორშაბათის დიდ გასეირნებაში, ყველასათვის მოულოდნელად, თბილისის მერი გიგი უგულავაც მონაწილეობდა. ბოლო დროს ეს კაცი გარეგარე დაიარება და საკუთარ პიარს „აწვება". ისიც ცნობილია, რომ მას ვანო მერაბიშვილთან სერიოზული დაპირისპირება აქვს და გიგა ბოკერიას ფავორიტად მოიაზრება. ამ ფონზე, მთავრობის საჰაერო სხდომაზე გიგის გამოჩენა იმის მაუწყებელია, რომ პრეზიდენტმა მასაც მკაცრად მოსთხოვა, ლაზიკის მშენებლობის მხარდაჭერა.



პიარის პარალელურად, უგულავა საკუთარ საარჩევნო ფონდსაც ავსებს, რადგან არავინ იცის, 2013 წელს ვინ რა ჭკუაზე იქნება და არ უნდა, გადამწყვეტ მომენტში, სხვის დასახმარებლად გაუხდეს საქმე. ამ ფონდის არაკანონიერად შევსების ერთ-ერთი გზა თბილისის ბიუჯეტი და მისგან დაფინანსებული ტენდერებია. მერიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ტენდერებს თუ გადავხედავთ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ამ ხელისუფლებას ყველაფერი თავისი ჰგონია და თავისთვის უნდა.

დავიწყოთ ყველაზე მარტივით: ყავა, ჩაი, ტელეფონები, ჩანთები, ცელოფანის პარკები. ამ ყველაფრის შესაძენად „კანონმორჩილი,, უგულავა ტენდერებს აცხადბს და ისეთ თანხებს სთავაზობს მონაწილეებს, რომ გაგიკვირდება: რას სვამენ, რას ჭამენ და სად მიაქვთ ამდენი? მაგალითად, ყავა-ჩაის შესაძენად 15 ათასი ლარია გამოყოფილი. ნაჭრის ჩანთების შესაძენად გამოყოფილია 250 ათასი ლარი, შოკოლადის ასორტისთვის — 500 ათასი, ანუ ნახევარი მილიონი. მობილური ტელეფონი, ერთი ცალი, ფასი 870 ლარი. ეტყობა, გიგის ტელეფონი გაუფუჭდა. უკაცრავად, მაგრამ ორასლარიანი რომ იყიდოს ბიუჯეტის ხარჯზე, არ იქნება? ამ ფასად ვიღაც გაჭირვებულს მკურნალობის თანხებს გაუსტუმრებდნენ და არ ღირდა ამისთვის ქამრის შემოჭერა?!

სოლიდური თანხებია გათვალისწინებული თბილისის რაიონების გამწვანებისათვის. მაგალითად, ვაკე-საბურთალოს გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობას მილიონ 300 ათასი სჭირდება. ისანი-სამგორს — მილიონ 200 ათასი. ვაკის პარკის მოვლისთვის ნახევარი მილიონი ლარია გათვალისწინებული, ვერის ბაღისთვის — 250 ათასი, თბილისის ზღვის ტყე-პარკის მოვლისთვის — 120 ათასი. რობაქიძის სანაპირო და აღმაშენებლის ხეივანი ზაჰესამდე — 900 ათასი ლარი. აღარაფერს ვამბობთ მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების მწვანე ზოლების მოვლაზე გამოყოფილ თანხებზე, რომელიც მილიონ ნახევრიდან ორ მილიონამდე მერყეობეს და ისეთ სეგმენტებად არის დაყოფილი, რომ მთლიანობაში გახრიგინებული სანაპიროების მოვლა გვარიანდ დიდი თანხა უჯდება თბილისის ბიუჯეტს.

ცალკე თემაა პოლიციის შენობების მიდებარე ტერიტორიების მოვლა-პატრონობა. ეს ისეთი სათუთი და საარსებო საკითხია, რომ მისი დატოვება დაბალი დაფინანსების იმედად დიდი დანაშაული იქნება. მერიაც შესაბამისად, ხელგაშლილია და თანაც ისე უაზროდ, რომ გიკვირს, ამ ხალხს პატრონი და შემმოწმებელი არავინ ჰყავს?! მაგალითები: ვაკე-საბურთალოს და ძველი თბილსის შენობების მოვლა 600 ათასი ლარი ჯდება, ისანი-სამგორი — 650 ათასი, გლდანი-ნაძალადევი და დიდუბე-ჩუღურეთი — 700 ათასი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი „პრიორიტეტია" გლდანის მე-8 საპყრობილის მისაღების კეთიმოწყობა, სათამაშო და გასართობი მოედნის მონტაჟი, ატრაქციონები და ა.შ. მაგარია, ამას მოსდევს გლდანის სხვა ციხეების მიმდებარ ეტერიტორიები.

გარე განათება და შენობების მინათება მერიას 12 მილიონზე მეტი უჯდება, მანქანების გამართვა ბენზინით — 2 მილიონ 200 ათასი. უამრავი ლოტია, რომელიც ქალაქის სხვადასხვა უბნის და კუთხის გამწვანება-მოვლისთვის ასეულ ათასებს ითხოვს ბიუჯეტიდან. ერთი სიტყვით, ქალაქში დიდი მწვანე აღმშენებლობაა, რისთვისაც ბევრი მილიონი იხარჯება.

ეჭვი არ არის, ამ მილიონებიდან არა ერთი და ორი უგულავას ყულაბაში ვარდება, რადგან მწვანე საფარი ყველაზე ადვილი გასაცურებელია, ისე, რომ მერე ვეღარავინ დაგითვლის, რა გააკეთე და რა გახმა და გაფუჭდა. ეს ტენდერები ისეთი საინტერესო და სამაიმუნო თემაა, რომ შევეცდებით, შემდეგ წერილშიც გავაგრძელოთ, რადგან თვალნათლივ ჩანს, ჩვენს მილიონებს ყოჩაღი ბიჭები ისე გვაცლიან ხელიდან, რომ იქით გვამუნათებენ, ეს ამდენი სიმწვანე თქვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვას სჭირდებაო.

**მანანა გეგიძე**

# kiwmariSvilad gadaqceuli `qarTuli partia~

## liderebis Semdeg `qarTul partias~ regionuli organizaciis warmomadgenlebi toveben

ბოლო პერიოდში „ქართული პარტიის“ რიგები მცირდება. პარტია ჯერ ლევან გაჩეჩილაძეს გამოეთხოვა, შემდეგ მაკა ასათიანის ქმარს, ბიზნესმენ კოტე გოგელიას გაემიჯნა. ახლა უკვე დიდი ხნის წინ გავრცელებული ხმებიც ყოფილი ომბუდსმენის სოზარ სუბარის მიერ პარტიიდან წასვლის შესახებ დადასტურდა. ყოფილ სახალხო დამცველს „ქართულ პარტიაში“ არც ისე ცოტა მეგობარი ჰყავდა. მაგალითად, სტუდია „მონიტორის“ თავმჯდომარე ბესო კურტანიძე, ჟურნალისტი და მოძრაობა „რატომ” დამფუძნებელი ირაკლი კორძაია, ასევე, „რატომელი“ ლუკა წულაძე, რომელიც ექსომბუდსმენის პირადი მრჩეველი იყო. სამივე მათგანმა პარტია დატოვა, თუმცა ეს სუბარის წასვლამდე ორიოდე კვირით ადრე მოხდა.

საკითხის ირგვლივ „საერთო გაზეთს“ „ქართული პარტიის“ ყოფილი წევრი **სოზარ სუბარი** ესაუბრა:

**— „ქართული პარტია“ ბევრმა პოლიტიკურმა ლიდერმა დატოვა. მათ შორის თქვენც. რა არის მიზეზი, რა ხდება „ქართულ პარტიაში“?**

— დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. დღემდე პარტია ძალიან ბევრმა ადამიანმა დატოვა. მათ შორის ოთხი დღის წინ მთელი თბილისის რაიონულმა ორგანიზაციამ. ასევე კახეთის რეგიონალურამ წარმომადგენლობამ. თუმცა ბევრ რაიონში ანალოგიური სიტუაციაა.

**— პარტიიდან დიდი ხნის წამოსული იყავით, თუმცა ოფიციალური განცხადება საკმაოდ გვიან გააკეთეთ, რა იყო მიზეზი?**

— „ქართული პარტია“ ახლო მომავალში ყრილობის ჩატარებას აპირებს. ამიტომ ჩემი პარტიიდან წამოსვლის შესახებ ინფორმაციის დადასტურებისგან თავს ვიკავებდი და ჟურნალისტებთან შეხვედრასაც თავს ვარიდებდი. მაგრამ, მაესტროში, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ბაჩო კიკაბიძემ დამირეკა და მისვლა მთხოვა. ტელევიზიაში მისული იძულებული გავხდი ჟურნალისტებთან პარტიიდან წამოსვლის ფაქტი ოფიციალურად დამედასტურებინა.

**— ეროსი კიწმარიშვილის თქმით, მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა თქვენი პარტიიდან წამოსვლა. ამის შესახებ, როგორც კიწმარიშვილი ამბობს, თქვენი განცხადებიდან შეიტყო?**

— ტყუილია. მასთან პარტიიდან წამოსვლამდე პირისპირ საუბარი მქონდა და ოფიციალურად დავუდასტურე ჩემი წამოსვლის შესახებ. მაგალითისთვის იმ დროისთვის გამოგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებების ჩვენებაც შემიძლია, სადაც რეგიონალური ორგანიზაციის წევრები მწერედნენ: „სადაც თქვენ, იქაც ჩვენ“. თუ უკვე 18 ნოემბერს რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა იცოდნენ ინფორმაცია ჩემი პარტიიდან წამოსვლის შესახებ, პარტიიის თავმჯდომარეს არ ეცოდინებოდა?



**— ბატონო სოზარ, თქვენს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნეთ, რომ ციტირებას მოვახდენ: „ყველა პატიოსანმა მოქალაქემ იცის, რომ ყველა იმ უსამართლობის და ბოროტების სათავე, რასაც ყოველდღიურად ვუცქერით, არის თავკერძა და ყველაფრის მკადრებელი ხელისუფლება, რომელიც უფსკრულისკენ მიაქანებს ქვეყანას. „ქართული პარტია“ შეიქმნა იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გაეწია სააკაშვილის მთავრობისთვის. თქვენი პარტიიდან წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ის ხომ არ გახდა, რომ „ქართულ პარტიაში“ ვეღარ დაინახეთ სათანადო რესურსი, რომელიც რეალურად შეასუსტებდა სააკაშვილის ხელისუფლებას?**

— „ქართული პარტია“ განსხვავებული ადამიანების, განსხვავებული ლიდერების, შეხედულებების ერთობა იყო და ჩვენი რეალური ძალა სწორედ ეს გახდა. პარტია მართლაც შეიქმნა იმისთვის, რომ საქართველოში არ ყოფილიყო მხოლოდ ერთი კაცის, ერთი პარტიის მმართველობა. თუმცა გარკვეული ტიპის შეცდომები იყო და ამ კუთხით „ქართული პარტია“ გამონაკლისი არაა.

**— ფაქტობრივად, პარტია დაშლის პირასაა, რა არის მიზეზი? ვერ მოახერხეთ რესურსების სწორი მიმართულებით გადანაწილება?**

— იყო ბევრი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი, თუმცა დღეს სუბიექტურ მიზეზებზე საუბრისგან თავს შევიკავებ. გვქონდა ბევრი ნაჩქარევი გადაწყვეტილება. მაგალითად, მაისის აქციები არ იყო ჩვენი დააგეგმილი. ამ აქციების მისამართით სკეპტიკურად ვიყავით განწყობილი.

**— პარტიის წარმომადგენლები აცხადებდით, რომ სააკაშვილის ხელისუფლების შესაცვლელად გამოიყენებდით აბსოლუტურად ყველა რესურსს, მათ შორის აქციებს. თუმცა მკვეთრი განცხადებების მიუხედავად, რეალურ შედეგამდე არასოდეს მისულხართ?**

— ჩვენც ვგეგმავდით აქციების სერიას, თუმცა მას არ ჰქონდა გრანდიოზული მიზანი. უბრალოდ, ხალხის გამოცოცხლება, გამოფხიზლება გვინდოდა, მაგრამ როცა „სახალხო კრების“ აქციაზე ძალიან ცოტა ხალხი მივიდა, დავინახეთ რეალური საფრთხე, სახალხო კრების მარცხი არა მხოლოდ კრების, არამედ მთელი ოპოზიციის მარცხს და საზოგადებაში დიდ იმედგაცრუებას გამოიწვევდა. ამიტომ „სახალხო კრების“ ლიდერებთან შეუთანხმებლად გადავწყვიტეთ პროცესში ჩავრთულიყავით. ბუნებრივია, მსგავსი სპონტანური გადაწყვეტილებები უარყოფითად მოქმედებდა პარტიის რეიტინგზე, ჩვენს გეგმებსა და ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებზე. ამას ემატებოდა სხვა პოლიტიკური სუბიექტებისა თუ პარტიების შეუთავსებლობა. რევოლუციის მომხრე პარტიები ვლანძღავდით არჩევნების მომხრე პარტიებს და პირიქით, ანუ ის, რაც პარტიაში ხდება, მხოლოდ „ქართული პარტიის“ ექსკლუზივი არაა. ზოგადად ეს ქართული ოპოზიციის სენია. შედეგად მივიღეთ ის რომ მაისის მოვლენების შემდეგ საქართველოში პოლიტიკრი პროცესები, ფაქტობრივად, მოკვდა.



26 მაისის შემდეგ ოპოზიცია დაიმარხა. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში რომ არ გამოჩენილიყო და პოლიტიკური პროცესებისთვის სიცოცხლე არ ჩაებერა, იგივე რეალობა გვექნებოდა. მედიაში დღეს მხოლოდ პოლიტიკოსების კრიტიკაა მოდაში, თუმცა სამოქალაქო საზოგადოებაც არაა აქტიური და რეალურ ნაბიჯებს არ დგამს.

**— შეგვიძლია იმის თქმა, რომ დღევანდელი ოპოზიცია უუნაროა და სააკაშვილის წინააღმდეგ არანაირი რესურსები არ გააჩნია?**

— ბიძინა ივანიშვილმა ამ კუთხით გარდატეხა შეიტანა და პროცესი გამოაცოცხლა. დღეს აკრიტიკებენ რევოლუციურ პროცესებს, მაინტერესებს, ვინც ხელისუფლებაში არჩევნების გზით აპირებდა მოსვლას, თქვენც ხომ კარგად იცით, ნაცმოძრაობის პირობებში გამარჯვებას ვერ მოიპოვებდნენ. სააკაშვილი კვლავაც საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვიდოდა და ულაპარაკოდ პრემიერ—მინისტრი გახდებოდა. შეიძლება, ჩვენი შანსებიც არ იყო მაღალი რევოლუციის მოსახდენად, მაგრამ იმაზე ნაკლები მაინც არ იყო, ვინც არჩევნების გზას უჭერდა მხარს.

**— არსებული სარჩევნო კოდექსის მიუხედავად?**

— გამარჯვება მოქმედი კანონმდებლობითაც შესაძლებელია. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში გასამარჯვებლად საკმაოდ დიდი შანსი აქვს.

**— ოქრუაშვილმა თქვენი პარტიდან წამოსვლის მიზეზად ის დაასახელა, რომ „სოზარ სუბარი კოტე გოგელიას ჯიბეს ჩამოეკიდა და მის დაკრულზე ცეკვავს“, ასეა რელურად?**

— არც იმას ვამბობ, რომ სიმართლეა, არც ტყუილი. უბრალოდ, ამ საკითხზე საუბარი არ მინდა. ასე გვჩვევია, ადამიანი ვინც პარტიიდან წავა, პარტიაში დარჩენილებმა უნდა ლანძღონ და პირიქით, მაგრამ ამას მე არ გავაკეთებ. წავედი პარტიიდან, დედა ხომ არავისთვის მიგინებია? მიზეზი ბევრი მქონდა, მქონდა განსხვავება შეხედულებებში, სხვადასხვა საკითხებზე და ა.შ.

**— აღნიშნეთ, რომ ბიზნესმენის პოლიტიკაში გამოჩენამ პოლიტიკური რეალობა შეცვალა. კონკრეტულად რა გარდატეხა მოახდინა ივანიშვილის გამოჩენამ?**

— ივანიშვილის მისამართით არსებობს დიდი ნდობა. ამ რესურსით კი მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდენაა შესაძლებელი. ნდობა 2 წლის წინ ირაკლი ალასანიას მისამართითაც არსებობდა. ალასანიას და „ალიანსს“ დიდი შანსი ჰქონდა გამაერთიანებელი გამხდარიყო მთლიანდ ქართული ოპოზიციისა და საზოგადოების. თუმცა ეს რესურსი ვერ გამოვიყენეთ. ამიტომ ბიძინა ივანიშვილმა ნდობის რესურსი სათანადოდ უნდა მიმართოს. შეიძლება ბევრ ადამიანს ჰქონდეს ფული, მაგრამ ხალხის მხრიდან არ ჰქონდეს მხარდაჭერა. მგალითად, ებრალიძესაც აქვს ბევრი ფული, თუმცა არ აქვს სათანადო რესურსი, რაც ივანიშვილს.

**— თქვენ უფლებადამცველი ბრძანდებით. დღემდე ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა კვლავ არ გააჩნია. საზოგადოებამ ბიზნესმენის მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. როგორ ფიქრობთ, ეს ფაქტი აიძულებს ხელისუფლებას წავიდეს კომპრომისზე?**

— არა მგონია. მაგრამ მოქალაქეობის არქონა ვერ შეუშლის ხელს აკეთოს ის, რასაც აქამდე აკეთებდა

**— საზოგადოების უმრავლესობაში გაჩნდა ლოგიკური კითხვა, რატომ დაამთხვია კიწმარიშვილმა მაინცდამაინც არხზე სიტუაციის დალაგება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?**

— არ მინდა დავიჯერო, რომ ეს იყო ხელისუფლების დაკვეთა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ პოლიცია თავიდან ბოლომდე კიწმარიშვილს ემორჩილებოდა, რაც გაუგებარია.

**— ჟურნალისტებმა ტელეკომპანიასთან შ.ს.ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი დააფიქსირეს, დამეთანხმებით, ის უბრალოდ არ მივიდოდა „მაესტროსთან“?**

— მეც ბევრი კითხვები მაქვს, თუმცა, მოდით, ცუდი ზრახვებისგან თავი შევიკავოთ. მთავარია, ეროსი კიწმარიშვილმა ტელეკომპანიის შენობა უნდა დატოვოს და სააკაშვილის თამაში არ უნდა ითამაშოს.

**— რას აპირებს სოზარ სუბარი .გეგმავთ წახვიდეთ პოლიტიკიდან? თუ სხვა გეგმები გაქვთ?**

— ჯერჯერობით არაფერი გადამიწყვეტია. არც იმას გამოვრიცხავ რომ წავიდე პოლიტიკიდან. ადამიანი იქ უნდა იყოს, სადაც საკუთარ თავს ხედავს. ჩემს თავს სადაც დავინახავ, იქ დავდგები.

**მირანდა ნაბახტეველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ivaniSvils, `respublikelebs~ da `Tavisufal demokratebs~ saerTo Rirebulebebi aerTianebT



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია „რესპუბლიკელების“ ერთ-ერთი ლიდერი* ***დავით ბერძენიშვილი.***

**— რამდენად უკავშირდება ტელეკომპანია ”მაესტროში” განვითარებულ მოვლენები ახალ პოლიტიკურ რეალობა და რამდენად განსაზღვრავს მედიის თავისუფლებას მისი ფინანსური შესაძლებლობები?**

— სხვადასხვა დროს გამიკრიტიკებია „მაესტროს“ სხვადასხვა დამფუძნებელი. ეს სუბიექტური აზრია. დღევანდელ ვითარებაში, კიწმარიშვილი იმედოვნებს საკუთარი ფინანსური ინტერესებით, ხელისუფლების პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერით, გადაჭრას. „ქართული პარტიის“ ორი წევრი ვიცი დღეს - კიწმარიშვილი თბილისში და ოქრუაშვილი - პარიზში. ვინ არის კიდევ ამ პარტიაში, ვისაც საზოგადოება მეტ-ნაკლებად იცნობს, მე არ ვიცი. როცა პარტიის თავმჯდომარეობიდან წასულია სუბარი....

— სოზარ სუბარის „ქართული პარტიიდან“ წასვლა დაემთხვა „მაესტროში“ განვითარებულ მოვლენებს...

— ეს ამბავი ამ დღეს გაჟღერდა, ჩვენ ამბად ვიცოდით ამის შესახებ. რეალურად, კიწმარიშვილი რაიმე სახის პოლიტიკური ძალით ვერ ვაჭრობს. ეს ძალა გალეული, აორთქლებულია, არ არსებობს. ჯერ კიდევ მაისის რევოლუციური აღტკინებისას დამთავრდა „ქართული პარტია“. რამდენად შეუძლია კიწმარიშვილს მესაკუთრეების რომელიმე ნაწილის სერიოზულად წარმოჩენა? აღმოჩნდა, რომ არა. იმიტომ, რომ ეს ერთნახევარი წილი ღლონტის და მისი გუნდისაა, ეს გუნდი დღესაც ერთად არის., მეორე ნაწილი, რომლის 25 % ბოლო ხანებში ჰქონდა ”უცნობს”, 25% - მაკა ასათიანს, გოგელიას მეუღლეს. მოვკარი ყური, რომ მაკა ასათიანი დამფუძნებელების მხარესაა. ეროსის არ აქვს შესაძლებლობა, რომ რაიმე ფინანსური ბერკეტი ჰქონდეს. არ გამოჩენილა ”უცნობი” ეროსის მხარდასაჭერად. ყველა დამუძნებელი ემიჯნება მას.

როგორ ფიქრობთ, ეს შეიძლება მხოლოდ იმის გამო იყოს, რომ ”ქართულმა პარტიამ” კრახი განიცადა?

ეროსის ჩაუვარდა პოლიტიკური პროექტი და უნდა, რომ ფინანსური დივიდენდი მიიღოს. წაგებულ პოლიტიკაში მიიღოს მოგება. ასე არ ხდება.

მაშინ, როდესაც ეროსი კიწმარიშვილის ძალიან მაღალი გონებრივი შესაძლებლობების შესახებ არავინ დავობს...

მაგრამ დღეს არის რეალობა, რომელიც თვით ეროსის გონებისთვისაც კი მიუწვდომელია. კაცობრიობამ ჯერ არ იცის, რომ როცა პოლიტიკურად გაქვსს ნოლი, შენი გავლენა მესაკუთრეებზე ასევე ნოლია და მოგებული დარჩე. პოლიტიკური ბლეფი არარსებული პარტიით ვერ გავა, ისევე, როგორც ფინანსური ბლეფი — არარსებული დივიდენდებით. აბა, რა უნდა ეროსის?

ეროსი განსაკუთრებული უჭკუობით ვერ გამოირჩევა, ამას მას ნამდვილად ვერავინ დააბრალებს. ე.ი მან გარისკა და რატომ? მან შეიყვანა ”მაესტროში” ათი უცნობი პირი, განაცხადა, რომ მისი დაცვის წევრები არიან, თუმცა ამ პირთაგან არავის წარუდგენია დაცვის წევრობის დამადასტურებელი საბუთი. თუ ეს ადამიანები არიან ოფიციალური დაცვის წევრები, რა უფლებით არიან შესული სხვის საკუთრებაში? ეს ადამიანები არიან საფრთხის ქვეშ, რადგან მათ ქმედებებში ჩანს დანაშაულის ნიშნები. ჩნდება კითხვები - რა ტიპის ვალდებულებები აქვთ მათ კიწმარიშვილთან და არამარტო მასთან? ძალიან მაღალია ალბათობა იმისა, რომ ეროსი კიწმარიშვილი მარტო არ მოქმედებს.

**— 11 დეკემბერს „ქართული ოცნების“ პრეზენტაციას ერთიან პოლიტიკურ სტრუქტურად ახლადჩამოყალიბებული ძალის წარმომადგენლები დაესწრებიან. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ გაერთიანების შესახებ აცხადებს, რომ ივანიშვილს უპირობოდ უჭერს მხარს, ალასანიასთან დაკავშირებით კითხვები აქვს, ხოლო რესპუბლიკელებს ანტი-ეროვნულ ძალად აფასებს. როგორ ფიქრობთ, რა არის ამ დამოკიდებულების მიზეზი?**

— ის, რომ ყოფილი პოლიტიკოსები, მეცნიერები, ზოგი ყოფილი მეცნიერი, ზოგი არც მეცნიერი და არც პოლიტიკოსი, ზოგი პოლიტიკისგან ძალიან შორს მდგომი, არაკვალიფიციური ადამიანი, ამა თუ იმ პარტიის მიმართ არის კეთილგანწყობილი ან პირიქით, ეს მისი უფლებაა. რაც შეეხება იმ ვერსიას, რომ რესპუბლიკური პარტიის მიმართ განსაკუთრებული აგრესიაა საზოგადოებაში, ეს ტყუილია, არ დასტურდება არცერთი კვლევით. ეს დასტურდება მხოლოდ მარგინალებში, მხოლოდ რადიოეთერში ხშირად დამრეკავ ადამიანებში. არ დასტურდება იმითაც, რომ რესპუბლიკელები ერთ დროს საქართველოში ყველაზე პოპულარული პარტია იყო, მაგალითად 2007 წლის შემოდგომაზე. ასე რომ, ეს არის მცირე სეგმენტი, რომელიც განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევა. ისინი ვერ ქმნიან ამინდს საქართველოში და აგრესიით გამოირჩევიან, ზოგი დროში ჩარჩენის გამო, ზოგი ზვიადისტური ან ანტი-ზვიადისტური, კომუნისტური წარმომავლობის გამო. ეს არის ერთგვარი ბოლმა - ესენი იყვნენ და კიდევ არიან. მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არაა.

უნდა ავღნიშნოთ ის რეალობაც, რომ რესპუბლიკელები ფაქტიურად ერთადერთი პოლიტიკური პარტიაა, 200 მდე რეგისტრირებულ პარტიას შორის, სადაც პოლიტიკური ლიდერი იცვლება ხოლმე...

ეს რეალობაა. რესპუბლიკურ პარტიაში 10 კაცი მაინც არის, რომელსაც აქვს საერთო ნაციონალური ცნობადობა, არაერთი პარტია შეგვეძო შეგვექმნა ამ რესურსით, რომ წავსულიყავით იმ გზით, რომლითაც მიდიან სხვა პარტიები. ორი ლიდერობის პრეტენზიის მქონე კაცი ვერ რჩება ერთ პარტიაში. მე არ ვიცნობ საქართველოში არც ერთ პარტიას, სადაც ყოფილი თავმჯდომარე რჩება პარტიაში. თუ პარტიის ყოფილი ლიდერი ცოცხალია, მას აქვს სხვა პარტია ან არაა პოლიტიკაში. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევთ ერთი და იგივე ადამიანების დამოკიდებულებას ჩვენს მიმართ. ყველას აქვს უფლება, არ მოვწონდეთ.

ბიძინა ივანიშვილს აქვს კარგი პოლიტიკური გემოვნება, თავადაც ასე თვლის და არაერთხელ აღუნიშნავს. მე ვეთანხმები მას პოლიტიკურ არჩევანში. ძალიან მალე დადასტურდება ამ არჩევნის სისწორე სხვების მიერაც, ანუ კვალიფიციური კვლევების შედეგადაც ასეთი მოლოდინი მაქვს. რესპუბლიკელების და თავისუფალი დემოკრატების პირველ რანგის პო-



ლიტიკურ პარტნიორებად ყოფნა ბიძინა ივანიშვილის მხრიდან მისაღებია ჩვენი საზოგადოებისათვის.

ივანიშვილს, რესპუბლიკელებს და თავისუფალ დემოკრატებს, აერთიანებს ღირებულებები. ივანიშვილმა განაცხადა, რომ არის ლიბერალი, ლიბერალური პარტიაა რესპუბლიკური პარტია და „თავისუფალი დემოკრატებიც“ აპირებენ ლიბერალურ ორგანიზაციებში გაწევრიანებას. როცა ხარ პოლიტიკაში, არ უნდა ცდილობდე იმაზე მეტი მიიღო, ვიდრე პოლიტიკა ღირს.

**— როგორ აპირებს თქვენი ახლადჩამოყალიბებული პოლიტიკური ძალა კონფლიქტების მართვას ან სამეზობლო პოლიტიკის განვითარებას?**

— თანხვედრილია რესპუბლიკელების, ბიძინა ივანიშვილის და თავისუფალი დემოკრატების კონცეპტუალური ხედვები მეზობლებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ახალ პოლიტიკურ ალტერნატიულ ცენტრს რაიმე ახალი ერთობლივი დოკუმენტი ჯერ არ დაუდია. რესპუბლიკელების და თავისუფალი დემოკრატების კონცეფციები იდენტურია, იმის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკელები ძალიან მოსწონს ივანიშვილს, განსაკუთრებით კი პაატა ზაქარეიშვილი, მისი კონფლიქტების დარეგულირების კონცეფციის გამო. რუსის ტანკი უნდა ვაქციოთ ჟანგად, ჩვენ მას ვერ მივაწვებით და ვერ გავიყვანთ.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ უნდა გააქტიურდეს სახალხო დიპლომატია და ეკონომიკური თანამშრომლობა?**

— ტანკის გაყვანას ვერ მოვახერხებთ, თუკი აფხაზებს და ოსებს არ მონდათ ჩვენთან ერთად მისგან გათავისუფლება. ეს მოხდება მაშინ, როდესაც საქართველო იქნება უსაფრთხო და მიმზიდველი ქვეყანა და რუსის ტანკი იქნება მათთვის ხელისშმშლელი. ტანკი, რკინა, დაჟანგდება ისე, როგორც სსრკ-ს მოუხდა აღმოსავლეთ ევროპიდან ჯარების გაყვან. ეს გრძელვადიანი პერსპექტივაა და ამას უნდა მუშაობა. ამას სჭირდება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონტაქტების გაღრმავება, არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება. არავინ არ იცნობს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ცივილიზებული სამყაროდან. ჩვენ ეს კოზირი გვაქვს და უნდა ვეცადოთ, მათთანაც გვქონდეს ურთიერთობა და ამასთანავე, დასავლეთის მხარდაჭერა. ვეცადოთ იმას, რომ რუსეთი გახდეს იძულებული, უკან წაიღოს ყურითმოთრეული აღიარება.

როგორია სამხრეთ სამეზობლო პოლიტიკის თქვენეული ხედვა?

ამ მეზობლებს ერთმანეთთან ცუდი ურთიერთობები აქვთ. თურქეთ-აზერბაიჯანი უფრო მტკიცე ურთიერთობაში არიან, კარგი ურთიერთობა აქვთ სომხეთ-ირანს, მაგრამ თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის სიმჭიდროვე უფრო მაღალია. ქართველებს ისტორიულად და პოსტ-საბჭოთა პერიოდშიც, თუკი რამე წარმატება გვაქვს,ეს არის ყველა მეზობელთან კარგი ურთიერთობა. შეიძება მეზობელთან გქონდეს პრობლემა, ხანდახან კონფლიქტურიც, ისევე, როგორც ადამიანებს, ოჯახის დონეზე. გერმანია-საფრანგეთის მეზობლობამ უამრავი ომი გამოიწვია, მაგრამ მათ შძლეს კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარება.

ის, რომ ჩვენ ყველა მეზობელთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ეს არის პლიუსი,მაგრამ თითოეულ მეზობელთან გვაქვს პრობლემები. ეს ბუნებრივია, ეს ნორმალურია. ეს პრობლემები გადასაჭრელია. გვაქვს მაგალითად, სომხეთთან რაღაც ტიპის პრობლემები საქართველოს ეკონომიკასთან დაკავშირებული განსხვავებული ხედვები. საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, სომხებისთვის საინტერესოა, თუმცა აცხადებენ, რომ ძალიან ბევრს ვართმევთ ტრანზიტისთვივის. საქართველოში ხალხი წუხს, რომ სომხეთს საქართველოში მხოლოდ საკუთარი ინტერესები აქვს, მას გზა უნდა ერევნიდან ბათუმამდე, ჯავახეთის გავლით. საქართველოში არის სომხური ეკლესიები, რომელთა ნაწილი დღეს სტატუსგარეშეა, ასევე პრობლემურია სომხეთის ქართულ ეპარქიასთან დაკავშირებული საკითხი. მაგრამ ეს არ არის გადაუჭრელი პრობლემები. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ ეს ურთიერთობები, რაც გვაერთიანებს, იმის საფუძველზე მომგებიანი გავხადოთ ორივე მხარისათვის.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადება საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაციის შექმნის სურვილის შესახებ, სრულიად არარეალისტურია, ეს არასდროს არ მოხდება და ამით მხოლოდ სომხეთს ვაღიზიანებთ. კარგია, რომ ირანთანაც კარგი ურთიერთობა გვაქვს.

ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი რომ დაჩქარდეს, ჩვენ ევროპას უნდა ვემსგავსებოდეთ - სასამართლო სასამართლოს უნდა ჰგავდეს, ეკონომიკა ევროპულ ყაიდაზე უნდა იყოს მოწყობილი....

**— პრეზიდენტმა გაეროს ტრიბუნიდან ერთიანი კავკასიის შექმნის იდეაზეც ისაუბრა.**

— პრინციპულად არ ვეთანხმები საერთო კავკასიური ოჯახის შქმნის იდეას. უნდა გვქონდეს ძალიან კარგი და თბილი ურთიერთობები რფ-ში შემავალ სუბიექტებთან კავკასიაში, მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ - ქართული მენტალობა, ტრადიცია, კულტურა, ისტორია და მომავალი არ გადის ჩრდილოკავკასიელებთან მჭიდრო ურთიერთობაზე.

ჩვენ სხვადასხვა ორიენტაციის ხალხები ვართ, ჩვენ ვგავართ ერთმანეთს ანთროპოლოგიურად, მაგრამ სხვადასხვა ღირებულებით სისტემაში ვცხოვრობთ.

**— ის 11 სამუშაო ჯგუფი, რომელიც ტრიპარტიზმის პრინციპით ჩამოყალიბდა, რა მიმართულებებით მუშაობს?**

— არის საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების, კონფლიქტების, ადამიანის უფლებების დაცვის, კონსტიტუციური მოწყობის ჯგუფები. სხვადასხვა დოზით და სხვადასხვა კუთით ევროპასთან ურთიერთობას ამ ჯგუფების უმრავლესობა ეხება.

8 gv.

# `don~ osurad wyals niSnavs _ doni osebis mdinarea

## imdenjer mouwyves rusebma osebs genocidi, rom maTSi winaaRmdegobis gawevis nacvlad maTdami ltolvis kodi Caido

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია სკანდალური განცხადებებით ცნობილი **არჩილ ღუდუშაური,** რომელიც ამჯერად ე.წ სამხრეთ ოსეთში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით სასაუბროდ გვეწვია.*

— სანამ იმას ვიტყოდე, რაც ოსებმაც კარგად იციან, მაგრამ მრავალმხრივი დაუძლურების გამო მაინც რუსეთს უძვრებიან კალთაში თუ ხახაში, აუცილებლად უნდა ვთქვათ რაც ხდება ამჟამად სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით.

**— სამაჩაბლოში!**

— რა სამაჩაბლო? სამაჩაბლო ერთი მცირე ტერიტორია იყო, მაჩაბელის საადგილ-მამულო ტერიტორია, დანარჩენი და მთლიანობაში, ეს იყო ქართლი, საქართველოს ერთ-ერთი კუთხე — დავანებოთ ახლა ამას თავი. გადაირევი ადამიანი, 11 პრეზიდენტობის კანდიდატის გამოტყვრომა იგივეა, რაც ყველა ათასკაციანმა ჯგუფმა საკუთარი კანდიდატი რომ წამოაყენოს. როგორც ვხედავთ, ორი კანდიდატი გამოიკვეთა, ანატოლი ბაბილოვი და ალა ჯიოევა...

**— საინტერესოა, ბაბილოვი სამხედრო პირია, საქართველოს წინააღმდეგაც იბრძოდა რუსეთის მხარეს, კრემლი ყველანაირად უჭერდა მხარს, თუმცა ჯიოევამ მასზე მეტი ხმები მიიღო. იქ რაღა თამაშია, რუსეთს დაქვემდებარებულ პატარა ოსეთში, დავიჯეროთ, დიდი რუსეთი უძლურია ოსი ხალხის ნების წინაშე?**

— არავინ არაა უძლური, უბრალოდ, ჩვენზე კარგად თამაშობენ და ჩვენზე უარესად აქვთ აზელილი ურთიერთობები ერთმანეთში. პირველ ტურში ჯიოევას ხმების რაოდენობა ჯამბულათ თედეევმა განაპირობა. ეს ის ჯამბულათია, რომელსაც ნათქვამი აქვს, რომ ძმის სიკვდილის გამო სისხლს აიღებს.

**— მახსოვს, საუბარი იყო, რომ კოკოითი ძმებმა თედეევებმა მოიყვანეს ხელისუფლებაში, მერე კი, ერთი ძმა მოაკვლევინა კოკოითმა.**

— დიახ და, ბაბილოვმა კოკოითს გარკვეული გარანტიები არ მისცა, ანუ რუსეთმა. კოკოითი კი, ვითომ „ჩამოიწერა“, მაგრამ მან დაუგდო რეიტინგი ბაბილოვს.

**— ვერაფერი გავიგე...**

— კოკოითმა რომ ვერანაირი გარანტიები ვერ მიიღო, ვერც ქონების შენარჩუნებისა და ვერც სიცოცხლისა (რა ვიცით კიდევ რისა), ბაბილოვს მიეტმასნა. ხალხი, მოსახლეობა, რომელსაც ხსენებაც აღარ უნდა კოკოითის, ერთბაშად ჩამოშორდა ბაბილოვს და მასზე მეტი ხმა ჯიოევას დარჩა.



**— კოკოითის ხეირი?**

— რა ვიცით, აბა, ეშმაკი მელას გათვლები? — დრო გვიჩვენებს...

**— რეფერენდუმის შედეგები არ დაგავიწყდეთ, თითქმის 84%-მა დაუჭირა მხარი რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შორს არაა ის დრო, როცა ორი ოსეთის გაერთიანებაზე კვლავ დაიწყება კარგახნის წინ დაწყებული საუბრის წამოწევა.**

— 2015 წლამდე დრო გვაქვს იმისთვის, რომ რამე ვიღონოთ, ვინაიდან, რუსეთს ოლიმპიადა აქვს ჩასატარებელი სოჭში, მაგრამ ვინაა რამის გამკეთებელი, — ვერ ვხედავ. ოსებს მივუბრუნდეთ, — ოსების მოსვლა საქართველოში დაიწყო რუსების ძალადობით ოსებზე, მოსვლით კი არა, შემოყრით. ლაპარაკია იმ ათი სოფლის შემოსახლებაზე, რომელსაც მისცეს ქართული ხუთასი სოფლის ტერიტორია. ეს არის გასულის საუკუნის 20-30-იან წლები. ყველა ოსმა იცის, რომ ის ლტოლვილია საქართველოში, აყრილია თავისი ისტორიული მიწიდან და გამოყრილია საქართველოში.

**— განათლებულ ოსებზე ამბობთ?**

— ნებისმიერ ოსზე. აბა, ჰკითხეთ, რას ნიშნავს მათთვის მდინარე დონი, ყველა გიპასუხებთ, რომ „დონ“ ოსურად ნიშნავს „წყალს“ და ის მათი მდინარეა. მათ იციან, რომ მდინარე დონის აუზი არის მათი მიწა, დონისა და ვოლგის, ასე ვთქვათ, შუაწელი. მათი აყრა იმ ადგილებიდან რამდენჯერმე მოხდა, დაწყებული ძველი რუსეთის დროიდან.

**— „დონ“, შეიძლება, „წყალს“ ნიშნავდეს ოსურად, მაგრამ ეს დიდს არაფერს ნიშნავს...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ იმ ტერიტორიაზე ოსური ნასოფლარებიცაა, ოსური საკულტო ნაგებობების ნაშთებიც. გარდა ამისა, ოსურ თქმულებებშია შემონახული „ნართული ეპოსი“, ზოგადად, კავკასიელ ხალხთა ეპოსია, მაგრამ უფრო სრულად ოს, აფხაზ და ადიღელ ხალხებთანაა. საქმე იმაშია, რომ ყველას, მათ შორის ბალყარების, ყარაჩაელების, ინგუშების, ჩეჩნების თუ დაღესტნის „ნართულ ეპოსს“ საფუძვლად უდევს ძველი ალანური ეპოსი, რომლის ფესვები ძვ. წ. VII-IV საუკუნეებამდე აღწევს. „ნართებშივეა“ მინიშნებული მათი ისტორიული ადგილსამყოფელი. კავკასიელ ხალხს დღესაც ის აქვთ სათქმელი, ესენი, ოსები, საიდანღა მოვიდნენ აქო, — სადაო ტერიტორიები მათაც აქვთ.

**— გასაგებია, ოსური „ნართები“ ლამის სკვითების ეპოქამდე აღწევს, მაგრამ აფხაზური „ნართები“ რომ მხოლოდ გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოჩნდა? სად იყო მანამდე აფხაზების შემეცნებაში გმირი „ნართი“ და ისიც, რომ გამოჩნდა მხოლოდ აფხაზურ და რუსულ ენაზე?**

— რუსიფიკაციამ ყველაფერი გააკეთა, მათ შორის ისიც, რომ ათი სოფლის ტერიტორია თუ



ჰქონდათ მთაში, ათასი სოფლის ტერიტორია მისცეს ბარში. ახლა უკვირთ, ყველაფერი შევუსრულეთ და რუსები მძიმე დღეში გვაგდებენ მაინცო. ადამიანობის წესებს რომ არ დაიცავ, დაგჩაგრავენ, აბა, რას გიზამენ?

**— ე.წ აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, 17% იყო მხოლოდ აფხაზი.**

— ტყუილია, 3%-ზე მეტი არ იყო, დანარჩენი, გარკვეული მოსაზრებით აფხაზებად დაწერილი სომხები და მეგრელები იყვნენ. სხვათაშორის, ოსები აღნიშნავენ, რომ თავიანთი ზნე-ჩვეულება და ენა ქართველებმა შევუნახეთ.

კავკასიელ ხალხს, (არა კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებთ) არავის არ უნდა რუსეთი, მისგან განთავისუფლება უნდა ყველას, მაგრამ იმდენად აკუმულირებულია რუსების ძალადობა ოსებში, რომ მიუხედავად უხსოცარი დროიდან რუსების ოსებზე ძალადობისა, მისკენ მიილტვის. იმდენჯერ მოუწყვეს რუსებმა ოსებს გენოციდი, რომ მათში, წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად, მათდამი ლტოლვის კოდი ჩაიდო, — სანამ მთლად გამქრალან, ეს უნდა გაისიგრძეგანონ ოსებმა! როგორ გამოდის იცით, ხომ მჩაგრავს — მჩაგრავს და აღარ დამჩაგროსო, ალბათ... მაგალითად, ჩეჩნებისაც რამდენიმე გადასახლება იყო, თურქეთში, ირანში, იორდანიაში, შუა აზიაში, მაგრამ თავისუფალი სული ვერ ისვენებს, ჩაგვრას არ და ვერ ეგუება...

**— ჩვენ კი ვეხვევით ყველას ნაცვლად გაუგებრობაში და...**

— გეთანხმებით. რუსები ოსებს ჩაგრავენ, — ოსები მათი ხელით ჩვენ გვჩაგრავენ; რუსები აფხაზებს ჩაგრავენ, — აფხაზები მათი ხელით ჩვენ გვჩაგრავენ...

**მაია ჭელიძე**

---

7 gv.

იანუკოვიჩის უკრაინა უფრო ახლოსაა ევროკავშირთან, ვიდრე სააკაშვილის საქართველო. ჩვენ ვერ დავაკმაყოფილეთ მინიმალური სტანდარტებიც კი, რომ ასოცირებული ხელშეკრულების პროცესში ვიყოთ. შენგენის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმი ვერ შევცვალეთ, მართალია შემცირდა ვიზის გადასახადი, სტუდენტებისათვის, სპორტსმენებისათვის შეღავათია, მაგრამ სამუშაო ვიზაზე ლაპარაკიც არ არის.

**— ევროკავშირთან ურთიერთობებში ერთერთ ხელისშემშლელ ფაქტორად ხშირად ასახელებან ქართველთა კრიმინალურ ქმედებებს შენგენის ქვეყნებში. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?**

— ავსტრიაში რამდენი პირიც დაიჭირეს, მათგან დიდი ნაწილი ქართული წარმომავლობისა იყო. 90-იან წლებში ჩვენ გვქონდა უვიზო რეჟიმი უნგრეთთან, პოლონეთთან, ბულგარეთთან. ჩვენმა კრიმინალურმა პრეტენზიებმა ევროპის ქვეყნების საზოგადოებაში გარკვეული დამოკიდებულება შექმნა. ეს ხელისუფლების ბრალი არ არის. ჩვენივე მოსახლეობის ერთი ნაწილის ბრალია.

# ivaniSvils, `respublikelebs~ da `Tavisufal demokratebs~ saerTo Rirebulebebi aerTianebT

ქართველების მენტალური ცვლილების აუცილებლობის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ევროპაში განაცხადა. რამდენიმე დღის წინ ”მაესტროთი” მოვისმინეთ ბატონი ბიძინას შეფასება ადამიანების ფსიქოლოგიური და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ. როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი მხოლოდ ერთ კონკრეტულ ჯგუფზე საუბრობდა? ქართულმა საზოგადოებამ 70 -წლიანი საბჭოთა გამოცდილების, შემდგომ უკანასკნელი 20 წლის დემოკრატიის ძიებაში, რა თქმა უნდა, გარკვეული მენტალური ცვლილებები განიცადა.



თუკი გავიხსენებთ იმ მხცოვან ადამიანებს, რომელთაც რესპუბლიკური პარტია მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ, მენტალურად ისინი საბჭოთა კავშირში არიან. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ზვიადის, ასლანის თუ ედუარდის ხაზით მოაღწიეს. პარტბილეთიანი მართლმადიდებელი არ გამიგია მე. ფსევდო-ცხოვრების წესი, ფსევდოპატრიოტიზმი და ყველაფერი ფსევდო, მნიშვნელოვნწილად გადმოგვყვა 20 წლის შემდეგაც.

ივანიშვილი ძირითადად სახელისუფლებო გუნდზე საუბრობდა, მაგრამ მარტო ხელისუფლებაში არ არის პრობლემა. ხელისუფლებას იმიტო აქვს ძალაუფლება, რომ მას აქვს საყრდენები. როდესაც ქრთამს გაძლევენ, მარტო ქრთამის მიმცემი არ ჩადის დანაშაულს. როდესაც ამომრჩევლის მოსყიდვა ხდება, ორივე მხარე დანაშაულებრივ გარიგებაშია. მხოლოდ მორალური სიმწირის გამო. განა არ მესმის, რომ სიდუხჭირეა...

სიდუხჭირეს ერთჯერადად მიღებული 20 ან გნებავთ 100, 1000 ლარი აღმოფხვრის?

ეს არ არის მხოლოდ მატერიალური გაჭირვების პრობლემა. ეს სულიერი გაჭირვების პრობლემაა.

**— ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ხშირად გვესმის ტერმინი ”რეალური პოლიტიკა.” რამდენად შეძლებს რეალ-პოლიტიკა თვით პოლიტიკაზე გავრცელებული მოსაზრების - ”პოლიტიკა ბინძური საქმეა” გაქარწყლებას?**

პოლიტიკა ერთი ნაწილისთვისაა ბინძური, მეორისთვის - სუფთა, ისევე, როგორც ნებისმიერ პროფესიაში, ერთი ადამიანი კარგად იქცევა.მეორე - ცუდად. საქართველოს პოლიტიკაში უწყვეტად იყო მორალური პოლიტიკა. ბატონი ივანიშვილის პოლიტიკაში გამოიჩენით მორალური პოლიტიკა დომინანტ პოლიტიკურ მიმართულებადქცევის პერსპექტივა გამოჩნდა. იყო უმცირესობაში მორალი, დღეს არის მაღალი ალბათობა, რომ მორალური პოლიტიკა იყოს უმრავლესობაში.

**ნინო ფირცხალავა**

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა:*

—თავისუფალი მედია წარმოადგენს მძლავრ იარაღს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, მით უფრო, არჩევნების დროს. ამიტომ გაჩაღდა ბრძოლა.

აი, სწორედ ისე, როგორც ომის დროს სტრატეგიული სიმაღლეების დაპყრობისათვის იბრძვიან შეიარაღებული ფორმირებები. „მაესტრო“ ერთ-ერთი გადამწყვეტი რესურსი გახლდათ და ამიტომ დაიწყო მისთვის ბრძოლა. ეს აბსოლუტურად ნორმალური პროცესია, მხოლოდ ფორმა, რაც ამ დავის გადასაწყვეტად შეირჩა, იყო არანორმალური.

— სხვათა შორის, კიწმარიშვილს აქვს დამსახურებები არხის წინაშე და მის ფორმირებაშიც წვლილი აქვს შეტანილი. თუმცა ამასთანავე დამფუძნებლები ირწმუნებიან, რომ ბატონ ეროსის მეტი აქვს მიღებული, ვიდრე ეკუთვნოდაო. კიწმარიშვილის ვალი არ გვაქვსო, აცხადებენ. რა თქმა უნდა, კურსში არ ვარ, რა ფინანსური ვალდებულებები აკავშირებდათ ერთმანეთთან, თუმცა ერთმნიშვნელოვანია, ეროსის იქ წვლილი ჰქონდა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, კიწმარიშვილი იქ ხელისუფლებას არ შეუგზავნია და „მაესტროს“ დანგრევა არ ყოფილა მისი მიზანი. ეროსი მიიყვანეს დამფუძნებლებმა და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტელეკომპანიის აღორძინებაში.

უბრალოდ, ასე ხდება პოლიტიკაში, მედიაში, ბიზნესში — არავის უყვარს ფულზე საუბარი, თუმცა ყველამ იცის, თანხები ერთ-ერთი მთავარი რესურსია. მამუკა ღლონტი წავიდა იმ რისკზე, რასაც ჰქვია ახალი ინვესტორების შემოყვანა და მიუხედავად კონფლიქტისა, ამან გაამართლა. მან „მაესტროს“ ფეხზე დაყენება შეძლო.

**—სხვათა შორის, ესკალაციაში ხელისუფლებასაც სდებენ ბრალს, ის კი არა, გივი თარგამაძის გამოჩენა პარლამენტში „მაესტროს“ ამბებს დაუკავშირეს, რა ლოგიკაა ამ პერიპეტიებში?**

— სულაც არ არის ლოგიკას მოკლებული შეფასებები. „იმედის“ ირგვლივ რაც გააკეთეს, ჯერ კიდევ ახსოვს საზოგადოებას, ახლაც დაინტერესებულები არიან არხის დისკრედიტაციითა და მაუწყებლობის შეჩერებით. „იმედიც“ ხომ ვითომ თავისით დაიხურა, თუმცა ძალიან კარგად მახსოვს. სწორედაც გივი თარგამაძემ საკმაოდ იმუშავა ამ შედეგის მისაღებად.

**— ამას გარდა, არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი-ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლით სპექტრის პოლარიზება ხომ არ მოხდება, ანუ ორად გამიჯნული პოლიტსუბიექტები-ხელისუფლება და ივანიშვილის ფრთის ქვეშ შეფარებული ოპოზიციაღა შეგვრჩება ჭრელი ოპოზიციური სპექტრის ნაცვლად?**

— ასეთი რეალობა მაშინ იქნებოდა, ივანიშვილს ერთიანი დემოკრატიული ფრონტი რომ შეექმნა. პრაქტიკულად, უარი თქვა ამ ვარიანტზე.

პოლიტპარტიების ვიწრო სეგმენტი არჩია-მკვეთრად გამოხატული პროამერიკული პარტიები ამოიყენა გვერდით, ხოლო სხვებთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. საკუთარი ნიშა დაიკავა პოლიტსპექტრში.



# rodis gadaivlis eiforia da ratom ugebs saakaSvili opozicias samiT nuls?

ივანიშვილს უდაოდ აქვს მაღალი რეიტინგი, მაგრამ ისიც ფაქტია, საქართველოს მოსახლეობის ოპოზიციური ელექტორატი ნამდვილად არ არის 100%-ით პროამერიკულად განწყობილი. საკმაოდ ძლიერია ეროვნული განწყობებიც. იმედი მაქვს, მრავალფეროვანი სპექტრი იქნება და ორპოლუსიანი არჩევნები არ გვემუქრება. ისე, მეორე მხრივ, თუკი ივანიშვილს კოორდინაციის სურვილი ექნება, ამაში მხოლოდ სასიკეთო პერსპექტივას ვხედავ. თუმცა ჯერჯერობით არც თავად იხრება ამ ერთობისკენ და მისი გარემოცვის ზოგიერთი ე.წ. ცნობადი წევრი სხვა ოპოზიციონერ ძალებთან თანამშრომლობის სასტიკი წინააღმდეგია.



ლოგიკური იქნება ყველა რესურსი გავაერთიანოთ ხელისუფლების წინააღმდეგ და არ დავიწყოთ ოპოზიციის ფასეულობების მიხედვით დაყოფა, რადგან ამგვარი ტაქტიკით მხოლოდ სააკაშვილი მოიგებს. თუ მაინცდამაინც, ასე უნდა მოხდეს და ვინმეს ეს სურვილი ამოძრავებს, მაშინ ცალკარა თამაშის იმედი ნუ ექნებათ.

**—რატომ?**

— ნუ, ახლა სუბიექტები, რომლებიც გირგვლიანის თემაზე დუმდნენ, 7 ნოემბერს დუმდნენ...ვფიქრობ, ისინი პოლიტიკაში მოვიდნენ არა ფასეულობების, არამედ კარიერის გამო. ახლა ზღაპრებს იმის შესახებ, თუ როგორ უყვართ საქართველო, არავინ დაუჯერებს, რადგან თუ უყვართ, მაშინ 2007 წელსაც უნდა ჰყვარებოდათ.

არ არის სამართლიანი მხოლოდ შალვა ნათელაშვილზე ჯოხის გადატეხვა, ხოლო თუ ნათელაშვილი გაგვემიჯნა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, ვინ გაგვემიჯნა საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

**— კახა, ერთიანობის ცნება დისკრედიტირებული თავად ოპოზიციის მხრიდანაა, რადგან ამ ე.წ. ერთობამ საზოგადოებას უმტყუნა და პროცესები ლოგიკურ ფინალამდე არ მიიყვანა. იქნებ, სპექტრის სიჭრელე უფრო ეფექტური აღმოჩნდეს?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ შეიძლება გაერთიანებული ოპოზიცია ვაკრიტიკოთ ამ კრახის გამო. თუმცა გაერთიანება მაინც უალტერნატივოა მარტივი მიზეზის გამო— თუ ვთვლით, რომ ხელისუფლება ტირანულია და მთავარია, მისი მოცილება, მაშინ უნდა ვიცოდეთ, ყველა ვინც გაერთიანების მიღმა დარჩება, ის პრაქტიკულად, უნდა თუუ არა, მაინც გამოდის ხელისუფლების მოკავშირე. რეჟიმის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია ჯამში მიიღებს 50%-ზე მეტს.

ნებისმიერი ერთ, ორ, სამ...ხუთ პროცენტიანი და ათ პროცენტიანი ოპოზიცია, გინდა ფსევდო დაარქვან და გინდა ნაღდი, დარჩება გაერთიანების მიღმა და ეს ხმები სწორედ რომ ოპოზიციას დააკლდება.

თუ გავიხსენებთ საპარლამენტო არჩევნებს, ოპოზიციამ თბილისში მიიღო 50%-ზე მეტი, მაგრამ წავაგეთ, რადგან ოპოზიცია იყო დაქსაქსული და ეს ხმები ერთიანი კანდიდატების მიმართ არ იყოს კონცენტრირებული.

**— კახა, გაერთიანების იმედი ახლა მაინც თუ გაჩნდა?—**

— ეიფორია ნელ-ნელა გადის. ვიღაცას ჯერ კიდევ ოქტომბერში ეგონა,რომ ყველაფერი სულ მალე დამთავრდებოდა...

ნუ, რეალურად, კი, ძალიან კარგი ცვლილებები მოხდა-გაცოცხლდა ქართული პოლიტიკა, მაგრამ მაინც პროცესებს რეალისტურად და პრაგმატულად უნდა შევხედოთ: ჯერჯერობით, სააკაშვილი ცოცხალია, ჯანმრთელია და საარჩევნო კამპანიას ბევრად უფრო ეფექტურად აწარმოებს, ვიდრე ნებისმიერი ოპოზიციური ძალა.

ზოგიერთებს ჰქონდათ ეიფორია, ყველაფერი დამთავრდა და გვეშველაო...ერთ-ერთი პარტიის საიტზე ვნახე, პრეზიდენტის, პრემიერის და პარლამენტის თავმჯდომარის პოსტებს ინაწილებდნენ. მე კი, ვფიქრობ, სულ ცოტა ხანში, თუნდაც ახალი წლის დღეების ჩავლის შემდეგ ყველა მიხვდება, სამწუხაროდ, სააკაშვილი ოპოზიციას ჯერჯერობით 3:0-ს უგებს.

**ნათია ნოდია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## „ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით, ქვეყანაში არსებული ვითარება უკეთესობისაკენ შეიცვლება“



„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის” მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, 52,8 პროცენტი ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით, ქვეყანაში არსებული ვითარება უკეთესობისაკენ შეიცვლება.

16,1 პროცენტის აზრით, ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით ქვეყანაში არსებული ვითარება არ შეიცვლება, 8 პროცენტი ფიქრობს, რომ ივანიშვლის პოლიტიკაში მოსვლით ქვეყანაში არსებული ვითარება გაუარესდება, ხოლო 23 პროცენტს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

ცნობისთვის: კვლევა ჩატარდა „სოციალური კვლევისა და ანალიზის“ ინსტიტუტმა” მიერ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის დაკვეთით.

კვლევის შედეგების პრეზენტაცია 8 დეკემბერს გაიმართება. მას დაესწრებიან პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო სექტორის და მედიის წარმომადგენლები.

2011 წლის 11–22 ნოემბერს „სოციალური კვლევისა და ანალიზის“ ინსტიტუტმა ჩაატარა ეროვნული შერჩევის სოციოლოგიური გამოკითხვა, რომელიც ეხებოდა საარჩევნო ასაკის (18 წლის და მეტი) მოსახლეობის პოლიტიკური განწყობებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ ამომრჩეველთა დამოკიდებულების შესწავლას.

სულ გამოიკითხა დაახლოებით 3000 რესპონდენტი საქართველოს 11 რეგიონში, თბილისის ჩათვლით. გამოყენებულ იქნა მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის მოდელი.

რესპონდენტთა შერჩევა მოხდა ოჯახებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის დაცვით. თითოეულ რეგიონში შერჩევის მოცულობა გადანაწილდა ისე, რომ შენარჩუნებულიყო შედეგების დასაშვები ცდომილება და მონაცემები რეპრეზენტატული ყოფილიყო თითოეული რეგიონისათვის.

გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. კვლევამ უზრუნველყო რესპონდენტთა ანონიმურობის მაქსიმალური დაცვა. ინსტიტუტის ხელმძღვანელია პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი.

„მედიანიუსი“

**გვესაუბრება ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თანამონაწილე, ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ყოფილი მთავრობის წევრი ᲛᲐᲗᲔ ᲪᲘᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**



# rogor afasebs qarTuli emigracia biZina ivaniSvilis politikaSi mosvlas?!




**— ბატონო მათე, ვიცით, რომ თქვენ ყურადღებით ადევნებთ თვალს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას. როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის შემოსვლას პოლიტიკაში? როგორ უყურებს ემიგრაცია ივანიშვილის გამოჩენას?**

— ემიგრაციაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ამ საკითხთან დაკავშირებით. ზოგი დადებითად უყურებს, ზოგი — უარყოფითად.

რაც შეეხება თვით ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას, თუ არ მეშლება, მან თქვა — მე უმრავლესობით უნდა მოვიდეო. სიტყვას მივაქციოთ ყურადღება. კაცი ამბობს, პარლამენტში მოვალ უმრავლესობითო, არ უთქვამს პრეზიდენტად მოვდივარო. მას აქვს სპეციალური პლატფორმა, რომელიც მიმართული არის საქართველოს კეთილდღეობისაკენ. ამაში კარგი უფრო მეტია, ვიდრე ცუდი. ბიძინა ივნიშვილს, მიუხედავად მატერიალური და ცხოვრებისეული კეთილდღეობებისა, უფიქრია ქვეყანაზე, სახელმწიფოს განვითარებაზე და ეს დადებითი მომენტია.

საქართველოში დღეს გაჩაღებული საინფორმაციო ომის შედეგად, რომელიც ამ ადამიანის გამოჩენას დაუკავშირდა, გამოიკვეთა ორი ძალა, მე დავარქმევდი პარტიებს — ერთი არის ინტერნეტის პარტია, მეორე — ტელევიზიის.

„ბეჭდური მედია — გაზეთი, კაცობრიობის ცივილიზაციის უდიდესი ძალაა. გაზეთები აცხადებენ ომებს, ნიშნავენ და ხსნიან პრეზიდენტებს, ადამიანებს აცხადებენ პოლიტიკოსებად, ამყარებენ წესრიგს“, — წერდა უილიამ ჰერსტი.

ადრე იყო დრო, საქართველოს საინფორმაციო საშუალებები აცხადებდნენ — დიდი შეცდომა დავუშვით, რომ შევარდნაძე სათავეში მოვიყვანეთო, მერე ამბობდნენ — სააკაშვილი, ბურჯანაძე... უარყოფდნენ გაჩეჩილაძეს, ებრალიძეს და სხვებს. ახლა რიგში ივანიშვილი დგას. ქართული პრესა უფრო ფრთხილად უნდა მოეკიდოს პოლიტიკური მოვლენებისა და პოლიტიკური პერსონების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისთვის, რადგან, როგორც ჰერსტიც წერდა: „გაზეთები აცხადებენ ომებს... ამყარებენ წესრიგს“.

როგორც ჩანს, საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას და პრეზიდენტს საბჭოთა პოლიტბიუროსავით მუდმივად ხელისუფლებაში ყოფნა უნდა, რაშიც ძალიან ცდებიან... ჩემი აზრით, საქართველოს პრეზიდენტი უკვე გუშინდელი დღეა და ხელისუფლებას ველარ შეინარჩუნებს. ამიტომაც დაფრთხა ნაციონალური გუნდი ივანიშვილის გამოჩენისთანავე. ნაციონალების სამწუხაროდ, მათი დრო მიდის და ისინი ვითარებას ველარ შეცვლიან. ისედაც საეჭვო რეპუტაციის ხელისუფლება სულ უფრო და უფრო დაბლა დაეშვა ზნეობრივად, რადგან ადამიანს ძალაუფლებაზე მეტად მისი დაკარგვის შიში რყვნის.

საერთო ჯამში კი, ბევრი რამ მედიაზეა დამოკიდებული. კერძოდ, ბეჭდურ მედიაზე, ამიტომაც დაიწყეს საქართველოში ე.წ. ჯიხურების წინააღმდეგ ომი. თქვენ, ალბათ, კარგად გახსოვთ, რას ამბობდა ოსკარ უაილდი: „ამერიკას პრეზიდენტები ოთხი წლით მართავენ, ჟურნალისტები მუდმივადო“.

მოკლედ, ჩვენ, ვინც ვიმყოფებით ემიგრაციაში და ვართ საქართველოში კანონიერების აღდგენის მომხრე, იმ შემთხვევაში, თუკი ივანიშვილს მიაჩნია, რომ საქართველო არ მიდის სწორი გზით და ის აპირებს სწორ გზაზე საქართველოს გაყვანას, ჩვენ მას მხოლოდ მივესალმებით.

**— შეიძლება ხელისუფლება მართლაც დამფრთხალია და ეს მათ რიტორიკაში უფრო და უფრო ჩანს, მაგრამ ნაციონალები არასდროს გამოირჩეოდნენ ოპონენტებისადმი კეთილგანწყობით და კორექტულობით, ყოველთვის იყვნენ მედიდური და აგრესიული. თუმცა თქვენი ნაცნობის ნუგზარ წიკლაურის ეპითეტებმა ივანიშვილის მიმართ სრულად გამოაჩინა მმართველი პარტიის დაუხვეწავი და არადიპლომატიური სახე.**

**ბატონო მათე, ნუგზარ წიკლაურმა ზვიად გამსახურდიასგან ზრდილობა რატომ ვერ შეითვისა?**

— თქვენ გულისხმობთ მის გამონათქვამს ივანიშვილის მიმართ „გადიდკაცებული მდაბიოო“ თუ რაღაც ამდაგვარი რომ თქვა, არა?

ნუგზარ წიკლაურს სტუდენტობიდან ვიცნობ. მასზე ვიცი ის, რომ კანონიერ ხელისუფლებას გაჰყვა ემიგრაციაში და იყო იმ ხელისუფლების ერთგული. გროზნოში ყოფნის პერიოდში იძახდა, ვინც არ უნდა მოვიდეს საქართველოს ხელისუფლებაში, ყველა იქნება უკანონო, სანამ კანონიერება არ აღსდგებაო.

ახლა პარლამენტის დეპუტატია. რა მოხდა, ვერ გეტყვით, იქნებ კანონიერება აღსდგა და ჩვენ ვერ გავიგეთ?! აგვიხსნან — კანონიერება აღსდგა უკვე საქართველოში? და ეს არის კანონიერება?

**— წიკლაური განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან მაინცდამაინც შეხმატკბილებული არაა და რამდენადაც თქვენი სტუდენტობის მეგობარი ყოფილა, ჰკითხეთ თუ ახსოვს გრიგოლ ორბელიანის — „ნიჭს აძლევს მხოლოდ ზენა კაცს და არა გვარიშვილობას“.**

— თქვენ ზევით ზვიად გამსახურდია ახსენეთ. მე მთელი ცხოვრება უშრეტ წყაროსავით მომყვება ზვიადის მოგონება, მასთან ურთიერთობები. ის იყო უაღრესად განათლებული და თავმდაბალი ადამიანი. მე არ ვიცი, წიკლაურმა რატომ ვერ შეითვისა გამსახურდიასგან თავმდაბლობა და კაცთმოყვარეობა.

თუკი ბიძინა ივანიშვილი საქველმოქმედო საქმეებს აკეთებს საქართველოში —კარგია. ქველმოქმედებას ძუნწი ადამიანი, საკუთარი ნიჭისა და უნარის გარეშე ვერ გააკეთებს.

„ნიჭს აძლევს ზენა კაცსო“, — მახსოვს ამას გრიგოლ ორბელიანი რომ წერდა. 1843 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ბიძას — გრიგოლ ორბელიანს კი ასეთ რამეს ეუბნება: „ნუ გძინავსო... მე არ მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა კლდე-ღრეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილას. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქებდი მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავდი ჩემს ასპარეზს“.

ასეთი ოცნება ჰქონდა მაშინ საქართველოს, კაცი სჭირდებოდათ მაშინ... მაგრამ ხომ არ დგას ასეთი დრო დღეს საქართველოსთვის?!

თუ ასეთი კაცი არის ივანიშვილი, გაუმარჯოს მის შემოსვლას ქართულ პოლიტიკაში!

**— მიუხედავად იმისა, რომ 2008-ს წლები გვაშორებს, ომის თემას არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, დიპლომატები შეეხნენ. ქალბატონმა ტალიავინიმ სპეციალური კვლევაც ჩაატარა და დასკვნაც გამოაქვეყნა, ეს თემა კვლავ განსჯის საგნად რჩება. ამას წინათ ბიძინა ივანიშვილმა თავის ინტერვიუში თქვა, რომ მან არაერთხელ შეაჩერა სააკაშვილი ცხინვალზე თავდასხმას რომ აპირებდა. ამას რუსეთის სატელიტობის იარლიყები, მოღალატის ეპითეტები და ლანძღვა მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან. თქვენ როგორ აფასებთ 2008 წლის ტრაგედიას?**

— არ მსურს ომზე ლაპარაკი. იმ საშინელებებზე, რაც ხალხებს ატყდებათ თავზე, არაა იოლი საუბარი. მე ოთხი ომი გამოვიარე. ვიცი, რას ნიშნავს ომი და მისი შედეგები.

ჩემმა ერმა — ჩეჩენმა ერმა არსებობის მანძილზე დიდი სისხლი დაღვარა სახელმწიფოებრიობისთვის, დამოუკიდებლობისთვის და დღესაც აგრძელებს ბრძოლას...

დღეს რომ ჰკითხოთ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერებს, იტყვიან: ჩვენ ვიბრძვით მშვიდობისა და დემოკრატიისთვის, სინამდვილეში იბრძვიან გეოპოლიტიკური სფეროების გაფართოებისთვის და ანადგურებენ მსოფლიო ცივილიზაციის მონაპოვრებს.

რა გააკეთეს ბუშებმა საქართველოს მიმართ, მსოფლიოს მიმართ, იცის ეს ყველამ.

ბუშმა უფროსმა თქვა: არიქა, ქართველებო, გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდის და მოაბრუნეთ, არ გაუშვათო. ქართველებმა დაამხეს ზვიადი. შედეგი სახეზეა.

მანიაკმა ბუშმა უმცროსმა მსოფლიოს განუცხადა: სადამ ჰუსეინს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღი აქვს, დაგვღუპავსო. დაიწყეს ერაყის დაბომბვა, ჩამოახრჩვეს ჰუსეინი. აღმოჩნდა, რომ ასეთი იარაღი არ არსებობდა. მაშინ კოლინ პაუელმა მსოფლიოს ბოდიში მოუხადა; ბოდიში, რომ შეცდომაში შეგიყვანეთ, ერაყს ასეთი იარაღი არ ჰქონიაო. ისე, ჩვენც ვიცოდით, რომ არ ჰქონდაო. ეს შედეგიც სახეზეა — განადგურდა მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის აკვანი — ბაბილონი.

რას ნიშნავს ისტორიის გაქრობა, იცის ყველამ, ამიტომ ისტორია აღიარებს ერთ „პოლიტიკას“, ესაა სიმართლე. სამწუხაროდ, საქართველოში ჰაერზე იძლევიან ორდენებსა და მედლებს. მსოფლიოს წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის ბუშს ქუჩა გაუხსნეს საქართველოში. ნეტავი, რა ჯილდოთი დაჯილდოვდა მამუკა ყურაშვილი, რომელმაც გამოაცხადა — კონსტიტუციურ წესრიგს ვამყარებ ცხინვალის რეგიონშიო?!

მაგ ვაიპატრიოტებმა საქართველოს ფარგლებს გარეთ ილაპარაკონ და მსოფლიოს დაუმტკიცონ, რომ თვითონ არ დაუწყიათ ომი. მანდ ლაპარაკი არაა ვაჟკაცობა, თუ კაი ბიჭები არიან, დაამტკიცონ, რომ მათ არ დაუბომბავთ ცხინვალის მშვიდობიანი მოსახლეობა.

**— ხელისუფლება, მიუხედავად ამდენი პრობლემებისა, მაინც ნატოში ქვეყნის შეყვანაზე ლაპარაკობს.**

— ნატომ ავღანეთში 9-წლიანი მოქმედებებით თავისი თავი სრულიად ამოწურა. აწყობს დღეს საქართველოს ნატოში ინტეგრაცია? იმ ნატოში, რომელიც მსოფლიოს ჟანდარმია?! მე მგონი, არა.

ნატო ვერ აღადგენს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ვერ გამოუცხადებს ომს რუსეთს... საქართველოში კი ამ საკითხის გარშემო, რამდენადაც ვიცი, აზრთა სხვადასხვაობაა — ნაწილს ნატოში შესვლა უნდა, ნაწილი ემხრობა რუსეთს. მე თუ მკითხავთ, რუსეთს ყოველთვის ჰქონდა და აქვს იმპერიული ამბიციები. დღეს იქ არ არის არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური კრიზისი, რუსეთში არის სახელმწიფო მოდელის კრიზისი და ამიტომაც ის დასანგრევადაა გამზადებული.

დღეს ბრძოლა მიდის მსოფლიოში გლობალური მართვის მოსაპოვებლად. ერთი მხრივ, ჩინეთი ამერიკის წინააღმდეგ, მეორე მხრივ, ამერიკა — ჩინეთი რუსეთის წინააღმდეგ. საქართველო უნდა გამოვიდეს ამ სივრციდან და დაიწყოს ახალი სისტემის შექმნა. ჩვენ უნდა შევკრათ კავკასია, უნდა შევქმნათ კავკასიის გაერთიანება.

**ᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ**

# `amerikas prezidentebi oTxi wliT marTaven, Jurnalistebi mudmivad~

**„საერთო გაზეთი“ ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს ესაუბრა.**

# mamuka areSiZe: iseTi intrigani, rogoric kokoiTia, aucileblad gamoiyenebs Sanss, ruseTi da saqarTvelo erTmaneTs daajaxos



-კრემლის კანდიდატებმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ნამდვილად ვერ გაიმარჯვეს. ალექსანდრე ანქვაბი კრემლის კანდიდატი არ გახლდათ, ანალოგიური მოხდა ცხინვალშიც. მაქვს ერთი რიტორიკული კითხვა, რომელზეც რა თქმა უნდა, პასუხს არ ველოდები-რაში სჭირდება რუსეთს ასეთი გაუთავებელი შეცდომების დაშვება და რა მოაქვს მისთვის ამ ყველაფერს? რუსეთმა თუ აფხაზეთის შემთხვევაში თავისი კანდიდატის მარცხი აიტანა და განსაკუთრებული ღონისძიებები არ გაუტარებია, ცხინვალის შემთხვევაში რატომღაც გაჯიუტდა და აბსოლუტურად უაზროდ, რადგან ეს გაჯიუტება მას ვერაფერს ვერ მოუტანს. 4 დეკემბრის ჩათვლით, მომიტინგეებს, რომლებიც ცხინვალის ტერიტორიაზე არიან შეკრებილნი, არაფერი ემუქრებათ. მაგრამ 4 დეკემბრის შემდეგ გადაწყვეტილება იმის თაობაზე უკვე მიღებულია, რომ მიტინგები ალიკვეთოს, რაც რუსეთის პრესტიჟს ძალიან დიდ დარტყმას მოუტანს. ამის გარდა, მე ვვარაუდობ, სამოქალაქო დაპირისპირებას, თუ შეიარაღებული ძალების გამოყენებით მიტინგების ალკვეთა მოინდომეს.

**-განაპირობა თუ არა ე.წ. სამხრეთ ოსეთში 30 ნოემბრის შემდეგ განვითარებული მოვლენები, რუსეთის WTO-ში გაწევრიანებამ, რომელმაც ცხინვალსა და აფხაზეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია?**

-აქ სხვა უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხია.



საქმე ეხება ტრივიალურ საკითხს-ფულს და ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, კორუფციულ სქემას. ბოლო სამი წლის განმავლობაში, რუსეთმა, ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციისთვის, დაახლოებით 1 მილიარდი დოლარი გამოჰყო, ადგილზე კი მხოლოდ 30%-ი მივიდა, ეს ინფორმაცია ადგილობრივი წყაროებიდანაა. ამ 30%-ის ნახევარიც, ადგილობრივი ჩინოვნიკების ჯიბეებში წავიდა. ანუ, 300 000 000 მილიონის ნახევარი ადგილობრივ ჩინოვნიკებს, კოკოითისა და ცხინვალის მერის პროვცევის ჯგუფებს შორის გადანაწილდა. გამოდის, რომ დანარჩენი 700 000 000 მილიონი მოსკოველ ჩინოვნიკებს შორის გაქრა. როგორც ამბობენ, ცხინვალში ფული ე.წ არაოფიციალურ ”რეგიონის საუწყებათაშორისო ჯგუფში” გადანაწილდა. ამ ჯგუფში გაერთიანებულია პრეზიდენტის და პრემიერის აპარატის, უშიშროებისა და რეგიონალური სამინისტროს თანამშრომლები. აქედან გამომდინარე, მოსკოვს სჭირდება თავისი კაცი ცხინვალში, რომელიც ფულს „სწორად” გაანაწილებს. კოკოითი გახლავთ ის პიროვნება, რომელმაც ძალიან ბევრი იცის, ვინ, სად და როგორ იღებდა ამ ფულს, მას გააჩნია საბუთებიც, რომლითაც, ალბათ შეუძლია შანტაჟირება რიგი ჩინოვნიკებისა. კოკოითი აღარ აწყობს რუსეთს და მუშაობის შედეგად შეირჩა ანატოლი ბიბილოვი, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების სრული გარანტია მიიღო. მას არჩევნების პირველ ტურამდე მხარდაჭერი ტელეგრამა ვლადიმერ პუტინმა გამოუგზავნა, მეორე ტურამდე, ოფიციალურად შეხვდა მედვედევს. თუმცა, გამოირკვა, რომ ადგილობრივი საზოგადოება სხვანაირად ფიქრობს. მას მობეზრდა გაუთავებელ უბედურებაში ცხოვრება, ინფრასტრუქტურის მხრივაც, იმ გადმორიცხული 1 მილიარდიდან, ბევრი არაფერი გაკეთებულა ცხინვალში,ამიტომ დაუჭირეს ცხინვალში ჯიოევას მხარი.

**-საუბრობენ იმაზეც, რომ ალა ჯიოევას უკან კოკოითის კიდევ ერთი მოწინაალმდეგე, — ჯამბულათ თედეევი იდგა...**

-იდგა და დგას კიდეც. რუსებს როგორც ჩანს, გამორჩათ ჯიოევა-თედეევას ტანდემთან მოლაპარაკება, ან ვერ მოილაპარაკეს, ან თუ მოილაპარაკეს, იმდენ ფულზე არა, რამდენიც მედვედევს უნდა მიეცა. ჯიოევაც და თედეევაც მოდიოდნენ იმ ლოზუნგით, რომ მდგომარეობას მკვეთრად შეცვლიდნენ. როგორც ჩანს, ჯიოევა-თედეევმა ნაკლები პროცენტი შესთავაზეს მოსკოველ ჩინოვნიკებს, რადგანაც მათ ბიბილოვისა და კოკოითისგან განსხვავებით, მოსკოვში ასეთი მხარდაჭერა არ ჰქონდათ და ამას მოჰყვა მთელი ეს აურზაური. არანაირი განსხვავება არაა, ჯიოევაც და ბიბილოვიც ორივე პრორუსული მიმართულების არიან, აფხაზეთისგან განსხვავებით, როდესაც 2004 წელს ბაღაფში ებრძოდა ხაჯიმბას, იქ იყო ბრძოლა პრორუსულ და პროაფხაზურ ჩინოვნიკებს შორის.

**-ალა ჯიოევა პრორუსული მიმართულებისაა, მიუხედავად ამისა, კულუარულად მაინც საუბრობდნენ მის პროქართულ მიმართულებებზეც...**

-სამხრეთ ოსეთში დიდი ასაკის ადამიანები ქართულად კარგად საუბრობენ. კოკითმა საკმაოდ კარგად იცის ქართული, თუმცა საშინელი აქცენტით საუბრობს, ალა ჯიოევა კი აბსოლუტურად სუფთად საუბრობს ქართულად. ამის გარდა, მას ქართველებს შორის ახლობლები და ნათესავები ჰყავს. საქართველოს ხელისუფლების მოუქნელი პოლიტიკის შედეგად, ბევრ ისეთ რამეს გაესვა ხაზი, რაც არ იყო საჭირო, უფრო დელიკატურად უნდა მოქცეულიყვნენ. პირველ ტურში თუ ახალგორის ქართული მოსახლეობა მთლიანად უჭერდა მხარს პრეზიდენტობის კიდევ ერთ, ცხინვალის ვიცე-მერის კოტოევის კანდიდატურას, მეორე ტურში ერთხმად დაუჭირეს მხარი ჯიოევას კანდიდატურას. საუბრობდნენ, რომ წეროვანის დასახლებაში, სადაც ახალგორელი ქართველები ცხოვრობენ, მცხეთა-მთიანაეთისა და ახალგორის გამგეობის თანამშრომლები დადიოდნენ და მოუწოდებდნენ მოსახლეობას მხარი ჯიოევას კანდიდატურისთვის დაეჭირათ.

**-საქართველოს ხელისუფლებას ეს რაში სჭირდებოდა?**

-სამი ვარიანტია. ან არ იცოდნენ ამომრჩევლის ზუსტი რაოდენობა, რადგან სულ ხუთასმა კაცმა მისცა ხმა ჯიოევას, რომელიც გავლენას არჩევნების შედეგებზე ვერ მოახდენდა. მეორე ვარიანტი მდგომარეობს იმაში, რომ ნიშანი მიეცათ ჯიოევასთვის, რათა მას მომავალში გაეთვალისწინებინა ქართული მხარის მხარაჭერა და მესამე ვარიანტი, მათ უნდოდათ გამწარებინათ კოკოითი-ბიბილოვი და ეჩვენებინათ მათთვის, რომ ახალგორში ქართული ხელისუფლება ფლობს სიტუაციას. მე ამ სამ ვერსიაში ვიკარგები და ახსნა ვერ მომიძებნია. კოკოითი გამოვიდა ცხინვალში და განაცხადა, რომ ჯიოევა, რომელიც ცხინვალის მოედანზე მიტინგებს აწყობს, ქართული ტელევიზიების მხრიდან ტრანსლირდება. ასე რა თქმა უნდა არ იყო, პირდაპირი ტრანსლიაცია ხორციელდებოდა ფეისბუქისა და ტვიტერის მეშვეობით, რომელსაც ადგილობრივი აქტივისტი ალან ცხოვრებოვი ახორციელებდა და ჩვენ ინფორმაციას იქ განვითარებული მოვლენების შესახებ საიტების მეშვეობით ვიღებდით. ამას დაერთო ისიც, რომ ტელეკომპანია „პიკის“ ეთერში რამდენჯერმე გამოჩნდა ჯამბულათ თედეევი. ამ ფაქტების კრებითობამ მისცა კოკოითს იმის საშუალება, ელაპარაკა ის, რაც ილაპარაკა.

**-შეიქმნა თუ არა ცხინვალში ჩიხური მდგომარეობა და ვის თამაშს თამაშობს კოკოითი, როდესაც აცხადებს, რომ ჯიოევამ არჩევნებში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოს?**

-თუ აფხაზეთში ორი დაპირისპირებული მხარე გახლდათ-მოსკოვი და აფხაზური საზოგადოება, ცხინვალში მხარე სამია-მოსკოვი, ადგილობრივი საზოგადოება და კოკოითი, რომელიც თავის თამაშს თამაშობს და ორივე მხარეს ეთამაშება. კოკოითისთვის უმნიშვნელოვანესია გარანტიების მიღება, როგორც კრემლის, ასევე ბიბილოვის მხრივ, მაგრამ ბიბილოვს მოსკოვიდან ასეთი ინსტრუქცია არ აქვს, ამიტომ ვერანაირ გარანტიას კოკოითს ვერ აძლევს. ეს გარანტიებია მდგომარეობის, რადგან მას პარლამენტის თავმჯდომარეობა სურს ცხინვალის პარლამენტში, ქონების და უსაფრთხოების შენარჩუნება. კოკოითმა გადაწყვიტა კრემლისთვის ეჩვენებინა, რომ მას ცხინვალში შეუძლია ძალაუფლების გამოვლენა, თუნდაც არჩევნების ჩაშლა და მან ამას მიაღწია კიდეც. ამით კოკოითმა ძალაუფლება გაიხანგრძლივა, შეუძლია სარფიანად ევაჭროს მოსკოვს, შეინარჩუნოს უსაფრთხოება. მან ერთი რამ ვერ გათვალა მხოლოდ, რომ მისი მორჩილი ცხინვალის საზოგადოება ამ საქმეზე თავს გადადებდა. მან განაცხადა კიდევ ერთი რამ- ის მომხრეა, რომ მარტში დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში ჯიოევამ მიიღოს მონაწილეობა. თუმცა, ჯიოევას მხარემ უარი განაცხადა ყველაფერზე და თქვა, რომ 10 დეკემბერს ინაუგურაციას გამართავდა. ცხინვალში, რა თქმა უნდა ჩიხური მდგომარეობაა. თუ ცხინვალმა შეცვალა გადაწყვეტილება და ალა ჯიოევა პრეზიდენტად აღიარა ხომ კარგი, თუ არა და სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყება. თუ საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდა, ისეთი ინტრიგანი, როგორიც კოკოითია, აუცილებლად გამოიყენებს შანსს, რუსეთი და საქართველო ერთმანეთს დააჯახოს.



**-თქვენ რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ახალ საფრთხეს ხედავთ?**

-არ არის გამორიცხული. სამხრეთ ოსეთი არ არის ტერიტორიულად იმხელა,როგორც თუნდაც აფხაზეთი, სადაც სოხუმსა და ენგურს შორის სიტუაციის გაშლა შეიძლება, ცხინვალის გარეუბნიდნ, მამისაანთკარიდან ერგნეთამდე სულ 50 მეტრია, სადაც ქართული პოლიციის პოსტებია. კოკოითი არის ავანტიურისტი პიროვნება, მან 2008 წელს არანაკლები გააკეთა, რათა რუსეთ-საქართველო ერთმანეთისთვის დაეტაკებინა. ამიტომ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

**ნუცა დავითაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# `arapuriTA, qarTvelobiT ganvicdi SimSils~

## movuwodeb mTel saqarTvelos, gansakuTrebiT axalgazrdobas, gadavarCinoT `qarTuli ocneba~, davudgeT gverdiT ivaniSvilis ideas da nu vicxovrebT mxolod dRevandeli dRiT!

*გვესაუბრება პოეტი რეზო ამაშუკელი.*

**— ბატონო რეზო, როგორ ფიქრობთ, რა ამბებია ატეხილი ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ, რა ხდება, ივანიშვილის სატელევიზიო ინტერვიუსა და ამ აურზაურს შორის კავშირი შეიძლება არსებობდეს?**

— სანამ თქვენს კითხვას ვუპასუხებდე, ერთ რამეს გეტყვით.

**რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით ვნახე ბათუმში, როგორ იდო მაგიდაზე სახალადეცე ღორის თავი — წიკლაური, გვერდით ჰყავდა მისკუპებული ნასოსით გაბერილი გაცვეთილი დემაგოგი, ჰალსტუხიანი ხვლიკის ადიუტანტი ახვლედიანი, იქვე იყო ჩახვაძეც, ნაცმოძრაობის ხელისბიჭი, რომლის დახასიათებაც პირდაპირ თხოულობს რითმას: ბლანჟეიანი ჩახვაძე, თანახმა არის ჩახდაზე. აი, ეს სამი ადამიანი აბოლებდა ხალხს ბათუმში პარლამენტთან დაკავშირებით. უნდათ გაზარდონ პარლამენტი, რადგან ასე უნდა მიშას, ამ გარეკილ სულელს. რას აპირებენ, 40 ელდარ კვერნაძე უნდათ გამოჩეკონ?**

მოგეხსენებათ, მე ვაკეთებ ხანდახან მეტაფორულ შედარებებს, მაგრამ ეს არის ჩემი, როგორც პოეტის საქმე და როცა ვინმეს მიმართ მწარე-მწარეებს ვლაპარაკობ, პირველ რიგში, სულიერ სიმახინჯეს ვგულისხმობ, თორემ არც ჩვენ ვართ ავთანდილები და აპოლონ ბელვედერელები. მაგრამ ამას წინათ გუბაზ სანიკიძემ ისეთი რამ თქვა, რომ იტყვიან, პირდაპირ მიზანში მოარტყა, არ მეგონა, თუ ვინმეს შედარება შემშურდებოდა და უნდა ვაღიარო, გუბაზის არ იყოს — ეს კაცი ნამდვილი ბოროტი სულელიაო.

რაც შეეხება „მაესტროს“. ესენი ამ არხს მაინც დახურავენ. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა. ხოლო რაც იქ ამ დღეებში მოხდა, პირდაპირ ვაცხადებ, ეს ხელისუფლების მოწყობილი ამბავია, ივანიშვილი მივიდა და აჩვენა მთელ საქართველოს, რომ ის, პირველ რიგში, არის ქართველი, ყველაფერი, რაც გააჩნია, უნდა სამშობლოსთვის და მზად არის თავი გაწიროს საქართველოსთვის. გამოვიდა და ილაპარაკა ძალიან მშვიდად პრობლემებზე, რაც ჩვენს ირგვლივ ტრიალებს. რაც ილაპარაკა ფსიქოლოგიაზე, ეს პირდაპირი მინიშნება იყო და ამან შეარყია ეს არანორმალური.

ბუხარში ჩავარდნილ მაჯლაჯუნას რომ ჰგავს კიწმარიშვილი, ეს ნეხვის ხოჭო, ეგ ხომ კაცი არ არის. მაგის სატელეფონო ჩანაწერი რომ აჩვენეს, ვითომ ოქრუაშვილს ელაპარაკებოდა. სინამდვილეში, აქ ელაპარაკებოდა თავის დამკვეთებს. კიწმარიშვილი ნაციონალების პროდუქტია და ყველგან, სადაც მოვიდა ამათი შეგზავნილი იყო. ვითომ ოქრუაშვილს ელაპარაკებოდა? სპექტაკლია ყველაფერი.

ხომ ამბობენ, რაც ხდება „მაესტროში“, ეს შიდა დავააო, ხალხს თვალს ვერ აუხვევენ, ვერც მიხეილ გარეკილი, ვერც მაჭავარიანი — მიხეილ გაცვეთილი და ვერც ვერავინ საერთოდ. ხალხი ყველაფერს ხვდება.

ერთხელ კიწმარიშვილი **„ბიგ-ბენში“ შეეხვდა ცოლთან ერთად, 150 კბ-შეახტეს. მაგრამ არა მგონია, ის ქალიც ქალიან დარდობდეს, აკოცებს თუ არა ეს ბუხრის მაჯლაჯუნა.**

მოკლედ, მაგ გარეწარს პირდაპირ რომ შევხვდი, ბოთლის ჩარტყმა მინდოდა თავში და გამყიდველმა ბოთლი შემიცვალა, ეს ძვირიანიაო. კიდევ კარგი, რომ გამექცა იქედან, თორემ ცუდ საქმეს ჩავიდენდი, გავუპობდი თავს, მაგრამ ის მაგას მაინც ვერ აცდება.

**კიწმარიშვილი არის ყველაზე თახსირი კაცი მათ შორის, ვინც ცხოვრებაში მინახავს.**

ამას წინათ ვუყურებდი და გამახსენდა თენგიზ აბულაძის გენიალური „ნატვრის ხე“, როცა შეთეს და გედიას ჩხუბის მომენტში ცხვრის ტყაპუჭით ჯუჯა მორბის, ზუსტად იმას ჰგავს ეს ვაჟბატონი.

**რაც შეეხება „მაესტროს“, პირდაპირ ვაცხადებ, აქ ხელისუფლების ხელი ურევია, მაგრამ როცა კაცობაზე და ადამიანობაზე მაღლა წილები, ფული და ასეთი რამეები დგას, მე არ მინდა ასეთ საქმეში გარევა. მაგ ამბავში, ყველაზე მეტად ჟურნალისტები მეცოდებიან. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, ეს ქვეყანა ჟურნალისტების დალუპულია და მე მოვითხოვ, თუ ცოცხალი დავრჩი, სახელმწიფო დამნაშავეებთან ერთად დამნაშავე ჟურნალისტებიც გასამართლდეს. კიწმარიშვი-**





**ილი რომ აქვს და პირში რომ არ ეტევა, ბოზების ინდუსტრია რომ ჩამოაყალიბა საქართველოში იმ ქალთან ერთად. ისეა ეს ქალბატონი აწოწილი, რომ მოინდომოს ამ ცხრა ლობეზე გადამხტარმა კიწმარიშვილმა, ვერც კი აკოცებს, უნდა ლის გაზრდილი გომბიოებით არის მოფენილი დღეს ქართული მედია და ძალიან ნუ მეპრანჭებიან ამ დასავლური ღირებულებებით.**

დაახლოებით ერთი თვის წინ სოჭში ოსური კულტურის დღეებზე პოეტმა რეზო ამაშუკელმა მისალმების ტექსტი გააგზავნა, ტექსტს თურმე ოსები ტირილით, ფეხზე დამდგარი უსმენდნენ. ორიოდე კვირის წინ კი ბატონმა რეზომ ორდენი მიიღო წარწერით:

ღირსების ნიშანი რეზო ამაშუკელს კავკასიაში მეგობრობის მისიისთვის საქართველოს ხალხთა ასამბლეისგან.




არ არსებობს არავითარი სხვა ღირებულება, გარდა ეროვნული ღირებულებებისა და ყველა ქვეყანას აქვს თავისი ღირებულებები. მაძღარი პითონი რომ არის ბოკერია და მისი ცოლი — მანგუსტა, მაგათი „ტაბულა“ თუ რაღაც ჯანდაბა ვის უნდა დღეს საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ უაღრესად დიდ პატივს ვცემ ივანიშვილის მოსაზრებებს, უნდა ვთქვა, დარწმუნებული ვარ, ესენი უსისხლოდ აქედან ფეხსაც არ გაადგამენ. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა.

**— გამოდის, რომ არჩევნებზე ლაპარაკი ილუზია ყოფილა.**

— რომელ არჩევნებზე მელაპარაკებით. გამოვიდა ამას წინათ ჯონ ბასი, რომელმაც ზეპირად იცის, რომელ ოთახში რამდენი სკამი მიდგას, რომელ საათზე ვსვამ ჩაის და ის არ იცის, იდიოტი რომ ზის აქა? თუ პოლიგონი უნდათ?! წავიდნენ, ბატონო და საჰარაში იომონ ნავთის გულისთვის.

ამ გიჟმა ერთი კვერცხი ხომ დადგა ბათუმში, მეორე კვერცხი ამერიკაში ჰყავს — ლოყებზე წვერიანი კვერცხები აქვს მიწებებული და ელჩი ჰქვია სახელად. ეს მაცივრების ბარიგა ესაა. ანთროპოლოგიურად რომ შევხედოთ, ადამიანს მაინც ჰგავდეს, მერე იტყვიან, გარეგნობაზე რატომ ლაპარაკობო და დამიწყებენ ქსენოფობი ხარ და ისაო, კარგად გაჩხრიკეთ, ვინ არის და ვინ არ არის ქართველი. ნამდვილი ქართველი ბოლომდე არ გაწირავს ქვეყანას, თუმცა ბევრი ვნახეთ ასეთიც...

ამ გილაურის ცხვირი იყოს ახალ ზელანდიაში, ტანზე დიდი თავი რომ აქვს, რას შლის ხელებს და რა უნდათ, საერთოდ, ამათ საქართველოსგან?!

ძალიან დიდ პატივს ვცემ ქალბატონ თეა წულუკიანს, არაჩვეულებრივად წყნარი საუბარი აქვს, რასაც ჩემი ემოციურობიდან გამომდინარე, ვერ ვახერხებ, აზრიანი გოგოა, მაგრამ ერთ რამეში ვერ დავეთანხმები, მან თქვა: ქალბატონ ჩიორასთან სიამოვნებით ვითანამშრომლებო.

**ჩიორაა, მწყერჩიტა თუ ბოლოქანქარა, ეგ არის „კმარელი“. ის რომ არის კიდევ, წარბებგადაბმული მატლი — კანდელაკი, „წითელი ინტელიგენტიო“ — რომ იძახის, დიახ, წითელი ვარ და არა ვარ ცისფერი, მაგათ ჯინაზე.**

ახლა ისეთი სიტუაციაა, სხვა ვერავინ გვიშველის, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისნაირი ადამიანი გადაარჩენს საქართველოს თუკი პატრიარქი და ივანიშვილი გვერდი-გვერდ დადგნენ. მე არაერ-



თხელ მითქვამს — ღმერთის შემდეგ პატრიარქია ჩემთვის უწმინდესი ადამიანი. ზოგიერთებივით ფარისეველი არა ვარ, რომ მიუჩოჩდებიან პატრიარქს, დაუჯდებიან გვერდით. სინამდვილეში, პირჯვრის გადაწერა არ იციან და სახარებაც კი არა აქვთ წაკითხული.

**ეს რომელი ქრისტიან-დემოკრატია, სასიტყვნეთიდან რომ არის, „მარადიული ილიელი“ — კვაჭანტირაძე. ერთ დროს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, ბევრს რომ ტლიკინებს, ამოიღოს ხმა, ვერ ხედავს, ალყაში რომ ჰყავთ პატრიარქი?**

**— რატომ არ იღებს ხმას არაფერზე, თქვენი აზრით?**

— იმიტომ რომ, ყველა დროის გარეწარია თამაზ კვაჭანტირაძე. ძალიან კარგად ვიცნობ „რუსთაველის საზოგადოებიდან“ და ვიცი, ვინც ბრძანდება.

გრიგერ ფარულავა აქ გვყავდეს და ვატო როდონაია და ამ იდიოტს ტლიკინში უნდა აძლევდნენ რუსთაველის პრემიას? ფილოლოგია რა იცის მაგან, სიცილით ვკვდები, კვაჭანტირაძის ტლიკინზე.

**ამ ფარისევლების ხელმძღვანელთან, ჰალსტუხიან ხვლიკთან რა მაქვს გასაყოფი. ერთი რომ ყელში წავუჭირო, ტვინს გაასხამს ყურებიდან, მაგრამ მე ვერ ვიტან უზნეო და გარეწარ ადამიანებს. დაანებონ თავი პლატონის ციტატების მოტანას, თორემ ქართველები ეტყვიან, პლატონური სიყვარული რაც არის — პლატონა გიყვარს და სხვა გაკვნესებს შიგადაშიგ. აი, ეგ არის მაგათი ფორმულა.**

**— ბატონო რეზო, ბიძინა ივანიშვილის ამასწინანდელ ინტერვიუს „მაესტროზე“ როგორ აფასებთ? ვილაც-ვილაცებს არ მოსწონთ თურმე...**

— ვინც მაგას ამბობს, გარეკილს მოუსმინონ თუ უკეთესად ლაპარაკობს. მაგისნაირები ინტურისტთან იდგა უამრავი, 8-8 ენა იცოდა თითოეულმა. ქალის ჰორმონებით არის გაძეძგილი ეგ უბედური, ეგა, წამლებით არის გასიებული და თვითონაც არ იცის, რას ბოდავს.

**ინტერვიუში უდიდესი რამე თქვა ბიძინა ივანიშვილმა იმ დღეს — ისე უნდა იცხოვრო, მეზობელი არ უნდა შეაწუხოო. ნახეთ, რა გააკეთა ჩემს აივანთან, საბავშვო ბაღიდან წამოღებული კოვზით რომ ჭამს საჭმელს, იმ თარგამაძემ, სახლი სახლზეა მიდგმული, ეს პედოფილი, იარაღით მოვაჭრე და ყოველგვარი სისაძაგლის ჩამდენი ადამიანი. ესენი ხალხი არ არიან არც ერთი და ბიძინა ივანიშვილის მსოფლმხედველობა, არ მოეწონებათ, რა თქმა უნდა.**

**— ამას წინათ კიდევ გაიმეორა სააკაშვილმა — რუსეთის ხელისუფლებას ჩემი სხეულის ნებისმიერ ნაწილს გავუგზავნიო. თავს სწირავს ქვეყნისთვის და მეტი რა ქნას?**

— თქვენ საქართველოში ვერ ნახავთ ვერავის, რუსეთი და რუსები რომ ეზიზღებოდეს. თუ რაიმეს შნო აქვს ეომოს ლენინს, პუტინს, სვერდლოვს... ვის რაში სჭირდება მაგის ორგანოები, მიართვას პოდნოსით ქალებს თავის ჰარამხანაში, იმ ჰარამხანის ქალებმა გაინაწილონ მაგის უვარგისი ორგანოები.

დამთავრებულია სააკაშვილის საქმე. დამთავრებულია, მაგრამ თავს ტყუილად ნუ იმშვიდებს ნურავინ. აქ სისხლი დაიღვრება უეჭველად. ეს ზუსტად ვიცი.

**ახლა გამოეთრევა ვილაცა მანგუსტას ჟურნალიდან და დამიწყებენ — რეზო ამაშუკელი არის კონსერვატორი, ქსენოფობი, ორთოდოქსი.**

**ვარ, ბატონებო, ვარ. არ მინდა, რომ ბიჭმა ბიჭი შეირთოს ცოლად. რას აქნევს უკანალს ყოველ ღამე ეს „თბილისი-ლაივი“ თუ რაღაც ოხრობა. ვინ არიან ესენი?! სააკაშვილის ბორდელებია ეს შოუები. ბორდელის შესარჩევი შოუები. ეს უბედური ესა — კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ტახირ-ტახირაო,**

ეს ალანას პრინცი ესა. აზრზე მოვიდნენ, ცოტა.

**— ამ უბედურებიდან გამოსავალს ხედავთ, ბატონო რეზო?**

— ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ —

**ივანიშვილის გამოჩენა არის ერთადერთი გადარჩენა ჩვენთვის.**

მე ყოველთვის ვერიდები ვინმეს დითირამბებს და გადაჭარბებულ ხოტბა-დიდებას, ასე იყო ბადრისთანაც, არ ვეკარებოდი სიახლოვეს, რადგან ვიცი, ქართველების ამბავი, ფულიან კაცს დაეხვევიან და როგორც კი გაუჭირდება, მაშინვე ზურგს შეაქცევენ. ახლაც ივანიშვილის მისამართით ენაგადმოგდებული ლაპარაკობენ, მაგრამ არ ვენდობი არავის!

**თუ ქართულ ოცნებაზეა ლაპარაკი, პოლიტიკური მორგიდან გამოთრეულმა პარტიებმა, რომლებიც ივანიშვილის გვერდით დადგებიან, „ქართულად იოცნებონ“ და ნუ დაგვიწყებენ ინტელექტუალური ხელების პარჭყვას, ორი წიგნი ჩვენც გვაქვს წაკითხული. მაგრამ ამათ გოზინაყიც უნდათ, თვალების ნაბვაც, ამერიკაში ტყლარჭვაც? — არ გამოვა ასე. ვიმეორებ, არ არსებობს ჩემთვის დასავლური ღირებულებები. ჩვენ რომ ღირებულებები გვქონდა, არ დაესიზმრებათ ზოგიერთებს დღესაც კი.**

არ გვინდა, ბატონო, მაგათი არაფერი. კუნძულია საქართველო, გაიგოს ეს ყველამ. ჩვენი ზნეობით და სულიერი კოდექსით კუნძული ვართ ჩვენ.

**— ივანიშვილს საყვედურობენ: ვინც გაჭირვებული არ იყო, იმათ დახმარება რაღად უნდოდათო.**

— რას ერჩიან ამ ადამიანს, არ მესმის. ბოლოს და ბოლოს, როგორც ძველ ქალაქში ამბობდნენ, თავანი ხომ არ ჰქონდა მისატანი? ამ კაცმა დააფინანსა მწერლები, მეცნიერები და სხვები, ვისაც გაწვდა. ამ კაი დედმამიშვილებს ახლა გაახსენდათ ეგ ამბავი? როგორ შეიძლება ასეთი ლაპარაკი. ჯერ ერთი, კაპიკიც რომ არ მიეცა არავისთვის ივანიშ-



ვილს, ის არ იყო საკმარისი თითქმის ყველა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი რომ გადაარჩინა?

**კი, ნანა ალექსანდრია პითონის დედაა, მაგრამ სპორტსმენი იყო, კიკაბიძე ხელოვანი კაცია, ვინმეს არ ეგონოს, რომ იჯდა ივანიშვილი და ლუპით აკვირდებოდა — ამას მივცემ ფულს, ამას — არაო. ფონდი იყო იქა, ეს ფულს რიცხავდა, ისინი არიგებდნენ. ჯერ ერთი, ვისი რა საკითხავია, ვის რას აძლევდა?**

ვითომ ხელისუფლების წარმომადგენლებსაც კვებავდაო. როცა მიხვდა ამათ არაკაცობას, მერე აღარ მიუცია — და ერთიც არის, ამაში მე ვჯობივარ ივანიშვილს: ყველაზე ადრე მე და თამაზ წივწივაძე მივხვდით, ვინ იყვნენ ესენი. მარტონი ვიყავით მაშინ.

**ბიძინა არ არის ისეთი კაცი, თავისი გაკეთებული საქმეებით იტრაბახოს. მე ვიცი, ერთი ადამიანი, რომელსაც ეხმარებოდა, თან ეუბნებოდა: არ თქვა, რომ მე გეხმარები, ერთჯერ უთხრა, მეორეჯერ, მესამეჯერ, მერე რომ აღარ გაჩერდა, ადგა და შეუწყვიტა დახმარება.**

იცოდეს ყველამ, მე საერთოდ არ ვიცნობ ბიძინა ივანიშვილს. ხელი არასდროს ჩამომირთმევია მისთვის, ვინმეს არ ეგონოს, რომ მე მის კართან ვდგავარ ყოველდღე, მაგრამ ჩემთვის სხვას არაფერს აქვს მნიშვნელობა, გარდა იმისა, რომ ეს ადამიანი აკეთებს საქმეს საქართველოსთვის, რამდენი ქველმოქმედება აქვს გაკეთებული, თეატრები ყველა მისი ფულით გარემონტდა და დღესაც ივანიშვილის დახმარებით მუშაობენ. ამას რომ უთვლიან კაპიკებს, გარეკილი რომ დადის თელავის ბაზარში კალათით, სამწვადეს ევაჭრება და ამავე დროს ბოინგებს ყიდულობს, ვინ გდია?! ვის დაეკარგა, ეს გამოხოხებული სომეხი, მამამისი ამბობდა მაგაზე უარს და ახლა, სახელი და გვარი არ მინდა ვთქვა, ზოგიერთი გულში იხუტებს...



**— რა მოგველის, ბატონო რეზო?**

— დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები — როგორც რუსები ამბობენ, ეს ყველაფერი არის „ცვეტოჩკი“, ჟურნალი, კინო აწი იქნება. მაგის თავში რა შეიძლება მოიხარშოს, კაცმა არ იცის. ეს ყველა უბედურებას ჩაიდენს. გამოსავალი კი ჩემი თვალთახედვით ორადორია: პირველი და

**ყველაზე კარგი ვარიანტი — თუ ივანიშვილს მთელი საქართველოს ახალგაზრდობა აჰყვება, გაიღვიძებს ახალგაზრდებში ეროვნული, ქართული სული, მაშინ შეიძლება გადავრჩეთ.**

დასავლური ყველაფერი ცუდი არ არის, მაგრამ საქართველო ის ხეა, რომელზეც უნდა დაამყნო და არა ძირში მოკვეთო და ახლის, უცხოს გაზრდას დაელოდო. როცა ლაპარაკობენ „ქართულ ოცნებაზე“, მე ასე მესმის „ქართული ოცნება“, როგორც ეროვნულ ღირებულებებზე დაყრდნობით ქვეყნის გადარჩენა. მეორე გზა — უფრო მიუღებელია, მაგრამ შავი და თეთრი ბიჭი უნდა შეთანხმდნენ, მერე მათი მოთრეული სააკაშვილი უნდა წაიყვანონ და დაგვასვენონ.

ხმამაღლა ვაცხადებ, თუ ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებაში“ გაერევა სხვა „ოცნებები“, რისი სიმპტომებიც ჩანს, რომ ეტმასნებიან ივანიშვილს, მე არავის თავს არ დავუხრი და ვიქნები პირველი, ვინც ამ „ქართულ ოცნებას“ გააკრიტიკებს.

**მოვუწოდებ მთელ საქართველოს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, გადავარჩინოთ „ქართული ოცნება“. დავუდგეთ გვერდით ივანიშვილის იდეას და ნუ ვიცხოვრებთ მხოლოდ დღევანდელი დღით. დავფიქრდეთ, საქართველო ნელ-ნელა ილევა, როგორც სანთელი, ჩვენი სამშობლო თანდათან ქრება...**

**გავერთიანდეთ ივანიშვილის გვერდით და იმ ოცნებას და იმედს, რაც ამ კაცმა მოიტანა, გავუფრთხილდეთ. ამ კაცმა საქართველოს დაუბრუნა რწმენა, ჩაგვისახა იმედი. მთელი საქართველო რომ ნევროზით იტანჯება, იმ საღამოს, ინტერვიუს შემდეგ, მთელი ქვეყანა იყო მშვიდი და იმედიანი, ამიტომაც შუაზე იხევიან ესენი.**

ქართველებო, ერთად დავდგეთ, რადგან დღეს „არა პურითა, ქართველობით განვიცდი შიმშილს“...

**ირანდა კალანდაძე**

# biZina ivaniSvili Tavisi msoflmxedvelobiT saakaSvilis sruli antipodia

*ვესაუბრებით ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორს, პროფესორ **ზურაბ გაგნიძეს**.*

**— ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებდით, რა არის ბიძინა ივანიშვილის ფსიქიკის ძირითადი მახასიათებლები, რა თვისებები დომინირებს მის სულიერ სამყაროში?**

— იმდენად, რამდენადაც გავეცანი ბიძინა ივანიშვილის გამოსვლებს, მის ინტერვიუებს, შემიძლია გითხრათ, რომ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის არ გახლავთ სტანდარტული პიროვნება, რაც გამოიხატება როგორც მის ფიზიკურ გარეგნობაში, ასევე სულიერ ღირებულებებში. ამხელა მატერიალური შესაძლებლობების მქონე კაცს არ ემჩნევა და არც არის გაზულუქებული და თვითკმაყოფილი.

როგორც პიროვნებას, ეტყობა, რომ თავის მიერ შექმნილი რეჟიმი აქვს და ამ რეჟიმს მიჰყვება მკაცრად. ეს რეჟიმი მის ფიზიკურ მდგომარეობაშია გამოხატული, მისი ფსიქოლოგიის გამოხატულებაა. ჩანს, რომ ის არ მიელტვის ზედმეტ სიამოვნებას ან გართობას. მისთვის სიამოვნებაა ის, რომ რაღაცა გააკეთოს.

ის ხშირად იმეორებს ფრაზას, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია". ჩანს, რომ რასაც ის ქმნის, ცდილობს, რომ სხვასაც გაუზიაროს და ამაში ხედავს სიამოვნებას. აქედან ჩანს, რომ ის არასტანდარტული პიროვნებაა და სიამოვნებას ხედავს სრულიად სხვა მიმართულებაში — სიკეთის გაკეთებაში, დახმარებაში. ის ფიქრობს, რომ რაც უფრო მეტ ადამიანს დაეხმარება, სულიერად უფრო გამდიდრდება. მისი სიამოვნება არის მიზანდასახულობაში. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ის მიზანდასახულობა არ არის მხოლოდ პირადული, არამედ განვრცობილი, განფენილი სივრცესა და დროში.

**— თავის გამოსვლაში ბატონმა ბიძინამ ახსენა ფსიქიკური აშლილობა, სენი, რომლითაც დღეს ბევრი პოლიტიკოსია დაავადებული, ამაზე რას იტყვით?**

— ხაზგასმით შემიძლია ვთქვა, რომ ის როგორც ფსიქოტიპი, შინაგანად უპირისპირდება ჩვენს დღევანდელ პრეზიდენტს. ვფიქრობ, დღეს



უკვე დასამალი არ არის და ამას სააკაშვილის გარემოცვის ბევრი პიროვნება ადასტურებს, რომ მას ახასიათებს სწორედ ეს პიროვნული ფსიქიკური აშლილობა. თუმცა ბატონ ივანიშვილს კერძოდ მის მიმართ განცხადება არ გაუკეთებია.

ბატონ ბიძინას არ ულაპარაკია თავის გამოსვლაში სოციალურ ფსიქიკურ აშლილობაზე, რაც უკვე დამახასიათებელია ჩვენი საზოგადოებისათვის. უმუშევრობა, გაჭირვება, სიღარიბე და ყველაფერი ის, რაც დღეს ჩვენს გარშემოა გამეფებული, წარმოშობს სწორედ სოციალურ ფსიქიკურ აშლილობას, ანუ ამის წარმოქმნის მიზეზები დღეს ქვეყანაში ნამდვილად არის. საზოგადოების მცირე ნაწილის ხელში მოექცა დიდი სიმდიდრე, უმრავლესობა კი ღარიბ-ღატაკია. ფაქტია, რომ როდესაც ეს ადამიანები ტელევიზიით უყურებენ პრეზიდენტს, რომელიც ფსიქიკურად აშლილია, ამ ღარიბ-ღატაკსაც უფრო ემატება ეს აშლილობა და აგრესია, რაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აგდებს მას.

მე ვხედავ, რომ ბიძინა ივანიშვილის პიროვნებაში ნამდვილად არის პოლიტიკური ფიგურის ხასიათი. ის გრძნობს, რომ დღევანდელი საქართველოს მძიმე მდგომარეობის ძირითადი მიზეზია — ფსიქოაშლილობა, თუმცა პიროვნებებს არ ასახელებს.

მთავარი კი გახლავთ ის, რომ ფსიქიკური აშლილობა ქართველი ერისთვის დამახასიათებელი მენტალობა არ არის. ეს არასოდეს არ ჰქონია ქართველ ერს — ახლა კი ეს გახდა საერთო მოვლენა ქვეყანაში.

ივანიშვილის პიროვნებიდან კი ჩანს, რომ ის არის სწორედ ამის საპირისპირო მოქმედებისა და ხასიათის პიროვნება ის არის გაწონასწორებული და მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ.

ბიძინა ივანიშვილი არის სრული ანტიპოდი მიხეილ სააკაშვილისა, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური მდგომარეობით. ასევე მინდა დავამატო, თავისი მსოფლმხედველობითაც.

რადგან ანტიპოდია და ამავე დროს ოპოზიციონერი, ვიტყოდი, რომ მისი სახით მიხეილ სააკაშვილს ძალიან სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა, რომელიც ძლიერია არა მარტო მატერიალური შესაძლებლობით, არამედ როგორც პიროვნება. ასე რომ, თუ რაიმე სერიოზულ შეცდომას არ დაუშვებს პოლიტიკაში, მიმაჩნია, რომ პრობლემებს შეუქმნის პრეზიდენტს, რადგანაც მიშას ფსიქიკური აშლილობა ვერ გაუძლებს მის ფსიქოლოგიურ სტაბილურობას. მის მეტყველებაში, გამოსვლაში, მის მოქმედებაში ჩანს, რომ მას შეუძლია შეინარჩუნოს სიმშვიდე და გონიერება. ასე რომ მისი ფსიქოტიპი ყოველთვის აჯობებს აგრესიულ ფსიქოტიპს და თუ არ აჯობებს, მით უარესი იქნება საზოგადოებისათვის, რადგანაც სოციალური ფსიქოაშლილობა ქვეყანაში უფრო გაღრმავდება.

**— ბატონმა ივანიშვილმა თავის ინტერვიუში ახსენა დედის მიერ შვილის აღზრდის აუცილებლობა გარკვეულ ასაკამდე, ამაზე რას იტყვით?**

— აქ მან იგულისხმა ის, რომ დედა, რომელიც შვილს აჩენს, მას უნდა ზრდიდეს გარკვეულ ასაკამდე, თუნდაც ოთხ წლამდე ანუ მის პიროვნების ჩამოყალიბებაში იქონიოს როლი, რომელიც ხშირ შემთხვევაში დღეს აღარ არსებობს და რაც გარკვეულ დაღს ასვამს პიროვნების ჩამოყალიბებას. აქედან გამოჩნდა, რომ ის დახვეწილი პოლიტიკოსი და უჩვეულო ტიპია.

**— შეუძლია თუ არა მას დღევანდელი მძიმე მდგომარეობიდან საქართველოს გამოყვანა, ან მისცემს მას გარემო ამის საშუალებას?**

— ის, რომ მილიარდერი, კარგი ბიზნესმენი, ვფიქრობ, კარგი პოლიტიკოსიც მსჯელობს ფილოსოფიაზე, ფსიქოლოგიაზე, ფსიქოანალიზზე და სხვაზე, იმის მანიშნებელია, რომ ის სწორად აზროვნებს, რადგანაც ყველას მოეხსენება, რომ დღეს ჩვენი განათლების სისტემაში საშინელი კრიზისია. გია ნოდიამ თუ გიგი თევზაძემ, ვითომ ფილოსოფოსებმა, საერთოდ ამოშანთეს განათლების სისტემიდან მეცნიერების ეს უმნიშვნელოვანესი დარგი. ნახევარ სემესტრამდე დაიყვანეს და არჩევით საგნად აქციეს იგი. ეს კომუნისტებსაც არ უქნიათ. ადამიანი აზროვნებით განსხვავდება ცხოველისაგან და თუ მას მსჯელობისა და აზროვნების უნარს და საშუალებას წაართმევ, ან ფილოსოფიურ მსჯელობას არ ასწავლი, ის ადამიანი აღარ იქნება. ის იქნება რობოტი, რომელიც მხოლოდ დავალებებს ასრულებს და არ აზროვნებს — სწორედ ასეთ ადამიანებად აქციეს ნაციონალებმა ბევრი თავისი მომხრე. ინტერვიუები აზროვნებით და მსჯელობით დაიწყო — ეს ძალიან კარგის მაჩვენებელია, ჩანს მას აინტერესებს განვითარებული და განსწავლული საზოგადოება, სადაც ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას თავისი კუთვნილი ადგილი აქვს. იქნება აყვენენ მას ნაციონალებიც და ცოტა აზროვნების ელემენტები შეიტანონ თავიანთ მსჯელობაში. ნაკლებად მჯერა, მაგრამ ვფიქრობ.

**— სხვათაშორის, აღსანიშნავია ის, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი, როგორც პიროვნება დაინტერესებულია ორი მეცნიერებით — ეს არის რელიგია და ფილოსოფია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ის საუბრობს ადამიანის, როგორც პიროვნულ, ფსიქოლოგიურ, ფსიქიკურ ერთობლიობაზე, აზროვნების ტიპზე, რაც დღეს საზოგადოებას ასე აკლია...**

— სწორედ ამიტომაც ვთვლი, რომ ძლიერი და გამოკვეთილი ფიგურაა დღეს პოლიტიკაში და გამარჯვების დიდი შანსი აქვს. მისი მატერიალური შესაძლებლობა არის მისი სულიერი სიმდიდრის საფუძველი და თუ ის მოვა ქვეყნის სათავეში, დაუბრუნდება საქართველოს ფილოსოფიაც, ფსიქოლოგიაც და ჭეშმარიტი აზროვნებაც. ქართველი ხალხის მანიპულირებას ვერავინ ვერ მოახდენს, თუ ის იაზროვნებს და ამისი გზა უკვე ჩანს.

**ეთერ კასრელიშვილი**

# gldanis marTlmadidebeli eparqiis mrevlis werili

**როგორც გახსოვთ, გლდანის ეკლესიის დარბევის გეგმა ერთ ღამეში შეიმუშავეს. წინა დღით ჩვენ სახალხო დამცველის ოფისის ეზოში პრესკონფერენცია ჩავატარეთ. სულ 6 კაცი ვიყავით. იქ მოძღვრის დაპატიმრება უპრობლემოდ შეიძლებოდა. გავავლოთ პარალელი: მას შემდეგ, რაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა ტელეკომპანია „მაესტროს" ეკრანზე, ერთ ღამეში დაიდგა სცენარი. ნაც. მოძრაობამ შეიმუშავა გეგმა, გამონახა თვითმარქვია ოპოზიციონერი ეროსი კიწმარიშვილის სახით და მეორე დღესვე მოიყვანეს განაჩენი სისრულეში. ყოველგვარი კანონისა და ზნეობის ნორმების დარღვევით, ღობეზე გადაძრომით, სპეცნაზის დახმარებით შეიჭრა ტელესტუდიაში, მერე რაც მოხდა, ყველამ ვნახეთ — შეჩერდა მაუწყებლობა, საიდანაც მოსახლეობა გარკვეულ საზრდოს იღებდა, ისმენდა სიმართლეს...**

**მამა ბასილი თავის ინტერვიუებში აღნიშნავდა, რომ საპატრიარქოდან ჩვენს ტაძარში გადმოსული მრევლი ერთ-ერთ მიზეზად ასახელებდა იმას, რომ მღვდლები არ აზიარებდნენ მათ, ვინც უყურებდა „მაესტროს" და „კავკასიას". ასევე, ვინც კითხულობდა ოპოზიციურ, სიმართლის მთქმელ გაზეთებს. ჩვენ მოვუწოდებთ მიხეილ სააკაშვილს და მის მოძღვარს (თუ ჰყავს): ბოლო ჟამია მისი ხელისუფლებაში ყოფნისა, ურჩიოს ვინმემ, ახლა მაინც ნუ ეწევა ღმერთის მგმობ ქმედებებს. შეინანოს, თორემ დიდი სასჯელი მოეწევა ღვთისაგან. ქართველი ხალხიც არ აპატიებს. გაითვალისწინოს, მის ცოდვებს ვალად ნუ დაუტოვებს მომავალ თაობას. რაც ხდება „მაესტროში", ეს ხომ „ზემოდან" მოდის ყოველივე?**

**ჩვენ ვეკითხებით კიწმარიშვილს, არ რცხვენია? შეიძლება პირადი ინტერესები ერის ინტერესებს ანაცვალო? ვინ მოგცათ იმის უფლება ხალხის ნერვებზე ითამაშოთ, თქვენს პიროვნებას უწყინარ ბატკნად წარმოაჩენთ, ჩაიხედეთ თქვენ სინდისში, წარსულში. ნუთუ ვერ გაითვითცნობიერეთ, რომ ამ ქვეყნიდან ვერაფერს წაიღებთ, გარდა თქვენი კეთილი და ბოროტი საქმეებისა. არ გეშინიათ საშინელი სამსჯავროსი? ყოვლად მართალ პიროვნებად რომ გვიხატავთ თავს, ჯდება კი**



**თქვენი საქციელი ამ ჩარჩოში? იმის გამო, რომ რაღაც „წაგართვეს", ღობეზე ხტომაც კი დაიწყეთ. საქართველოსთვის გააკეთებდით ამას? რა მილიონებზეა ლაპარაკი, როცა თქვენს გვერდით ხალხი ბუნკერებში იქექება. ასე დაგაბრმავათ მიწიერმა ფუფუნებამ? იოანე ოქროპირი ბრძანებს: „მდიდარი ხარ, მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, შენ ძუნწი ხარ, ამიტომ განგიკითხავ". ისევ გავავლებთ პარალელს. ჩვენმა სულიერმა მოძღვარმა სარწმუნოება და სამშობლოს ინტერესები საკუთარ თავს, ჯანმრთელობას ამჯობინა. თითქმის 5 წელი გისოსებს მიღმა გაატარა. განთავისუფლების შემდეგ მთლიანად ჯანმრთელობაშერყეული ისევ აშენებს, ისევ შრომობს ერისთვის, მათ შორის მათთვისაც, ვინაც საპყრობილეში გამოამწყვდია და ჩვენც, მრავალრიცხოვანი მრევლი სულიერ მოძღვრებთან: მამა ბასილთან (მკალავიშვილი), მამა ვახტანგთან (მარგიანი) ერთად ვიდგებით იქ, სადაც უჭირს ჩვენს ერს, ვიდგებით იმათ გვერდით, ვინც დაიცავს სარწმუნოებას — მართლმადიდებლობას, ვინც დაიცავს ჩვენს მრავალჭირნახულ იბერიას და თუ საჭირო იქნება, სიცოცხლესაც მივიტანთ სამსხვერპლოზე. ასე გვმოძღვრავს ჩვენ სულიერი მოძღვარი მამა ბასილი.**

**და ბოლოს, ისევ მივმართავთ კიწმარიშვილს: იქედან გამომდინარე, რომ თქვენთვის საკუთარი „მეს" მიღმა არაფერი არ არსებობს, ქართველი ერი გიყურებთ და თქვენ სახეზე კითხულობს ხელმოცარული, აბობოქრებული, გაუწონასწორებელი, გაბოროტებული ადამიანის ქმედებას. ნუ დაემსგავსებით იუდა ისკარიოტელს. თქვენ ხელისუფლებასთან ერთად ხალხის საკეთილდღეოდ არაფერს აკეთებთ, ერის ინტერესებიდან არ გამოდიხართ, ამიტომ ჩვენი რჩევა იქნება — ჩამოეცალეთ გზიდან მათ, ვისაც საქართველოს გადარჩენა უნდა!**

**გლდანის მართლმადიდებელი ეპარქიის მრავალრიცხოვანი მრევლის სახელით: ბელა ვაჩეიშვილი, ნანა დგებუაძე, ნანა გემაზაშვილი, მედიკო ტუსიაშვილი, ვერა მოთიაშვილი, პეტრე ივანიძე, ზურაბ ფხაკაძე, რევაზ ბასილაშვილი.**

# titani Tbilisidan



**ძალუძს თუ არა მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს პრეზიდენტ სააკაშვილის „წაქცევა"? — კითხულობს Foreign Policy. ივანიშვილი — სრულიად ახალი ფენომენია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეს არის ადამიანი, რომელზეც ახლა ყველაზე ბევრს ლაპარაკობენ, ამბობს ჟურნალისტი თომას დე ვაალი.**

წერილის ავტორი ივანიშვილს შეხვდა თბილისში,

**„ფუტურისტულ ციხესიმაგრეში, რომელიც იაპონელმა არქიტექტორმა სინ ტაკამაცუმ ააშენა და რომელსაც გარს თანამედროვე სკულპტურებიანი პატარა ტყე აკრავს. მილიარდერი საშუალო სიმაღლისაა, უზადოდ აცვია და ღიმილიანია. სადა ადამიანია, უყვარს საუბარი... იმავდროულად, იგრძნობა კოლოსალური თავდაჯერებულობა და თავდაჭერილობა",**

— გვიამბობს სტატიის ავტორი.

გამოცემის აზრით, ივანიშვილმა ერთი თვის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება თავდაყირა დააყენა. სააკაშვილმა, რუსეთთან ომის შემდეგ, მოახერხა ძალაუფლების შენარჩუნება და თანდათან დაიბრუნა ინიციატივა, გვახსენებს ავტორი. 2012-2013 წლების არჩევნების მიჯნაზე, სააკაშვილი და მისი გარემოცვა კვლავ გაბატონებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ პრაქტიკულად მონოპოლიზებული აქვთ აღმასრულებელი ხელისუფლება, პარლამენტი, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ასეთ დროს სცენაზე ჩნდება მაგნატი ივანიშვილი. მან კაპიტალი რუსეთში დააგროვა (ფორბეს-ის მონაცემებით, ახლა მისი ქონება 5,5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული) და მშვიდობიანი ცხოვრება დაიწყო — დასახლდა საქართველოში, მშობლიურ სოფელში, აქტიურად ეხმარებოდა სკოლებს, თეატრებს, ეკლესიებს, ხელოვნებას. თანაც საჯაროდ საერთოდ არ ჩნდებოდა, ამიტომაც შეარქვეს მას „გრაფი მონტე-კრისტო".

**„და უცებ, სრულიად მოულოდნელად, 7 ოქტომბერს ივანიშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკით დაკავდება, სააკაშვილს ბრძოლაში იწვევს და აპირებს, გაისად, არჩევნების შედეგად „ხელისუფლებაში მოვიდეს",**

— გვამცნობს გამოცემა.

დე ვაალის თბილისელი ნაცნობები მთელი წლის განმავლობაში ამბობდნენ, რომ მმართველმა პარტიამ ბევრი კარგი რამ გააკეთა, თუმცა ძალაუფლების შესანარჩუნებლად ჩაიციკლა და ხალხთან ურთიერთობის უნარი დაკარგა. ჟურნალისტი თავისი წყაროს პერიფრაზს ახდენს და ამბობს, რომ ბევრ ქართველს უკვე ახლანდელი რეჟიმი კარგა ხანია, ყელში ამოუვიდა, მაგრამ ოპოზიცია მარგინალიზებულია და სააკაშვილს სერიოზული ალტერნატივა არ გააჩნია.

ასეთ მდგომარეობაში პოლიტიკურ არენაზე ივანიშვილის გამოჩენამ დიდი ინტერესი გამოიწვია. თუმცა ჟურნალისტის ნაცნობები ივანიშვილს სხვადასხვაგვარად აფასებენ: ერთნი ამბობენ, რომ მან შეცვალა თამაშის წესები და ხალხს იმედი ჩაუსახა, სხვები კი მოცდას ამჯობინებენ, ვიდრე მის პოლიტიკურ პროგრამას გაეცნობიან.

**„ჩვეულებრივმა ქართველებმა, რომლებსაც თბილისში შევხვდი, შემაშინეს თავიანთი ენთუზიაზმით",**

— წერს ავტორი. ტაქსისტები, სხვა ნაცნობები, რომლებიც შორს არიან პოლიტიკისგან, ერთსულოვნად მხარს უჭერენ ივანიშვილს და თავიანთ პოზიციას იმით ამყარებენ, რომ

**„მან ძალიან ბევრი გააკეთა საქართველოსთვის".**

**„მაგნატის დემარშზე ხელისუფლების პირველი რეაქცია მტრული და თავად ხელისუფლებისთვის იყო საზიანო",**

— წერს ავტორი და განმარტავს: ივანიშვილსა და მის მეუღლეს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს და ივანიშვილმა პირდაპირ პრეზიდენტს მიმართა.

ხელისუფლებამ აგრეთვე დაიწყო შემოწმება ბანკისა, რომლის მფლობელიც ივანიშვილია, ხოლო სამთავრობო მედიასაშუალებებმა მისი პრესკონფერენციის საბოტაჟი სცადეს.

**„ივანიშვილის პოპულარობის წინაშე ყველანაირი ძალისხმევა ამაო აღმოჩნდა და მოვლენების სამთავრობო ვერსიების მიმართ ხალხს უნდობლობა გაუჩნდა",**

— ნათქვამია სტატიაში. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ივანიშვილს უფრო გარდაქმნების მამოძრავებლად აღიქვამენ, ვიდრე კონკურენტ პერსონად.

**„ადრე თუ გვიან, მისი პიროვნება ანგარიშგასაწევი გახდება",**

— წერს ავტორი და მილიარდერთან თავის საუბარს გვაცნობს.

შეკითხვაზე, რამ აიძულა ივანიშვილი, პოლიტიკაში მოსულიყო, მაგნატმა უპასუხა — ახლანდელ ხელისუფლებას ადრე ვეხმარებოდი, მაგრამ სააკაშვილმა, ჩემი აზრით, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში არაპატიოსნად გაიმარჯვა.

**„მე ვეხმარები ოპოზიციას, რომ ის ხელისუფლებაში მოვიდეს, რადგან საკუთარი ძალებით ამის დამოუკიდებლად გაკეთება არ ძალუძს",**

— განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილი საქართველოს ახალ ეკონომიკას მოიხსენიებს „პოტიომკინის სოფლად", რომელიც ხელისუფლებამ შექმნა. მისი თქმით, სააკაშვილის მმართველობისას ბიზნესის სფეროში უფრო ნაკლები თავისუფლებაა, ვიდრე შევარდნაძის დროს იყო, რადგანაც მთავრობა მკაცრად აკონტროლებს შემოსავალს, მასმედიასა და სასამართლოს.

**„ივანიშვილთან დაკავშირებით ყველაზე მეტად ხალხს რა აშფოთებს? ის, რომ მტკიცედ სჯერა საკუთარი გამარჯვებისა. საქართველოს აღარ სჭირდება კიდევ ერთი მესია", — წერს ავტორი. „ბოლო სამ პრეზიდენტს — გამსახურდიას, შევარდნაძესა და სააკაშვილს — რიგრიგობით, ქვეყნის გადამრჩენად აფასებდნენ. და ყოველ ჯერზე ეიფორიას იმედგაცრუება ენაცვლებოდა".**

პასუხად ივანიშვილს გაეცინა. „მე ვთხოვ ჩემს მომხრეებს: ნუ გამაიდეალებთ!" — განაცხადა მან და აღნიშნა, რომ ალიანსი გააფორმა ორ ოპოზიციურ და დამოუკიდებელ პარტიასთან, განსაკუთრებით მჭიდრო კი — პროდასავლელი პოლიტიკოსის ირაკლი ალასანიას პარტიასთან.

**„უნდა აღინიშნოს, რომ მისი რეცეპტი რადიკალურია და იგი მისსავე პერსონას ეფუძნება. ივანიშვილი ამბობს, რომ აპირებს ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა, შეცვალოს სისტემა, შემდეგ კი გაერიდოს პოლიტიკას", — წერს ტომას დე ვაალი.**

ჟურნალისტმა ჰკითხა ივანიშვილს, როგორია მისი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. ავტორის აზრით, იგი მოხერხებულად ლავირებდა. ერთი მხრივ, 2008 წელს რუსეთი არასწორად მოიქცა, როცა „ქართველ ხალხს კოლოსალური აგრესია დაატეხა", — აღნიშნა მან. „მეორე მხრივ კი, შესანიშნავად მესმის, რომ არ უნდა მოვახდინოთ ამის დრამატიზება", — დასძინა ივანიშვილმა.

**„ჩემი გუნდი და პირადად მე იძულებული ვიქნებით, დაუყოვნებლივ დავიწყოთ მოლაპარაკებები რუსეთთან, რათა ამ უძრაობას თავი დავაღწიოთ",**

— აცხადებს ივანიშვილი. მისივე თქმით, მან უკვე დაიწყო რუსეთში არსებული თავისი აქტივების გაყიდვა.

ავტორს საუბრის შემდეგ გაუჩნდა განცდა, რომ ივანიშვილი არის **„საკუთარი თავის პროექტი"** და მას გულწრფელი ზრახვები ამოძრავებს. თუმცაღა დე ვაალი სიფრთხილეს იჩენს: მაგნატის რეცეპტი — ეს არის ერთი ადამიანის ერთპიროვნული აქტივობა, თანაც იმ პერიოდში, როცა საქართველო ერის ახალ გადამრჩენელს ეძებს. ავტორის ვარაუდით, პოლიტიკურ სცენაზე მორიგი ნათელი პიროვნების გამოჩენა კოლოსალური გამოცდაა პატარა საქართველოსთვის.

**Foreign Policy**

---

# facebook

# xalxisazriT

ინვესტიციების შემოსვლის კუბოზე ბოლო ლურსმანი იყო ებრაელების საქმე. 70 მილიონი აახიეს და იმ დღესვე შეიწყალეს. ეს ხო მართლა უბედურებაა ან რითი აპირებს ეს კაცი ამ ქვეყნის შენახვას აქ 1 ლარის ჩამდები აღარავინაა და თუ ვ ინმე კიდე რაღაც უმნიშვნელოს ჩადებს ის ან ყრუა ან ბრმა ან მაგარი ვერაა??? კიდევ, რომ უკვირთ ინვესტიციები არ შემოდისო,ვინ შემოვა მსგავს ფაქტებს,რომ გაიგონებს. თუ ვინმეს გონია,რომ ინვესტორს ქორელში ლამაზად აწყობილი პრეზენტააციით დააბოლებ,ძალიან ცდება.

რატომ გგონიათ რომ ხალხი ფულის წვიმას ელოდება ბიძინასგან და იმიტომ არიან მისი მხარდამჭერები? არ გიფიქრიათ იმაზე რომ კარგის და ცუდის გარჩევას დიდი ფილოსოფია არ ჭირდება.

მგონი, 2012 წლამდე კიდევ ბევრ საიდუმლოს აეხდება ფარდა... ლუსტრაციის თვეა, ფაქტობრივად... და მგონი, ყველა არასასიამოვნო ადამიანთან ურთიერთობას 2011 წელს ვუტოვებ... დიდი მადლობა მას ამისათვის

ნუგზარ შევარდნაძეს სასამართლო მოუგია ლონდონში და ფინანსთა სამინისტროსთვის პანჩური ამოურტამს — ააცვით ჩემი შენობიდანო! ვინმე მიეხმაროს სამინისტროს შენობის დაცლაში, თორემ გაწყდებიან წელში საწყლები

როგორც ჩემთვის არის ცნობილი, თბილისში, კერძოდ, ყოფილი დეზერტირების აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე მოვაჭრეებს, ნაცებმა მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები, მათი თქმით არჩევნებისათვის და თან დაემუქრნენ თუ არ მიუტანდნენ ისინი ასლებს მოვაჭრეებს აღარ მისცემდნენ ვაჭრობის უფლებას მიმდებარე ტერიტორიაზე

ოეეე, მაღალოო, რა დოხნაბა არ გასვენებს?... კაი დავუშვათ და ივანიშვილი ყელზე გადგას ფხასავით მაგრამ, იმ ბავშმა რა დაგიშავა ბერამ... რა რეპერების ამბოხებას უწყობ და რა ამბავში ხართ შენ და შენი ხროვა... ასეთი უსისხლო ვინ უჯიშომ შეგქმნა ა?

ამ ცოტა ხნის წინანდელი საკადრო გადაადგილებების გათვალისწინებით და დღევანდელი გაფრენის გათვალისწინებით ერთი მთავარი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: ხელისუფლებას სამეგრელოში ძალიან უჭირს და მიშამაც მოუმატა იქაურების დაბოლებას!!!

რუსთაველზე ახალი კლიზმააბრაზნი ჭაღები დაუკიდებიათ. ხრუშოვკაში დაკიდებული ჩეხური ჭაღი ხომ გინახავთ? ვერც გაივლი და ვერც ვერაფერს ხედავ...

მიხეილ სააკაშვილი ქართველი ნერონია, ქეიფებსა და ორგიებს გადაყოლილი და სახელმწიფოს ბედი არ აინტერესებს. ხვალ რომ თბილისი გადაწვას და მართლმადიდებლებს დაგვაბრალოს, ნუ გაგიკვირდებათ. თუ ეკლესია მასწავლის, რომ ნერონი ცუდი კაცი იყო, რადგან ქრისტიანებს დევნიდა და ჩაგრავდა, იგივე ეკლესია ჩვენი თანამედროვე ნერონის ქმედებას ტაშით რატომ ხვდება? მრევლი სად წავიდეს, როგორ მოიქცეს? მრევლი ხომ ჩვილ ბავშვს ჰგავს და დედაეკლესიის იმედი აქვს

მამონას მთავარი საცდური-ფულია.ვისაც ჯიპებით,ბლატნოი ნომრებით,დოლჩე-გაბანას ტანსაცმლით ვერ შეაცდენს,ცდილობს უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდოს,რომ პურის ფული მოანატროს და ისე აკადრებინოს უკდრებელი.ამისთვის ქვეყნის მთავრობაში მამონას მონების გაყვანაა აუცილებელი პირობა,რომ ხალხს პურის და წამლის ფული მოანატროს. დააკვირდით, ქართველებო,თუ თქვენი მთავრობა ყველაფერს გიძვირებთ , პიდარასტებს და მეძავებს აბლატავებს,თუ ქართულ ენას და მართლმადიდებლობას ებრძვის,მამონას მონებთან გაქვთ საქმე.გაღვიძების და გაერთიანების დრო ხომ არ დადგა, ქართველებოო?!!



# ivaniSvilis mTavari amocana isedac damarcxebuli saakaSvilis damarcxeba ki ara, qveynis Rirsebis dabruneba unda iyos!

**გვესაუბრება „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე.**



**-ბატონო მამუკა, თქვენ როგორ შეაფასებთ ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას და ამ ფაქტის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს?**

-დღევანდელ დღეს ჩვენ არანაირი არგუმენტი არ გვაქვს უარყოფითად შევხედოთ ბიძინა ივანიშვილს. სამწუხაროდ, დღეს ქართული საზოგადოება არა პოლიტიკურ, არამედ ემოციურ ნაწილშია პოლარიზებული. ერთ მხარეს არსებობენ სააკაშვილის მიმართ კეთილგანწყობილი ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების შიგნით მყოფი კლანების წარმომადგენლები, მათთან მიბმული ადამიანები და ძალიან მცირეა ისეთი ადამიანების რიცხვი, ვინც ამა თუ იმ მოსაზრების გამო შეიძლება უჭერდეს სააკაშვილს მხარს. მეორე მხარეს კი არის ძალიან დიდი მასა ადამიანებისა, რომელიც ვერ იტანს სააკაშვილს. აი, ეს მეორე მასა ელოდება მხოლოდ ლიდერს, რომელიც გაამარჯვებინებს სააკაშვილზე და სრულებითაც არ მოითხოვს ამ ლიდერისაგან, რაღაც ისეთ თვისებებს, რომელიც საჭიროა ქვეყნის აღმშენებლობისათვის. სამწუხაროა, მაგრამ ეს ჩვენი ბოლო ოც წლიანი ცხოვრების ისტორიულ-პოლიტიკურ კანონზომიერებად იქცა. ჩვენ ასეთივე გულწრფელობით, ასეთივე ემოციურობით ვუჭერდით ყოველთვის მხარს ოპოზიციის წარმომადგენლებს, არა იმიტომ, რომ მოგვწონდა ეს წარმომადგენელი, ან მისი აზრები, შეხედულებები იყო ჩვენთვის მისაღები, არამედ იმიტომ, რომ არსებული რეჟიმი იმდენად მიუღებელი იყო, მზად ვიყავით ყოველთვის გამოვსულიყავით მის წინააღმდეგ. სწორედ ასეთი ემპირიული, ემოციური დამოკიდებულება განაპირობებდა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას და არა სიღრმისეული ანალიზი. საბოლოო ჯამში საზოგადოებისგან გმირად, ბელადად შერაცხული ესა თუ ის ადამიანი აღმოჩნდებოდა მისი წინამორბედის მდგომარეობაში, იწყებოდა კვლავ ემოციების ფრქვევა და კვლავ ველოდებოდით მხსნელს. ბიძინა ივანიშვილმა ეს უნდა გაითვალისწინოს. უნდა გაითვალისწინოს, რომ მას მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის მხარდაჭერა მიეცა ავანსად, არა იმდენად მისი, რამდენადაც სააკაშვილის „დამსახურების“ გამო და ამ სიტუაციაში მან თუ ეს ისტორიულ-პოლიტიკური წარსული არ გაითვალისწინა, შეიძლება ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს თვითონაც და საქართველოც. სწორედ ამიტომ ჩვენ უნდა მივიდეთ იმ კანონზომიერების აღმოჩენამდე, რაც ასე სავალალო მდგომარეობაში აგდებს ქართველ ერს. ეს კანონზომიერება კი გახლავთ შემდეგი, რომ არსებული რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად, თუ ჩვენ ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის საჭირო სისტემის საფუძვლის ჩაყრა არ დავიწყეთ, მაშინ ჩვენ პიროვნების გაშვებას კი მოვახერხებთ, მაგრამ ამ პიროვნების შექმნილი სისტემის დანგრევას და მის ნანგრევებზე ახალი ქართული სახელმწიფოსათვის საჭირო სისტემის შექმნას ვერ შევძლებთ.

გვავიწყდება, რომ ჩვენთან ჯერ მაინც საბჭოთა მენტალობაა დარჩენილი და საბჭოთა კავშირში ხელისუფლებაში არ მოდიოდნენ, იქ ხელისუფლებაში დაშვება ხდებოდა. ჩვენც ეს ცუდი გამოცდილება საბჭოთა სისტემისა გავითავისეთ და პრაქტიკულად ხელისუფლებაში ჩამოყალიბებული იდეოლოგიური თუ პოლიტიკური პლატფორმის მქონე ადამიანები კი არ მოდიოდნენ, რომლებსაც ამ იდეოლოგიის რეალიზების მექანიზმებიც კი უკვე გარკვეული ჰქონდათ, არამედ ხდებოდა ჩანაცვლება და შესაბამისად გარკვეული ვალდებულებების აღება, როგორც საქართველოს გარეთ არსებულ ძალებთან, ასევე შიდა კლანებთან. შემდეგ, როცა დგებოდა ამ ვალდებულებების გასტუმრების პერიოდი, გამარჯვებული ადამიანები ინსტიტუციონალურ კონფლიქტში შედიოდნენ იმ წრესთან, რომელმაც უზრუნველყო მისი ხელისუფლებაში მოსვლა და იქმნებოდა ის პრობლემები, რომელი პრობლემების გამოც, აგერ უკვე ოცი წელია ჯადოსნურ წრეში ვტრიალებთ. ამიტომ, ვამბობ, რომ ივანიშვილმა მთელი ეს კანონზომიერებები თუ არ გაითვალისწინა ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდება თვითონაც, რადგან როდესაც ქართული საზოგადოების მიერ გაცემული ავანსის დაბრუნების დრო დადგება, ეს ხალხი მის მიმართ ისეთივე შეუბრალებელი იქნება, როგორიც სხვების მიმართ იყო.

**-ბატონო მამუკა, ფაქტია რომ ივანიშვილს ყველანაირი რესურსი გააჩნია ფინანსებიც, კონტაქტებიც და ხალხის მხარდაჭერაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით რეალურ წინააღმდეგობას მაინც ვერ უწევს ხელისუფლებას. ხომ არ გამოიწვევს ეს მომენტი საზოგადოებაში უფრო მეტ იმედგაცრუებას?**

- ჩვენ თანამონაწილენი უნდა ვიყოთ და არა დამკვირვებლები. ელემენტარულად, მთელი პოლიტიკური ცივილიზებული საზოგადოება სწორედ მიდის ამ თანამონაწილეობის, ერთიანი გუნდის შექმნის მიმართულებით და ჩვენ გვინდა ერთ ადამიანს ავკიდოთ ყველაფერი. ეს პირდაპირ ფსიქოლოგიური ზეწოლაა იმ ადამიანზე და როგორც წესი, ასეთ დროს პატიოსან ადამიანებთან ერთად, საკმაოდ დიდი არმია ჩნდება იმ პარაზიტებისა, რომლებიც ყველა ეპოქაში, ყველა დროს, პოზიტიური ძალის მქონე ჯგუფის თუ პიროვნების გარშემო იყრიან თავს და რომლებიც ყველაფერზე წავლენ საკუთარი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. სწორედ ამიტომაა საჭირო სისტემის შექმნა. ამ სისტემას როცა შექმნი პარაზიტების ადგილი მინიმუმამდე დავა. საჭიროა დღეს-დღეობით ჩვენ ჩამოვყალიბდეთ არა პიროვნების მიმართ სიმპათია-ანტიპათიაზე, არამედ ჩამოვყალიბდეთ ღირებულებებისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების გარშემო. ეს დასამალი არავისთვის არ არის. ქვეყნები ორასი-სამასი წლით ადრე ადგენენ შემდგომ განსავითარებელ პროექტებს, იმიტომ, რომ ის ქვეყნები საკუთარ თავს მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოების მარადიულ ყოფაში ხედავენ. დღეს ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ არ უნდა ვთქვათ ის, რაც სათქმელი არ არის. არა ბატონო-სათქმელი არ არის ტექნიკური მექანიზმები, სათქმელი არ არის ის პრაქტიკული ნაბიჯები, რომელიც უნდა გადაიდგას, მაგრამ რა არის საქართველოს ინტერესები ეს უნდა ითქვას. იმიტომ, რომ ეს ყველამ იცის. თუ ჰგონია ვინმეს, რომ ჩვენ ამით რუსეთს ან ამერიკას მოვატყუებთ ძალიან ცდება, იმიტომ, რომ რუსეთში სამასი წელია არსებობს ინსტიტუტი, რომელიც სწავლობს საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს და ამუშავებს იმ თეორიულ ამოცანებს, რაც მიმართულია საქართველოს სტრატეგიული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების ნეიტრალიზებისათვის. ამიტომ ჩვენი მხრიდან გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ იცით, მე დღეს არ ვიტყვი რუსეთთან დაკავშირებით რაღაცას და ამით ვინმეს მოვატყუებ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის მაინც უნდა ითქვას სამასი წლის განმავლობაში რა სტრატეგიული პარტნიორობა ჰქონდათ საქართველოს და რუსეთს, რა პერიოდში არსებობდა ან რა პერიოდში იარსებებს ჩვენი ინტერესების თანხვედრა. ასევე უნდა ითქვას დასავლეთთან მიმართებაშიც, რაშია ჩვენი ინტერესები თანხვედრილი და რაში განვსხვავდებით ერთმანეთისგან. არ შეიძლება არ ითქვას დავუშვათ ის, რომ დასავლეთთან პარტნიორობის ფონზე, ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, ცივილიზებული სამყარო საქართველოს განიხილავდეს არა როგორც ტერიტორიას, არამედ როგორც სუბიექტს საერთაშორისო თანამეგობრობისა. ეგზალტაციის უმაღლეს დონეს მიაღწევს ამ თემებზე ველარ ვილაპარაკებთ. როდესაც რუსთაველზე ბარიკადა აღიმართება, რომელ საღ აზრზეა ამ დროს საუბარი. მერე უკვე „ჩვენები და სხვისები“-ასე იყოფა. ეს ხომ ბევრჯერ გავიარეთ უკვე არა? ამიტომ სანამ პროცესები აქამდე არ მისულა, სამუშაოები ეხლავე უნდა ჩავატაროთ და ავუხსნათ საზოგადოებას, რას ნიშნავს პოლიტიკური ბრძოლა. ბუნებრივია ამ ადამიანების შეშფოთება, როცა ვეუბნებით, რომ ამ საარჩევნო გარემოშიც კი არჩევნებით მოვიგებთ. სიმართლე რომ გითხრათ მეც კი ვერ ვგებულობ რანაირად უნდა მოხდეს ეს. ე.ი საქართველოს გარედან ვიღაც ეტყვის სააკაშვილს წადიო?-და მინდა მე ასე წასული სააკაშვილი? რა მნიშვნელობა აქვს ამერიკა დაურეკავს თუ რუსეთი წადიო, ამით ჩვენ ხომ ვალდებულებებს ვიღებთ და სხვათაშორის, სწორედ ეს ვალდებულებები შეახსენა პუტინმა თავის დროზე სააკაშვილს,-შენ რომ მოდიოდი ხელისუფლებაში და ვალდებულებები აიღე, იმ ვალდებულებების გასტუმრების დრო დადგაო. ჩვენ ყველამ ვნახეთ პირდაპირ ეთერში, როგორ იდგა საქართველოს პრეზიდენტი თავჩაქინდრული, ჩასვრილი ბავშვივით. კაცობაში პუტინი რომ მოგიგებს და მთელი მსოფლიოს თვალწინ ყურს აგიწევს, ეს შეურაცმყოფელია ნებისმიერი ქართველისათვის. ეს არ არის მხოლოდ სააკაშვილის დაცემა, ისევე როგორც გორში მისი ფორთხიალიც თითოეული ჩვენგანის შეურაცყოფაა. ჩვენც მასთან ერთად ვფორთხიალობდით იქ. აქედან გამომდინარე, არის თემები, რომლებიც საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს. მხოლოდ და მხოლოდ მცოდნე, ინფორმირებულ საზოგადოებას შეუძლია წინ აღუდგეს ყოველგვარ ანტი-სახელმწიფოებრივ გამოხტომას. მაგრამ როდესაც ჩვენ ვეუბნებით საზოგადოებას, რომ თქვენ ხართ მხოლოდ ანტურაჟი, მხოლოდ ერთი დღე დამჭირდებით ხმის მისაცემად და მერე მე ვიცი..როდესაც გაგიჭირდება, ეს საზოგადოება შენ ველარ დაგიცავს-აღარ დაგიცავს. იმიტომ, რომ მაპატიეთ და დაჩმორებული ადამიანი, ვერც საკუთარ თავს და ვერც სხვას ვერ დაიცავს.

შევხედოთ, რას აკეთებს ამ დროს სააკაშვილი, მაქსიმალურად ცდილობს არ შეიმჩნიოს ივანიშვილის არსებობა. პირიქით, მისი არსებობა გამოიყენოს საკუთარი გუნდის შესაკრავად. გამოიყენოს ივანიშვილი, როგორც ფაქტორი საკუთარი მომხრეების შესაკრავად. თუკი ადრე რომელიმე მათგანი, უგულავა, ადეიშვილი, მერაბიშვილი ბედავდნენ პრესაში რაღაც მი-



## gorSi saakaSvilTan erTAd mTeli saqarTvelo forTxavda miwaze...

ნიშნებებს, რომ ჩვენ გვინდა უკეთესი მიშა, გაკეთილშობილებული მიშა, დღეს სუყველა ჩადგა ფორმაში. მათი გამაერთიანებლის ფუნქცია შეასრულა და ჩაითრია კიდეც ივანიშვილი ყოველდღიურ რუტინაში. ბწკენა, ჩქმეტა, პატარ-პატარა გართულებები და კენჭების სროლა მისი მისამართით. თუ ამ მოედანზე შეჰყვა ივანიშვილი, ისევე როგორც სხვები შეჰყვნენ, ნამდვილად ველარ ვიწინასწარმეტყველებ შედეგს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოსახლეობის 80% სააკაშვილის წინააღმდეგია. ამიტომ ივანიშვილმა ის მოედანი უნდა შესთავაზოს სააკაშვილს, სადაც ის ძალიან სუსტია.

**-რომელი მოედანია ეს?**

-ეს არის პრინციპების მოედანი. იდეით შეკრული, სტრუქტურირებული საზოგადოება. არა ამორფული მასა, ვიღაცის შიშით ან ზიზღით, ნეგატივზე შეკრული მასა კი არა, როგორიც დღეს არის, არამედ პოზიტივზე შეკრული მასა. ივანიშვილი უნდა იყოს, როგორც სააკაშვილის წინააღმდეგ მებრძოლი კი არა, ივანიშვილი,-როგორც ქვეყნის აღმაშენებელი და თუ ამ პოზიტივზე მოახერხებს მის გარშემო არსებული საზოგადოების 80%-ის სტრუქტურირებას, სააკაშვილის ადგილი აღარ დარჩება საზოგადოებაში. აღარ რჩება სხვა ქვეყნების წინაშე ვალდებულებების აღების აუცილებლობა. აღარც დღეს არსებულ კლანებთან მიმართებაში გარიგებებზე წასვლის აუცილებლობა. როცა მოდიხარ არა დამანგრეველი ძალით ვინმეს გასანადგურებლად, არამედ პოზიტივით, იდეებით, პრინციპებით, ღირებულებათა ერთგულებით შეკავშირებული ადამიანებით, იქ პარაზიტების და მედროვეების ადგილი აღარ არის. მაგრამ არის იმ ადამიანების ერთობა, რომელიც ერთმანეთთან საქართველოს სიყვარულის გამო, მის გადასარჩენად და ქართული ღირებულებებით არიან ერთმანეთთან შედუღაბებული.

**-ბატონო მამუკა, ბიძინა ივანიშვილი როგორც ვიცით ხალხის ქუჩაში გამოყვანის წინააღმდეგია. როგორ ფიქრობთ ეს სააკაშვილს არ ანიჭებს უპირატესობას?**

- ეს ამ შემთხვევაში არ არის მნიშვნელოვანი. დაგჭირდება- გაიყვან, არ დაგჭირდება-არ გაიყვან. ეს ყველაფერი მხოლოდ საშუალებებია და ჩვენ სამწუხაროდ, მივეჩვიეთ საუბარს საშუალებებზე. მე ვლაპარაკობ არსზე, ვლაპარაკობ იმ ფუნდამენტალურ საკითხებზე, რომელმაც შემდეგ ეს საშუალებები უნდა გამოიყენოს და როგორც კი ჩამოყალიბდება მებრძოლი არმია, მერე გაარკვევ სად უფრო მეტი საფრთხეა, ქუჩაში ხალხის გამოყვანის დროს თუ დარბაზში შეკრებისას. ეს ტექნიკური საკითხებია, სპეციალისტებისა და ვიწრო წრის გადასაწყვეტი. დღეს-დღეობით რატომღაც მიაჩნიათ, რომ რაც უნახავთ, რუსთაველზე ხალხის გამოსვლა-არ გამოსვლა, ეს არის პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი გზა. პოლიტიკური ცხოვრება რაღაც მარტივი ქმედებების ჯამამდე დაიყვანეს. არა ბატონო, ამ ყველაფერს ცოტა სერიოზული დაგეგმარება სჭირდება.

**ლელა არაბული**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# drouli samedicino daxmarebis gauwevlobis gamo qarTul cixeebSi 142 patimaria gardacvlili

**10 დეკემბერს მსოფლიო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ცნობილ უფლებადამცველ გიორგი თევზაძის განცხადებით, ამ მხრივ საქართველოს თავმოსაწონებელი არაფერი აქვს, რადგან უმძიმესი ვითარებაა შექმნილი.**

**გიორგი თევზაძე:** „განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია საპატიმროებშია. მარტო დროული სამედიცინო დახმარების გაუწევლობის გამო ქართულ ციხეებში



142 პატიმარია გარდაცვლილი. ამ საკითხზე სახალხო დამცველი, საერთაშორისო ორგანიზაციები და ქართველი უფლებადამცველები ჩვენს მწვავე პოზიციას ყოველთვის ვაფიქსირებდით და კვლავაც დავაფიქსირებთ, მაგრამ თუ ხელისუფლების მხრიდან მიდგომა არ შეიცვალა იგივე გაგრძელდება. თვითონ ხელისუფლებაც ველარ მალავს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში უკიდურესად მძიმე ვითარებაა.

კონკრეტულ ფაქტებს გეტყვით. ნოემბრის თვეში ზუგდიდის ციხის პატიმარი მურმან კალანდია გარდაიცვალა. ის სასტიკად იყო ნაცემი, გატეხილი ჰქონდა ცხვირი, შუბლი და ხელი დამწვარი, თითიც მოტეხილი ჰქონდა. ნაცემი პატიმარი იქაურობას მოაშორეს, თითქოს საავადმყოფოში მიყავდათ, თუმცა იგი გზაში გარდაიცვალა.

რამდენიმე დღის წინ ადვოკატმა კახაბერ მუმლაძემაც შემზარავი ინფორმაცია მოგვაწოდა თავის დაცვის ქვეშ მყოფ 44 წლის კახაბერ ბარათაშვილთან დაკავშირებით. ეს ადამიანი რუსთავის №17 დაწესებულებაში იყო მოთავსებული. მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს შეფარდებული და 2004 წლიდან იხდის სასჯელს. 27 ნოემბერს თირკმელების უკმარისობის გამო უკიდურესად გაუარესდა მისი ჯანმრთელობა და გლდანის №8 საპყრობილის სამედიცინო განყოფილებაში გადაიყვანეს. 28 ნოემბერს ღამით ბარათაშვილს მწვავე შეტევები დაეწყო, რის გამოც ექიმი მოითხოვა. ამის საპასუხოდ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ავადმყოფი პატიმარი სასტიკად უცემიათ. იგი პალატიდან გაკოჭილი ჩაიყვანეს მორგში, სადაც გააგრძელეს ცემა, თან თურმე „ვედროებით“ ცივ წყალს ასხამდნენ და გაუპატიურებით ემუქრებოდნენ.

ნაწამებ პატიმარს იძულებით დააწერინეს, თითქოს ტკივილების გამო, თვითონ მიიყენა სხეულზე დაზიანება, რაც არის სრული აბსურდი. 29 ნოემბერს მისთვის უთქვამთ, საოპერაციოდ გაემზადეო. ბარათაშვილის ადვოკატის განმარტებით, ეს ყველაფერი საფუძვლიან ეჭვს იწვევს, რომ პატიმრის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება. არ არის გამორიცხული, მისი სიცოცხლის ხელყოფით, საპყრობილის ადმინისტრაციამ დანაშაულის კვალის დაფარვა სცადოს. ეს ვერსია, ჩემი აზრით საფუძველს მოკლებული არ არის. ამ ფაქტზე აუცილებლად უნდა დაიწყოს გამოძიება და დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. იგივე უნდა მოხდეს მურმან კალანდიას საქმესთან დაკავშირებითაც. სახალხო დამცველმა კალანდიას საქმეში მონაწილეთა სს-ის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოითხოვა და იმედია გიორგი ტუღუში ბარათაშვილის ფაქტზეც გააკეთებს შესაბამის განცხადებას.

მე ხელში ჩამივარდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არასამთავრობო და და საერთაშორისო ორგანიზაციების ეთიკის კოდექსი, რომლის გაცნობის შემდეგაც თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის



სრულიად უუფლებო დოკუმენტი. ეს კოდექსი მხოლოდ ხელისუფლებას გამოადგება იმის სათქმელად, რომ არასამთავრობო სექტორს ციხეებში უშვებს, სინამდვილეში კი მათ პირს უკერავს და ხელებს უბორკავს.

- ასე რატომ ფიქრობთ?

- იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, სადაც მიწვეულები ყოფილან არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის საიაც. სხვა რომელი ორგანიზაციები იყვნენ, ვერ გეტყვით, ყოველ შემთხვევაში ცნობილი უფლებადამცავები არ ყოფილან. ადვოკატთა ასოციაციიდან შალვა შავგულიძე ესწრებოდა, რომელმაც თავისი მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა. იგივეს ველოდი საია-ს წარმომადგენლებისგანაც, თუმცა ისინი მხოლოდ მცირე შენიშვნით შემოფარგლულან.

ახლა რაც შეეხება თავად ამ ეთიკის კოდექსს. ჯერ ერთი რომელ ეთიკაზეა საუბარი, როდესაც ყველა უფლებადამცველმა ისედაც ვიცით როგორ უნდა მოვიქცეთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი წესდება და მორალური ნორმებიდან გამომდინარე ვმოქმედებთ. თქვენს ყურადღებას იმ მუხლებზე გავამახვილებ, რომლებიც განსაკუთრებით მიუღებელია ჩვენთვის.

მუხლი 3: არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ვალდებულია თავი შეიკავოს საპატიმრო დაწესებულების შიდა პოლიტიკაში ჩარევისგან; შეასრულოს თანმხლები პირის მითითებები და დაწესებულებაში არ შეიტანოს აკრძალული ნივთები; არ მოსთხოვოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს ბრალდებასთან ან სასჯელთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება, თუ ასეთი ინფორმაცია სპეციალურად არ არის დაკავშირებული მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან. რას ნიშნავს შიდა პოლიტიკაში ჩარევა, როდის იყო უფლებადამცველს ეკითხებოდნენ ვის დანიშნავდნენ ბადრაგად ან სხვა თანამდებობაზე? ისიც მინდა ვიკითხო გარე პოლიტიკაში რას გულისხმობენ?

საპატიმროში არ შეიტანოს დებულებით აკრძალული ნივთებიო. მონიტორინგის საბჭოს წევრიც საპატიმროში შესვლისას ჩვეულებრივ იჩხრიკება და როგორღა უნდა შეიტანოს? ან ის რას ნიშნავს პატიმარს ზემოხსენებული ინფორმაციის გაზიარება არ მოსთხოვოსო. თუ ეს ინფორმაცია არ გავიგე და საჯარო მსჯელობის საგნად არ ვაქციე, აბა რისთვის შევდივარ ციხეში, თანამშრომლებად ღებულობენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს?

გამოდის მონიტორინგის საბჭოს წევრი არ უნდა დაინტერესდეს რამდენად სამართლებრივად არის ის ადამიანი ციხეში მოხვედრილი, ანუ უკანონო პატიმარი ხომ არ არის.

მუხლი 7: ორგანიზაციის წარმომადგენელი ვალდებულია არ გაახმაუროს დაწესებულებაში წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემა და აღნიშნული მოაგვაროს დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან და სამინისტროსთან კონსულტაციის საფუძველზე. ე.ი. თუ მე დავინახავ, რომ იქ პატიმარს სცემენ, აწამებენ, ადმინისტრაცია არაადამიანურად ეპყრობა, თურმე შიგნით უნდა გავარჩიო საქმეები და ამის შესახებ საზოგადოებამ არაფერი უნდა შეიტყოს. ეს არის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პირდაპირი შელახვა. თუ ასეთი მონიტორინგის ჩატარებას აპირებენ, ეს იქნება სრული უაზრობა. მონიტორინგი სულ სხვა რაღაცას ნიშნავს. ასე იუსტიციის სამინისტროს კალმახელიძის უწყებასთან ერთად შეეძლო შეექმნა რაღაც საბჭო, სადაც შეიყვანდნენ თავინთ სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს. ასეთი ორგანიზაციები ხომ დღესაც მრავლად ჰყავთ.

დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ეთიკის კოდექსის პროექტი შესწორდება, მიხვდებიან ჩინოვნიკები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რომ ამ სახით მიღება არ შეიძლება, რადგან იგი ლახავს, როგორც მსჯავრდებულთა, ისე მთლიანად ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

**მანანა სუხიშვილი**



## ზაურ კალანდია

მწერალი

აფხაზი კაცი ქართველი კაცისგან არც ადრე იყო შეზღუდულ-დაჩაგრული და მით უმეტეს, დღეს — წარმოუდგენელია და გამორიცხული, თუმცა, რაც ძალიან სამწუხაროა, დღეს უფრო საეჭვოა და საგანგაშო მისი არსებობა და მომავალი. ქართველისგან აფხაზისთვის მტრის ხატის შექმნა, უძლეველ რუსულ პროპაგანდისტულ მანქანასაც გაუჭირდა ანუ თითქმის საუკუნეზე მეტი დასჭირდა, თოფი ცალ-ცალკე შეეჩეჩებინა ხელში და რაც მივიღეთ, სახეზეა. ჩვენს შორის წყალგამყოფად — ენგურის ნაცვლად სისხლის მდინარე ჩადგა. ჭკუათმყოფელი აფხაზი ამას გრძნობს და განიცდის. ურავლესობას მომავლის შიში აქვთ და წარსულის სინანულიც, რაც კარგია და იმედის ნაპერწკალსაც აჩენს.

ლტოლვილები არ ერევიან პოლიტიკაში... პოლიტიკოსები არ უყვართ ან, შეიძლება ვივარაუდოთ, თავად ლტოლვილებს არა აქვთ ამისი დრო თუ პოლიტიკისადმი ნდობა და ხალისი, ძნელი სათქმელია. ხელისუფლებაც ნამეტნავად ფხიზლობს, ისე უქმნის მდგომარეობას, ორ-სამ წელიწადში ხელახალი ლტოლვილები ხდებიან, ცხოვრება თავიდან და მერამდენედ აქვთ დასაწყები და ასაწყობი. მეტიც, იმდენად არასანდონი არიან ხელისუფლებისათვის, ლამის იმასაც კი აყვედრიან — წარსულში კარგად ცხოვრობდითო! რაც მართალია, მართალია, კარგად ცხოვრობდნენ! მაგრამ კარგ ცხოვრებას სამშობლოს სიყვარული და ქართველობა ანაცვალეს. 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი რომ დაეცა და ვინც საკენ-ჭუბერის გზით ენგურსგამოღმა საქართველოში გადმოვიდა, ყველა წამებული და გმირია.

ჩვენ რომ ჯოჯოხეთად ვუქციეთ ცხოვრება ენგურსგაღმა სამშობლოში, ეს სხვა საკითხია.

ბატონ მამუკა არეშიძეს, როგორც ექსპერტს კავკასიის საკითხებში, აფხაზეთის ბედი აწუხებს. იხვეწება, დამიჯერეთ, ჩვენვე ვაღიაროთ აფხაზეთის დამოუკიდებლობაო!

რიგითი ქართველის კერძო აზრიაო, ვერ იტყვი.

ბატონი პაატა ზაქარეიშვილი მხარს უჭერს... ეტყობა, „რესპუბლიკელები"-ც ასე ფიქრობენ, სჯერათ, ეს უფრო სამართლიანი იქნებაო! სხვა პოლიტიკოსები თუ პოლიფაგები (ყველაფრის შთანმთქმელი, მჭამელი..) ეთანხმებიან, ალბათ...

ბატონი ზურაბ ჩიქოვანი წერს — ღალატიაო ასეთი ფიქრიც კი!.

მე, ბატონ ზურაბის მხარესა ვარ, თუ რატომ, შეძლებისდაგვარად ავხსნი.

დავიწყებ იქიდან, რომ აფხაზ ეთნოსს მათზე ცოტა უკეთ ვიცნობ. სოხუმში ვსწავლობდი, წლობით მიცხოვრია იქ. უფროსი ძმებიდან დაწყებული, მთელი სანათესაო იქ მყავდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრი დღესაც იქა მყავს.

რაც შეეხება ბატონ ზურაბ ჩიქოვანს.

პირველი: ბატონ ზურაბს ვერავინ ვერ ასწავლის აფხაზეთისა თუ აფხაზი კაცის სიყვარულს.

მეორე: ნუ გეწყინებათ, ბატონო მამუკა, თქვენ რომ აფხაზს შეხვედრიხართ ცხოვრებაში, იმდენი აფხაზი ზურაბ ჩიქოვანს ნათესავი ან ნათლული შეიძლება ჰყავდეს აფხაზებში. ჩვენ ასე ვცხოვრობდით, ეს ჩვენი ცხოვრების წესი იყო. ამით იმისი თქმა მინდა, აფხაზი კაცის სითბო, სიყვარული მისთვის ყველაზე ძვირფასია, გენეტიკურიც კი! აფხაზეთში დაბადებული-გაზრდილისათვის



# es imis mcdelobaa: vifiqroT yvelam erTnairad da ara ise, rogorc vfiqrobT...

ამ კუთხის ადათი, ყოფა, კულტურა ერთიანი და ერთადერთი — კოლხური იყო; მეგრულ-ქართულ-აფხაზური! ზნე-ჩვეულებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ლამის გვარი და სახელიც ერთი გვაქვს... ერთხელ, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, აფხაზმა მწერალმა დაურ ზანთარიამ მითხრა — გინდა, შენი მოგვარე, კარგი აფხაზი გაგაცნოო? რახან კარგი აფხაზია, მის ცუდ ქართველობაზე უკვე განვეწყვე და არ მინდა, შენ — ძმა ზანთარია გამიაფხაზდი, ეგეც საკმარისია-თქო! ხშირად ერთმანეთსაც არ ვინდობდით. ვიცნობდი აფხაზ წერეთელსა და აბაშიძეს, ხოლო აფხაზი თაყაიშვილების სოფელი დღესაც არსებობს, მგონი. რა როდის მოხდა და როგორ მოხდა, ამაზე არ ღირს ახლა საუბარი.

მესამე: ბატონი ზურაბ ჩიქოვანი ოჩამჩირეში დაბადებული და გაზრდილი კაცია. მისი მშობლიური სახლ-კარი, წინაპართა საფლავები, სალოცავები, ფესვი, როგორც მთელ საქართველოში, ოჩამჩირეშია, ანუ სამშობლო რასაც ჰქვია, იქ არის. თქვენ გინდათ, რომ მისი საკუთრება, მისი სულის უძვირფასესი ნაწილი, რაც ბავშვობა და ყრმობაა, ისე დათმოთ და აჩუქოთ, გნებავთ, მისივე ძმას, მას არც კი დაეკითხოთ?! თუ ასეთი ყველაფრის მცოდნე ექსპერტ-მედიატორები ბრძანდებით, ძმებს შორის რა მოხდა, რამ მიგვიყვანა სისხლისღვრამდე, ეს გავარკვიოთ. ყველა ქვეყნის ისტორიაშია მსგავსი ტრაგედიები და არც ჩვენ ვიქნებოდით გამონაკლისი. შერიგებაც ყოფილა და გაყრაც, მაგრამ უფრო მეტად შერიგებები... მტყუან-მართლის გარჩევას ეროვნება არ უშლის ხელს, ეს უფრო ზნეობრივი და კაცური ნიჭია. გონიერი, ბრძენი ადამიანები არც ენგურგაღმელებს აკლიათ და არც ენგურგამოღმელებს. მარტო ხელისუფლება არ სცოდავს ამ საკითხში. აქ კიდევ ერთი, უფრო მტკივნეული და ტრაგიკული ამბავიც ჩნდება. რას ვეუბნებით ანუ რითი ვიმართლებთ თავს ამ სამარცხვინო ომში დაღუპული ბიჭების წინაშე — თქვენი თავგანწირვა უსამართლო და უშედეგო აღმოჩნდაო! მოკვდით, იმიტომ რომ მტყუვნები იყავითო! კიდევ ერთი საკითხი. ვთქვათ, დამოუკიდებლობა აფხაზებს... ოსებს რა — ვირის თავ-ფეხი?! ჩვენმა ტვინნაღრძობმა ხელისუფლებამ ხომ დააკანონა სამხრეთ ოსეთი და რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდაც აღიარა! მერე, ჩემო ბატონო, მძივივით აესხმება... რიგშია სამცხე-ჯავახეთი. ლობისტები ევროპა-ამერიკაში რომ არ ეძებონ, თავად ჩვენს ხელისუფლებაში, პარლამენტში თუ ოპოზიციაში ველარ იპოვნიან?! ჩვენი პრეზიდენტისა არ იყოს, იტყვის ან სხვას ათქმევინებს: მართალია, კარგი კარტოფილი და ვაშლი იცის ამ მხარეში, მაგრამ ერთი ქვა-ღორღიანი (სოფლებია) მხარეა დახურული მანქანის სარკმლიდანო...

უცნაური ის არის, მათი დამოუკიდებლობის ცნობას თავად აფხაზები არ გვთხოვენ, არც რუსებს „უკადრებიათ" ჯერ ეს ჩვენთვის.

ბატონო მამუკა, თქვენი ეს გამოსვლა იმის მცდელობაა, რომ ვიფიქროთ ყველამ ერთნაირად და არა ისე, როგორც ვფიქრობთ.

ეს ხომ წმინდაწყლის ბოლშევიზმია!

როგორც აფხაზური ეთნოსი, ისე ქართველობა ამ უაზრო ომის მსხვერპლია. დღეს ჩვენ ომის შედეგებზე ვსაუბრობთ, მიზეზები არც გვაინტერესებს. ომის მიზეზი შეიძლება იყო, შეიძლება არც იყო, თუმცა იმ სიტუაციაში (ოთხმოცდაათიან წლებში) შეუძლებელი იყო უკვე ცხოვრება და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. მართალია, ამ უთანასწორო ომში ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ აფხაზებს რომ არ გაუმარჯვიათ, თავად ხედავენ და როგორც ირკვევა, განიცდიან კიდეც... დაგორებულმა თავმა იმდენი იგორა, მთლად საკირეში ტუცა თავიო, ასეა ამათი საქმე.

გონიერმა აფხაზმა დიდებულად იცის, ჩვენ — ქართველებს შარაგზაზე — ჭინჭებში გახვეულ ძვირფას ქვასავით არ გვიპოვნია აფხაზეთი, არც ხმლითა და მახვილით დაგვიპყრია, ამ მიწასთან ერთად გავჩნდით ჩვენს წელთაღრიცხვამდე და უფრო იქითაც... ასე ვთვლი აფხაზსაც, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ჩემო ბატონო! ჩვენ ღმერთმა მოგვცა ეს მიწა, მისი თითოეული გოჯი კოლხური სისხლითაა კოდირებული. აფხაზიც სრულუფლებიანი წევრია ამ ერთობის, მისი სამშობლოც აქ არის, მაგრამ ნურავის ეგონება, ქართველი კაცი მთვარიდან ან ჩიმქენეთიდან ჩამოვიდა. ეს აფხაზმაც იცის და ამას ამბობს ბატონი ზურაბიც. ევროპას, ამერიკას, გაეროს არ მოსვლია თავში აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება და თქვენ რა მოგივიდათო, წუხს იგი.



მარტო ბატონი ზურაბი არ ფიქრობს ასე. ეს ყველა ლტოლვილის ფიქრი და წუხილია. ამას ბრმაც კი დაინახავს. ეს უნდა გვახსოვდეს და აქედან უნდა ამოვიდეთ. ჩვენ თვალი კი არ გვეჭირავს აფხაზეთზე, ჩვენ მისი სრულუფლებიანი მკვიდრნი და პატრონი ვართ. ეს უნდა შეიგნოს შინაურმაც და გარეულმაც. ქართულ გენს, მის სულს და კულტურას ამ მხარეში ვერაფერი წაშლის, ეს აფხაზებმაც (კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო!) კარგად იციან.

ბატონ პაატა ზაქარეიშვილს ვერც განათლებას დაუწუნებ და ვერც გამბედაობას. ახლახან ასეთი რამ თქვა ტელევიზიით: ჩვენ, ვისაც აფხაზები არ გვიცნობენ, იმათ უფრო გვენდობიანო! რატომ და რა დამსახურების გამო, ეს არ დაუკონკრეტებია.

არ დაიჯეროთ, ბატონო პაატა!

თქვენ იცნობთ, ვთქვათ, ერთ-ერთ გონიერ აფხაზს და პოლიტიკოს სლავიკ ლაკობას, ასევე მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს — გენადი ალამიას, რომლის სიტყვას ფასი აქვს აფხაზებში. არა მგონია, ვთქვათ, გურამ ოდიშარიას, დიმა ჯაიანს, ჩემს უფროს ძმებს თუ მე არ აგვეწყოს მათთან საუბარი. სხვა თუ არაფერი, ბავშვობის მეგობრები ვართ. ერთად გაზრდილებიც, კოლეგებიც. სხვათა შორის, რაც მათ იციან, ამ ძირძველ კუთხეზე, ის ჩვენც ვიცით, ერთად გვიძებნია და გაგვირკვევია ქართულ-აფხაზური ისტორიის ანალებში. იცოდნენ, ჩვენ ჩვენთან ვცხოვრობდით და არა მათთან! ჩვენი, შეიძლება, რთულად წარმართული საუბარი გამოგვივიდეს, მაგრამ ჩვენთვის და მათთვისაც უფრო სასიკეთო იქნება!

დასასრულს ერთი ამბავი რომ არ გავიხსენო, არ შემიძლია.

1993 წლის ბოლოსთვის სომხეთში ვიყავი. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა გურამ ფანჯიკიძემ დამირეკა და მთხოვა: მწერლების ყრილობაა სომხეთში, მე ვერ მივდივარ და შენ ხომ არ დაესწრები, როგორც „ცისკრის" რედაქტორი და გამგეობის წევრიო. დავთანხმდი. ჩავედი. თავმჯდომარედ სომხური მწერლობის მშვენება — ჰრანტ მათეოსიანი აირჩიეს, რაც ძალიან გამიხარა. პრეზიდენტმა ლეონ ტერ პეტროსიანმა საკუთარ აგარაკზე მიგვიწვია... როცა შევზარხოშდით, „გარუნის" („ცისკრის" ანალოგი ჟურნალი) მთელი რედაქცია, როგორც „ცისკრის" რედაქტორს სასტუმროში გამომყვა პურ-მარილით და იქ გავაგრძელეთ ქეიფი. ნასვამი ვიყავი და საყვედური ვთქვი აფხაზეთში მცხოვრებ სომხებზე, ბოლოს და ბოლოს თქვენც უნდა გახსოვდეთ, პრობლემები გაქვთ ყარაბახთან დაკავშირებით-მეთქი. ერთ-ერთმა ადრინდელმა ნაცნობმა, მწერალმა ბაღჩინიანმა (სხვათა შორის, ჩვენს პირველ პრეზიდენტთან — ზვიად გამსახურდიასთან ახლობლობდა. საქართველოს ხშირი სტუმარი იყო, ჩემთან და ჩემს ძმებთანაც მეგობრობდა). ჩაიდუდღუნა: თქვენ თქვენი მიწა-წყლის დაბრუნებას ცდილობთ, ჩვენ-სხვისის დასაკუთრებასო! ატყდა საშინელი ამბავი... უკვე ერთი სიტყვა არ მესმოდა, მაგრამ საწყალ ბაღჩინიანს მეშვიდე სართულის ფანჯრიდან რომ უპირებდნენ გადაგდებას, აშკარა იყო. შეიძლება ვთქვა, ვიყოჩაღე და გადავარჩინე... თუმცა ერთი-ორჯერ ისე დაიძაბა სიტუაცია, მეც არ მიმაყოლონ-მეთქი, შევშინდი.

ახლა, რასაც სომეხი მწერალი ფლიქს ბაღჩინიანი მიხვდა და აღიარა, იმას მამუკა არეშიძე და პაატა ზაქარეიშვილი ვერ ხვდებათო, ვერ ვიტყვი. სასაცილო იქნება, სატირალი რომ არ იყოს!

სხვას, უფრო სხვა რამესაც ვაფიქრებინებთ და მეცოდებით!

ფრთხილად, ბატონებო!

ამ აზრს ვერც დემოკრატიით გაამყარებთ და ვერც რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკობით!

მსოფლიო პრესის მიხედვით

# qarTuli opozicia: qveyanaSi demokratia moikoWlebs

**დასავლეთს ჰგონია, რომ საქართველომ უარი თქვა ავტორიტარულ ტაქტიკაზე და ამიტომაც აქებს ხოლმე, მაგრამ წამყვანმა ოპოზიციონერმა ინტერვიუში გვიამბო პოლიტიკური მოსაზრებების გამო მომხდარი დამზაფვრელი მკვლელობის შესახებ — აღნიშნავს The Daily Beast. „17 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 47 წლის მოსამსახურე თამაზ თეთრაძე (მეტსახელით „სერგო“) ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. 7 დღის შემდეგ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ბრალდებული საბჭოთა არმიის ვეტერანი ციხეში გულის შეტევით გარდაიცვალა“, — წერს სტატიის ავტორი.**

## alasania-ivaniSvilis partnioroba _ qveyanaSi politikuri klimatis SecvlaS gegmavs



თეთრაძე „თავდაცვის სამინისტროში წაიყვანეს და ცემეს, რის შედეგადაც გარდაიცვალა. მე ხმაური ავტეხე და გამოძიება მოვითხოვე, მაგრამ არავინ არაფერს იძიებს“, — განუცხადა ჟურნალს ქართული ოპოზიციის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ. ამის შესახებ ვაშინგტონში ყოფნის დროსაც ვილაპარაკე, რადგანაც „ეს საქმე იმის მაჩვენებელია, რომ კონტრდაზვერვა, პოლიცია და თავდაცვის ძალები ანგარიშვალდებულებას არ გრძნობენ საზოგადოების, პარლამენტის წინაშე და თავდაცვის ძალებს ვერც სამოქალაქო ორგანოები აკონტროლებენ“.

ამის პარალელურად, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი და სენატორი მაკკეინი აქებენ სააკაშვილს პოლიციის, ეკონომიკისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმების გამო. თუმცა საქართველოში ჯერაც ვერ ჩამოყალიბდა სიცოცხლისუნარიანი ოპოზიცია. Atlantic Council-ის ვიცე-პრეზიდენტ დემონ უილსონის აზრით, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ძლიერება იმავდროულად მისი სუსტი ადგილია.

შესაძლოა, ალასანიას პარტიამ სცადოს ვითარების შეცვლა. იგი იძლევა დაპირებას, რომ მილიარდერ ბიძინა ივანიშვილთან გაერთიანდება. თუმცა პარტნიორობა ფათერაკებით დაიწყო: იუსტიციის სამინისტრომ ივანიშვილს ჯერ მოქალაქეობა ჩამოართვა, შემდეგ მისი დაჯავშნილი მანქანა დააპატიმრეს, რომლითაც ივანიშვილის ნაღდი ფული — 2 მილიონი დოლარი და ერთი მილიონი ევრო გადაჰქონდათ. ხელისუფლების განცხადებით, ეს იყო საარჩევნო კამპანიის შესახებ კანონის პოტენციური დარღვევა.

ქართველი სახელმწიფო მოხელეები საეჭვოდ მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ პოლიტიკაში მოდის მილიარდერი, რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა. მათი აზრით, რუსეთი 2008 წლიდან მოყოლებული ცდილობს სააკაშვილის ჩამოგდებას. ისინი ამტკიცებენ, რომ ივანიშვილი ერთ დროს Ãàçï ðîì -ის აქციების ორ პროცენტს ფლობდა, რაც „პუტინთან სიახლოვის გარეშე“ შეუძლებელი იქნებოდა.

ივანიშვილი ამბობს, რომ ენერგიულად არ მოითხოვს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანას; ალასანია კი, თავის მხრივ, აცხადებს: ივანიშვილს „მიაჩნია, რომ ჩვენ საქართველოში აქტიურად უნდა ჩავუყაროთ საფუძველი და შევეწინააღმდეგოთ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს“.

„ალასანიას ვარაუდით, რუსეთი კვლავაც საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის და სააკაშვილის მომხრეები მის პარტიას, აგრეთვე მის სპონსორ-მილიარდერს უსამართლოდ უწოდებენ მოსკოვის „შირმას“, — წერს გამოცემა. ალასანია განმარტავს, რომ მუშაობდა კონტრდაზვერვაში: „ვიცი, რომ რუსეთი მტერია და უეჭველია ისიც, რომ მისი სადაზვერვო სამსახურები აქტიურად მუშაობენ“.

იმავდროულად, ალასანიას განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც პოლიტიკური პოლიციის მსგავსად მოქმედებს, მას უთვალთვალებს და მის მიმოწერასაც აკონტროლებს.

გიგა ბოკერია, საქართველოს ეროვნული უშიშროების სფეროს მრჩეველი აცხადებს — ერთი წლის წინ შევთავაზე ალასანიას, მსგავსი ინციდენტის შემთხვევაში ჩემთვის დაერეკა. მისმა თანაშემწემ სამჯერ დამირეკა, ალასანიასა და მის პარტიას სისტემატურად არავინ უთვალთვალებს. „ალასანია უარყოფს ამ განცხადებას და აცხადებს, რომ ბოკერიას არ გააჩნია რესურსი, ლაგამი ამოსდოს შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს, რომელიც ბოროტად იყენებს თავის შესაძლებლობებს.

**The Daily Beast**

# Tavisufali vaWroba saqarTvelosa da moldovasTan

**მომავალი წლის დასაწყისში ევროკავშირი იწყებს მოლაპარაკებების პირველ რაუნდს საქართველოსა და მოლდოვასთან თავისუფალი ვაჭრობის მრავალმხრივი ზონის შექმნის შესახებ, იუწყება ევროკომისია.**

„მოლაპარაკებები მოიცავს ვაჭრობისა და ეკონომიკის საკითხების ფართო სპექტრს ევროკავშირთან უფრო მეტი ინტეგრაციის მისაღწევად“, — ვკითხულობთ პრესრელიზში.



ასეთი ზონის შექმნის მიზანი ევროპის აღმოსავლელ პარტნიორებთან ეკონომიკური ზრდისა და ინვესტიციების გაძლიერებაა.

„თავისუფალი ვაჭრობის ზონა საშუალებას მისცემს საქართველოს და მოლდოვას, გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი და ერთიანი ევროპული ბაზრისგან უპირატესობა მოიპოვოს“, — აცხადებს ევროკომისარი კარელ დე გიუხტი.

„საქართველომ და მოლდოვამ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელეს და შეასრულეს აუცილებელი პირობები (კანონმდებლობა, რომელიც ვაჭრობასა და ინვესტიციებს ეხება) საიმისოდ, რომ მიეცეთ ევროპის შიდა ბაზარზე ნელ-ნელა დამკვიდრების საშუალება “, — დასძენს კიდევ ერთი ევროკომისარი შტეფან ფიულე.

მოთხოვნები ეხებოდა აგრეთვე სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ნორმებს, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასა და კონკურენციის წესებს, განმარტავს ევროკომისია. ევროკავშირი ამ ქვეყნებს მხარდაჭერას უწევდა აუცილებელი რეფორმების განხორციელებისას.

მოლაპარაკებებზე შეთანხმების მიღწევა დადებითად იმოქმედებს ამ ქვეყნების ექსპორტზე, რადგან მათთვის გაიხსნება 500-მილიონიან მომხმარებელთა ევროპული ბაზარი. დაახლოებით ამდენს შეადგენს ევროკავშირის მოსახლეობა.

„საქართველომ და მოლდოვამ უნდა გააგრძელონ მუშაობა კიდევ უფრო მეტი სტაბილურობისა და გამჭვირვალობის მისაღწევად, აგრეთვე იმისთვის, რომ საკანონმდებლო რეჟიმების შესაძლო შედეგების განჭვრეტა შეიძლებოდეს“.

ევროკავშირი საქართველოს და მოლდოვას ძირითადი სავაჭრო პარტნიორია. 2010 წელს ორმხრივმა სასაქონლო ვაჭრობამ, შესაბამისად, 1.7 მილიარდი და 2.1 მილიარდი ევრო შეადგინა.

**vz.ru**

# kremlis Soki da gaStereba

## `marTvadi demokratiis~ epoqis dasasruli

**2000 წელს, როცა პუტინმა პირველად გაიმარჯვა არჩევნებში, იგი იმ ქვეყნის მეთაური გახდა, რომელსაც ლოთი ბორის ელცინი სახელმწიფოს მართვის ველური სტილით მართავდა და რომელმაც რუსეთი ეკონომიკური უფსკრულის პირას მიიყვანა, წერს Sueddeutsche Zeitung. ელცინი ჩაანაცვლეს პუტინმა და მისმა თანამოაზრეებმა და თანამემამულეებს დაჰპირდნენ, რომ „დეფექტურ დემოკრატიას“ „მართვადი დემოკრატიით“ შეცვლიდნენ. მაშინ „მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მართვის ავტორიტარული სტილი სტაბილურობისა და თუნდაც მოკრძალებული კეთილდღეობის გარანტიად მიიჩნია“, — წერს გამოცემის მიმომხილველი.**

რუსეთში ეს პრინციპი კარგა ხანს ეფექტურად მოქმედებდა, რადგან სიტყვის, ბეჭდური მედიისა და კრებების თავისუფლება მეტისმეტად შეზღუდული იყო. თუმცა, თანდანდათანობით, „რკინის ფარდის“ საბოლოო გაქრობამ და გლობალიზაციამ უჩვეულოდ შეცვალა რუსეთის საზოგადოება. ყველაზე ცნობილი რუსი პატიმრის მიხაილ ხოდორკოვსკის აზრით, რეჟიმი ცდილობდა, მასმედიისა და პროპაგანდის მეშვეობით შეექმნა ხელოვნური მშვიდობიანობა — ამით ქვეყნის პოლიტიკურ განწყობას აკონტროლებდა. საბოლოოდ, კრემლმა ვერ შეძლო, შექმნილი რეალობა ადეკვაქტურად შეეფასებინა.




„ახლანდელი საპარლამენტო არჩევნების შედეგები ამტკიცებს იმას, რომ პუტინმა და მისმა მაჟორდომმა — მედვედევმა, აგრეთვე მათი თანამოაზრეების გუნდმა უნდა გააცნობიერონ: პროექტი სახელწოდებით „მართვადი დემოკრატია“ მთავრდება. მკაცრი ხელი, რომელიც სახელმწიფოს მართავს, უკვე აღარ უზრუნველყოფს წესრიგსა და სტაბილურობას. კრემლში უკვე უჭირთ გაცნობიერება იმისა, თუ რა ხდება ქვეყანაში და „ერთიან რუსეთს“ რეალობასთან კავშირის გაწყვეტა ძალზედ ძვირი დაუჯდა, — აღნიშნავს კომენტატორი.

ქვეყნის მოქალაქეებს აღარ სურთ შეეგუონ: კორუფციას, სასამართლოს თავნებობას, ჩამპალ სოციალურ ინფრასტრუქტურას და ქერის ორმოსთან მოკალათებულთა უსირცხვილოდ გამდიდრებას. ის რუსეთელები, რომლებიც მოგზაურობენ და სხვა ქვეყნებს ეცნობიან, აცნობიერებენ — სახელმწიფო დაკნინებულია. მხოლოდ კრემლი იყრის ნაცარს თვალებში. ეს განსაკუთრებით აშკარად მაშინ გამოჩნდა, როცა პრეზიდენტმა და პრემიერმა ადგილების გაცვლის შესახებ განაცხადეს. განცხადებამ, რომ თითქოსდა ეს გადაწყვეტილება ხალხის ნებას გამოხატავდა, უკმაყოფილების ტალღა ააგორა.

პრეზიდენტის განცხადება — არჩევნების შედეგები ღირსეულია — ეს იყო მცდელობა, როგორმე დაეფარათ მმართველი პარტიის აშკარა დამარცხება. „ფალსიფიკაციით სავალალო შედეგების გამოსწორება სცადეს, თორემ სინამდვილეში „ერთიანმა რუსეთმა“ ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 25 პროცენტი მიიღო. ახლა ძალაუფლების შენარჩუნებას ძალის გამოყენებით თუ მოახერხებენ: კრიტიკული ინტერნეტრესურსების დაბლოკვით, საპროტესტო გამოსვლების მონაწილეთა დაპატიმრებებით და ა.შ.“, — ვარაუდობს გამოცემა.

**Sueddeutsche Zeitung**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა გულბაათ ჭავჭავაძემ.**

**გია ჟორჟოლიანი:** „ივანიშვილის გამოჩენამ ქართულ პოლიტიკაში შეცვალა პოლიტიკური პარტიების კონფიგურაცია. თუ პარტიები აქამდე ორიენტირებული იყვნენ ემოქმედათ საკუთრი ინტერესებიდან გამომდინარე და ებრძოლათ არჩევნებში, დღეს მათი ორიენტირი იცვლება. დღეს ერთ მხარეს არის სააკაშვილი და მისი მთავრობა, მეორე მხარეს - ივანიშვილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა და მის გარშემო ქართველი ხალხის დიდი ნაწილი. ამ ვითრებაში პარტიებს ჩვეული ფუნქცია დაეკარგათ. პარტიების რეიტინგები - შედარებით ძლიერი, ნაკლებად ძლიერი და ა.შ. კარგავს მნიშვნელობას.

რაც შეეხება ჩემს წერილს „ბიძინა ივანიშვილი და გამოწვევები საქართველოს პოლიტიკური პარტიებისთვის“, აქ გამოწვევები



არ ნიშნავს იმას, რომ გაუარესდა მდგომარეობა. ეს ნიშნავს, რომ არსებობს გამოწვევა. რომელსაც სჭირდება პასუხი და ეს პასუხი შეიძლება აუმჯობესებს ამ ჯგუფების, პოლიტიკური პარტიების მდგომარეობას. მე მგონია, რომ ეს ასეა. ბიძინა ივანიშვილის ჩართვამ ქართულ პოლიტიკაში შექმნა ახალი ასპარეზი. აქამდე პოლიტიკური პარტიების მთავარი ამოცანა იყო როგორმე ერთმანეთში მოელაპარაკათ, გარკვეული ადგილები მოეპოვებინათ, თავისი იდეები გაევრცელებინათ ძალიან შეზღუდული რესურსების პირობებში, მათ შორის საინფორმაციო საშუალებების პირობებში, რაც ადამიანებს არ აძლევდა იმის იმედს, რომ შესაძლებელი იყო რეალური ცვლილება მომხდარიყო; რაც შეეხება თემას, სად არიან სხვა პოლიტიკური პარტიები, ჩემის აზრით, ყველა ოპოზიციური პარტიის ადგილი არის ამ დაპირისპირების ერთ მხარეს, და მესამე საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს წარმოუდგენიათ, რომ პოლიტიკაში მონაწილეობა ეს არის პირველ რიგში, ადგილის პოვნა პოლიტიკურ ასპარეზზე, და ეს ასპარეზი უპირველეს ყოვლისა, განიხილება რაღაც სახელისუფლებო სტრუქტურებში. ეს ყოველთვის ასე არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, თუ როგორი პოლიტიკა იქნება ქვეყანაში. ვიდრე ივანიშვილი გამოჩნდებოდა ამ ასპარეზზე, სინამდვილეში პოლიტიკური პარტიებისათვის პოლიტიკაში მონაწილეობის არავითარი ასპარეზი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ პარტიას ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში, საკრებულოში და ა.შ. მათი გავლენა პოლიტიკურ პროცესზე, მათი გავლენა გადაწყვეტილებებზე არის იმდენად უმნიშვნელო, რომ ასეთ რამეს შეიძლება პოლიტიკაში მონაწილეობა ვერც უწოდო. მე მგონია, რომ იყო ჩამოყალიბებული სისტემა, და არა მარტო საქართველოში, საერთოდ, პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც პარტიებს აქვს ადგილი ლაპარაკის, მაგრამ არა პოლიტიკაზე ზეგავლენის. მაგრამ დღეს ვითარება შეიცვალა, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ შექმნა პირობები პოლიტიკაზე რეალური ზეგავლენისათვის. ანუ ეს არის ალტერნატივა. აქ არ იგულისხმება მატერიალური დახმარება. პირველ რიგში, ეს არის ისეთი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც აჩენს იმედს ხალხში სხვადასხვა გარემოებების გამო. მათ შორის მხოლოდ ერთი გარემოებაა მისი რესურსები, რომელიც სხვა რესურსების ამოქმედების შესაძლებლობას იძლევა. მხოლოდ ფული ამას არ უშველის. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პლიუსი, — ღირსება, რომელიც ბიძინა ივანიშვილს აქვს, არის სწორედ ის, რომ იგი აქამდე უშუალოდ არ მონაწილეობდა ქართულ პოლიტიკაში და მას არ ახასიათებს საქართველოში 20 წლის განმავლობაში ქართველი პოლიტიკოსებისათვის მახასიათებელი სტერეოტიპული ქცევა. ანუ მისი ყველა სხვა პოლიტიკოსისაგან განსხვავებულობა ქმნის ყველაზე დიდ რესურსს, რომელიც აჩენს ხალხში აზრს, რომ ის პოლიტიკა, რომელიც აქამდე იყო, აღარ იქნება.

რაც შეეხება საკითხს, ხომ არ რჩება საქართველო ოპოზიციის გარეშე, თუკი ივანიშვილი მოვა ხელსიუფლებაში, ვიდრე ამ საკითხს განვიხილავთ, მინდა შევეხო ფორმულირებას, სად და როგორ წარმოუდგენიათ პოლიტიკურ პარტიებს თავისი თავი. მე ერთმანეთისგან გამოვყოფ მხარდაჭერას და გუნდში ყოფნას. ვითარება ასეთია, არსებობს ორი პოლუსი და ჩვენ უნდა გავაკეთოთ არჩევანი. ჩვენი არჩევანი. მიუხედავად იმისა, სად ვიქნებით გაერთიანებული. რომელიღაცა ერთი უნდა მინდოდეს და ეს არ არის დამოკიდებული იმაზე, ვიქნები თუ არა გაერთიენებული რომელიმე ჯგუფთან. ადამიანთა უმრავლესობა, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს და პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებს, არავისთან არ არის გაერთიანებული. ისინი გადაწყვეტილებას იღებენ საკუთარ მომავალზე. ეს ორი პოლუსიც ორი მომავალია.

ჩემის აზრით, ყველა ოპოზიციურმა პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს ერთ პოლუსს, ანუ ბიძინა ივანიშვილის გაერთიანებას. ჩვენთან არის ორი ტიპის არჩევნები: პროპორციული და მაჟორიტარული. ხალხი რომ არ დაიბნეს, პროპორციულ არჩევნებში ყველა რეალურად ოპოზიციურმა პარტიამ სასურველია მხარი დაუჭიროს ივანიშვილის გაერთიანებას, დამოუკიდებლად იმისა, ამ პარტიის წარმომადგენლები იქნებიან თუ არა ამ გაერთიანებაში. ამავდროულად პარტიებმა სახე რომ არ დაკარგონ, მათ უნდა აწარმოონ თავიანთი კამპანიები მაჟორიტარულ არჩევნებში და თავიანთი მწირი რესურსები მოახმარონ ამ არჩევნებს. ხოლო თავად ივანიშვილის გაერთიანებამ მხარი უნდა დაუჭიროს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს. რაც ნაკლები იქნება ოპოზიცურ პარტიებს შორის კონკურენცია, მით უფრო გამკაფიოვდება ამ ორი პოლუსის საკითხი. ამისათვის ივანიშვილის გუნდში გაერთიანება კი არა, ერთმანეთის მხარდაჭერაა საჭირო. და ამ მხარდაჭერის პირობებში ვეცადოთ გავატაროთ ჩვენი შეხედულებები.

ასეთ ვითარებაში მოსალოდნელია, რომ პოლიტიკური პარტიების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდება პარლამენტში და ეს შექმნის სწორედ გარკვეული პოლიტიკური პლურალიზმის საფუძველს პარლამენტში. ანუ მნიშვნელობა არა აქვს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებიდან ვინ არის ივანიშვილის გაერთიანებაში; ივანიშვილის გაერთიანება არის ერთი პარტია, იქ 5 პარტიაც რომ შევიდეს, იქ პარტიები კი არა, ივანიშვილი იღებს ხმებს. ცხადია, ოპოზიციურ ფლანგზე ბიძინა ივანიშვილს კონკურენტი არა ჰყავს. დღეს არცერთ სხვა პარტიას ოპოზიციური ამომრჩეველი არა ჰყავს. რადგან ამ ხელისუფლების მიმართ ოპოზიცურად განწყობილმა ამომრჩეველმა მხარი უნდა დაუჭიროს იმ პოლიტიკურ ფიგურას და პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც ამ ხელისუფლებას შეცვლის. ანუ არჩევანს გააკეთებს არა თავისი შეხედულებების მიხედვით, არამედ რეალურ შედეგზე ორიენტირების გამო.

## ბაღათურიამ დეპუტატთა რიცხოვნობის გაზრდის საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის შეჩერება მოითხოვა

პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერი, ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდო ბაღათურია დეპუტატების 150-დან 190-მდე გაზრდის გადაწყვეტილებას უკანონობად მიიჩნევს და საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას მისი განხილვის შეჩერებისკენ მოუწოდა.



როგორც მან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დანაშაული იქნება, რადგან დეპუტატების რაოდენობის გაზრდა კონსტიტუციისა და ხალხის ნების იგნორირებაა.

მისი შეფასებით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი უპასუხისმგებლოდ იქცევა, როდესაც 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმს უკანონობას უწოდებს.

„კუბლაშვილს თურმე 8 წლის შემდეგ აღმოუჩენია, რომ ეს რეფერენდუმი უკანონო იყო“, - განაცხადა ჯონდო ბაღათურიამ და დასძინა, რომ თუ საზოგადოება პავლე კუბლაშვილს დაუჯერებს, გამოდის, რომ დღევანდელი პარლამენტიც სრულიად უკანონოა.

საკონსტიტუციო ცვილებების განხილვის არშეჩერების შემთხვევაში ჯონდო ბაღათურია საზოგადოებას ჰპირდება, რომ იმ დეპუტატების სიას გამოაქვეყნებს, რომლებმაც დეპუტატების რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდის საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირებას მოაწერეს ხელი.

**„მედიანიუსი“**

**ზაზა ფირალიშვილი:** რუსეთი, ჩვენი ხელისუფლების ფსიქოლოგიური კომპლექსი კი არა, ფაქტია, რომელიც გვსურს თუ არა, არის უძლიერესი ფაქტორი ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში. შევარდნაძე ცდილობდა დაებალანსებინა სიტუაცია რუსეთსა და დასავლეთს შორის და გარკვეულ წარმატებას ამ თვალსაზრისით მან მიაღწია. თუმცა დავკარგეთ აფხაზეთი, მაგრამ დავკარგეთ ფაქტობრივად და არა იმ ხარისხით, რა ხარისხითაც ახლა გვაქვს დაკარგული. აღიარება არ ჰქონდა არც აფხაზეთსა და არც სამაჩაბლოს მაშინ. ორი-სამი ქვეყნის აღიარება უკვე მძიმე ფაქტია, რამდენიც არ უნდა დავხუჭოთ ამაზე თვალი. და ამის დაძალევა საკმაოდ რთულ საერთაშორისო ტექნიკას მოითხოვს. დაბალანსების პოლიტიკამ გაამართლა იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფოერბრიობა იმ 12 წლის განმავლობაში შედგა, მართალია ცუდად, მძიმედ, ყველა ინსტიტუცია არ მუშაობდა, კორუფციით იყო გაჟღენთილი, მაგრამ გარკვეული მექანიზმები ამუშავდა. სახელმწიფოს განცდა გაჩნდა მიახლოებაში მაინც. თუ გავითვალისწინებთ, რა მძიმე წარსულიდან მოვდივართ, 70-წლიან ბოლშევიკურ მმართველობას და იმას, რომ 1490-იანი წლებიდან სახელმწიფო ტრადიცია არ გვქონია და როგორც მერაბ მამარდაშვილი იტყოდა, პოლიტიკური კუნთები ატროფირებული იყო.



შემდეგ სააკაშვილი შეეცადა მკაცრად განსაზღვრული გეოპოლიტიკური კონფიგურაცია მიეცა ქვეყნის საერთაშორისო ცხოვრებისათვის. შეიძლება არ ყოფილიყო ეს ცუდი ექსპერიმენტი, თუ არა ერთი რამ, წლევანდელი ხელისუფლაი იმ კარნავალური განწყობილების ტყვეობაშია, რომელიც თავად შექმნა 2003 წელს და ცდილობს ჩაითრიოს მთელი საზოგადოება. ამიტომაც არის, რომ მისთვის რიტორიკა მეტს ნიშნავს, ვიდრე პოლიტიკური ფაქტი, გნებავთ, პოლიტიკური დივიდენდი. ამ მუდმივ რიტორიკას, სცენაზე ტრიალს ეწირება ჩვენი ინტერესები.

რაც შეეხება რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის რეგულაციას, ბატონმა ივანიშვილმა მაესტროზე გასულ ინტერვიუში თქვა ის, რაც უნდა ეთქვა ნორმალურ ადამიანს, რომელსაც უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს; როდესაც შენ არსებობ, შენი არსებობით არ უნდა შეაწუხო ის ადამიანი, მით უმეტეს, რომელიც ეძებს საბაბს, რომ აქეთ შეგაწუხოს. მე რომ რეცეპტი გამოვწერო და რაღაც პროექტი დავდო პოლიტიკური ქცევის, ნამდვილად არ იქნება სერიოზული. მაგრამ არსებობს პარადიგმა: რაციონალიზმი და სიდარბაისლე, რაც საერთაშორისო პოლიტიკას უხდება. ეს აკლია ჩვენს საერთაშორისო პოლიტიკას დღეს. და მეორე რამეც თქვა უფრო ადრე ბატონმა ბიძინამ, აფხაზეთი და სამაჩაბლო თავად რუსებს აწევთ, როგორც ტვირთიო და ეს მართლაც ასეა. ეს არის ტვირთი, რომლის გამოც რუსეთს გამუდმებით ესაუბრებიან საერთაშორისო ორგანიზაციები, პოლიტიკური აქტორები და ა.შ. და იქნებ მოიძებნოს ქცევის ის ხერსი, რომლითაც მივეშველებით მათ, მოიხსნან ეს ტვირთი. ეს ჩვენთვისაც სასარგებლო იქნება.

ორი რამ უნდა ვიცოდეთ გარდუვალად, ერთი, რომ დასავლეთი ჩვენი ბედისწერაა და იქით უნდა ვიდოდეთ, თუ გვინდა რომ დავემსგავსოთ ნორმალურ საზოგადოებას და მეორეს მხრივ, ამას ვერ მივაღწევთ, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს გვერდით არის მეზობელი, რომელიც ძალზე ეჭვიანად უცქერს ამ ჩვენს სწრაფვას და სვლას. ჩვენ უნდა შევძლოთ და მისი ეჭვები გავაქარწყლოთ, დავანახოთ, რომ მისთვის ამაში არავითარი საფრთხე არ იმალება. ეს უნდა შევძლოთ, რაც დიპლომატიური ტექნიკის ამბავია. ეს არის ამოცანა.

ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი მოსახლეობა ორ რამეს არ აპატიებს მომავალ ხელისუფლებას: ერთი, სრული მორჩილების გამოცხადებას რუსული ნეოკოლონიალური რევანშისტული პოლიტიკისადმი და მეორე, რომ ანტირუსული რიტორიკული პოლიტიკით ქვეყანამ დაკარგოს ტერიტორიები, ბაზრები და ა.შ. ეს ორივე დაუშვებელია. პოლიტიკა მეტად რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს ჩვენს ძალიასხმევას ყოველწამიერ. ასე რომ, გზა, რომელიც გველის, ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება ძალიან რთული, მაგრამ გადამწყვეტი.

...ივანიშვილის ირგვლივ ჩამოყალიბებულ ახალ ძალას გასათვლელი აქვს ბევრი რამ; გასათვლელია, რა პორტრეტით უნდა წარსდგე საზოგადოების წინაშე, რომ მას ისევ ნიჰილიზმი არ დაეუფლოს. გასათვლელია ყველა კონტრნაბიჯი, რასაც ხელისუფლება გადადგამს შენს წინააღმდეგ. კარგად ვიცით, როგორი გაწაფულია ხელისუფლება თავისი ოპონენტების ჩაძირვაში. გასათვლელია, რომ შენ არ უნდა ჩაჰყვე დისკუსიაში ხელისუფლებას ძალიან ბევრი თემის ირგვლივ; არ უნდა მეტყველებდე იგივე ენაზე, რა პოლიტიკურ ენაზეც მეტყველებს ხელისუფლება და ა.შ. მაგრამ როგორი კარგი გამთვლელიც არ უნდა იყო, თუ არ არსებობს საზოგადოებრივი მოლოდინი და ნდობის კრედიტი შენს მიმართ, არაფერი არ გამოვა. მთავარი კაპიტალი არის მოლოდინი და ნდობის კრედიტი, რისი მატარებელიც არის დღეს ბიძინა ივანიშვილი. მაისის მოვლენებს თუ გადავხედავთ, მაშინაც ძალიან კარგად იყო გათვლილი ბევრი რამ, მაგრამ არ არსებობდა ნდობის კრედიტი და იმიტომაც მივიღეთ ნულოვანი შედეგი, თუ არ გავითვალისწინებთ იმ უარყოფით რეზულტატს, რაც გამოიხატა ადამიანთა მსხვერპლში, ცემაში, წამებაში... დღეს არსებობს ნდობის კრედიტი და ეს იმხელა ძალაა, რომ გათვლებში შეცდომასაც გაპატიებს.

**„მაესტრო“**

# politika, romelsac xelisufleba eweva, provokaciaa sakuTari qveynis winaSe

***„საერთო გაზეთის“ სტუმარია ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე.***

**— ბატონო გულბაათ, რამდენად ახდენს გავლენას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე ამბოხებული აღმოსავლეთი?**

—დღესდღეობით პირდაპირი გავლენა არ ჩანს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებლად მოახდენს გავლენას, რადგან დასავლეთის უპირობო გავლენა რეგიონში, რომელიც სსრკ დაშლის შემდეგ წარმოიშვა, ეჭვს ქვეშ დადგა, და სწორედ ეს მოახდენს გავლენას კავკასიის მომავალ მდგომარეობაზეც.



სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში ყოველდღე იცვლება, ჯერჯერობით გარკვეული არ არის, რა გზას დაადგებიან ხელისუფლებაგამოცვლილი სახელმწიფოები: ეგვიპტე, ლიბია, არაბეთის ახლადამოძრავებული სხვა ქვეყნები. აღმოჩნდა, რომ დასავლეთის კონტროლის ქვეშ მყოფი ეს რეგიონი ერთგვარი მოჩვენებითი სტაბილურობით გამოირჩეოდა. სინამდვილეში, ხალხში სულ სხვა განწყობა იყო ჩაგუბებული, როცა პოლიტიკურად რეალიზების საშუალება მიეცა ამ განწყობას, ამოხეთქა თითქოსდა ლიბერალურმა რევოლუციამ (ასე უნდა დასავლურ პრესას, რომ დასახოს რეალობა). ის რეჟიმები, რომლებსაც ხალხი აუმხედრდა, იყო გახრწნილებაში, კორუფციაში და სხვა „სიკეთეებში“ ჩაფლული, რაც დასავლეთს ახასიათებს. კორუფცია არ არის განა ის, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ჩუმად იღებდა ფულს ლიბიის პრეზიდენტისგან საარჩევნო კამპანიისთვის? ამერიკულ კორუფციაზეც ბევრი დაწერილა. ამერიკისთვის უკვე ტრადიციად ქცეული ლობიზმი ოფიციალურად კორუფციის ლეგალური სახეა. თუმცა, ამერიკა, როგორც სახელმწიფო, დაარსებისას სულ სხვა მიდგომებით ხელმძღვანელობდა. მისთვის ტალეირანის ევროპა კორუფციის აკვანი იყო, რომელიც ისეთ მასშტაბებს აღწევდა, რომ აღმოსავლეთის დესპოტიებს შეშურდებოდათ.

საქართველოს რაც შეეხება, დღეს ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული რეჟიმის ქვეყანაა. სააკაშვილმა პარლამენტში ელიტურ კორუფციაზე მოსაუბრე დეპუტატს ხმა ჩააგდებინა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ელიტური კორუფცია საქართველოში არ არსებობს.

**— ჩვენ უკვე მოვახდინეთ „ვარდების რევოლუცია“...**

— ეს ხელისუფლება იმშვიდებს თავს, რომ უკვე მოახდინა ფერადი რევოლუცია, რომელიც გარედან შემოტანილი რეჟისურით მოხდა. საქართველოში უცხოეთის ჩარევის გარეშე არანაირი რევოლუცია არ მოხდებოდა. ეს არ იყო ხალხისგან წამოსული რევოლუციური მუხტი, არამედ ფულის მეშვეობით ხელოვნურად შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია. მართალია, შევარდნაძის მიმართ ბევრი პრეტენზია ჰქონდა მოსახლეობას, მაგრამ არც სააკაშვილი უყვარდათ, უბრალოდ, არ იცნობდნენ ნაციონალურ მოძრაობას, 20%-იან პარტიას, რომელსაც მართვის ბერკეტები თვით შევარდნაძემ მისცა. ერთიც მინდა ვთქვა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აბაშიძეს რომ მოენდომებინა, რუსეთის ნებართვის გარეშე აჭარაში ფეხს ვერავინ შედგამდა. თუკი სააკაშვილი თავდასხმას გაბედავდა, იგი დამარცხდებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში რუსეთმა ხელი შეუწყო სააკაშვილს, როცა ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

**— ე.წ სამხრეთ ოსეთის არჩევნებთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

—მთავარი დასკვნა ასეთია: ამ ერთი ციცქნა რესპუბლიკაში, რომელიც არაღიარებულად ითვლება (და, ცხადია, ასე იქნება, სანამ მას გაერო არ აღიარებს), საარჩევნო კომისია უფრო ობიექტურია, ვიდრე საქართველოში. ოსებმა აირჩიეს რუსეთისთვის და თავიანთი მთავრობისთვის არასასურველი კანდიდატი. დემოკრატიის ძირითადი ნიშანი არჩევნებია, და თუ მოქალაქის ხმა მახინჯდება, იქ არანაირ დემოკრატიაზე არაა ლაპარაკი.

ცხინვალში საარჩევნო პროცესმა დემოკრატიულად ჩაიარა, ხმის მიცემის პროცედურა არ დამახინჯებულა და შედეგებიც რეალურია. თუმცა ეს შედეგები გაუქმდა სახელმწიფო ორგანოების პირდაპირი მითითებით, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალურად ცხინვალი მზად არ არის დემოკრატიისთვის, თუმცა სერიოზული ნაბიჯი მაინც არის წინ გადადგმული.

**— თქვენ ბევრს წერდით საქართველოს ნატოში გაწევრიანების უპერსპექტივობაზე. რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა კი ახლახანს განაცხადა, რომ აგვისტოს ომმა საქართველოს დააკარგინა ნატოში შესვლის პერსპექტივა. უნდა განვიხილოთ თუ არა მედვედევის ეს განცხადება აგვისტოს ომის დაწყების მიზეზად და რუსეთის “აღიარებით ჩვენებად”, რომ მან წამოიწყო ომი?**

— ნატოს თემის უპერსპექტიობაზე უკვე 12 წელიწადია ვწერ. ნატოში გაწევრიანებაზე კურსის აღება იმთავითვე უპერსპექტივო იყო. მე სულაც არ მადარდებს ის, რომ ნატო კიდევ უფრო უპერსპექტივო გახდა, მე მადარდებს ის, რომ დაიკარგა ქართული ტერიტორიები და რუსეთთან ურთიერთობები საერთოდ შეწყდა, რაც საქართველოს ნორმალური განვითარების შანსს უკარგავს. ნატოს წევრი სახელმწიფოების პრეროგატივა ის არ არის, რომ შენ გაქვს სურვილი, გახდე ნატოს წევრი. თუ საჭიროდ ჩათვლიან, განიხილავენ და თავად მიგიწვევენ. მაგრამ საქართველო, მაპატიეთ ცუდი ჟარგონი, თავად “ეტენება” ამ ნატოს, რასაც ნეგატიური შედეგების მეტი არაფრის მოტანა შეუძლია. ამგვარი ფსევდოპოლიტიკა არის პროვოკაცია, ანუ საქართველოს ღალატი.

**— რამდენად დაძაბა რუსეთთან ურთიერთობა სააკაშვილმა თავისი რადიკალური რიტორიკით, რომელიც აგვისტოს ომამდეც შეინიშნებოდა? ეს ხომ მაინც სიტყვებია და არა რეალური**




**ქმედებები? უნდა მოეხდინა რუსეთის ხელისუფლებას ამგვარ რიტორიკაზე მწვავე რეაგირება?**

—პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების დაახლოებით 80%, თუ მეტი არა, რიტორიკისგან შედგება, დანარჩენი — კონკრეტული გადაწყვეტილებებია. როცა შენ, ქვეყნის პრეზიდენტი, პიროვნების შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს იყენებ მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ, ამით ლახავ ჯერ საკუთარი ქვეყნის ღირსებას, მერე იმ ქვეყნის მოსახლეობას აყენებ შეურაცხყოფას და ფაქტობრივად „ცივ ომს“ უცხადებ მეზობელ სახელმწიფოს. ამიტომ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკაში. ესა თუ ის სიტყვა ხდება ამა თუ იმ ქმედების გამომწვევი ფაქტორიც.

**— ჩვენი ბევრი „სტრატეგიული დანიშნულების“ ობიექტი რუსი ოლიგარქების ხელშია დღეს, რამდენად შეესაბამება აღნიშნული ფაქტი ხელისუფლების ანტირუსულ რიტორიკას?**

— ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ რუსეთისთვის არ მიუყიდიათ. შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმო ამაში ხელისუფლებას. მათ ქონება გაყიდეს რუს ოლიგარქებზე. ეს ოლიგარქები იძულებით ლოიალურნი არიან პუტინის ხელისუფლების მიმართ რუსეთში, მაგრამ პოტენციურად დასავლეთის მოკავშირე ტრანსნაციონალურ კორპორაციებს წარმოადგენენ. მათ საქართველოში შეისყიდეს ეკონომიკისთვის მომგებიანი და მნიშვნელოვანი ობიექტები. ამ გასხვისებას თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები აქვს. რუსულ სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური და თვით ეკონომიკური თვალსაზრისით ამ ობიექტების უმეტესობა არ აინტერესებს, რადგან: დავუშვათ, მოხდა სამხედრო დაპირისპირება რუსეთს და საქართველოს შორის. რუსეთმა გადაწყვიტა, საბოტაჟი მოაწყოს და ელექტროენერგია შეუწყვიტოს თბილისს “თელასის” საშუალებით; ამ შემთხვევაში ქართულ მხარეს იოლად შეუძლია “თელასში” საკუთარი მენეჯმენტის შეყვანა და საბოტაჟის მომწყობი მენეჯმენტის გამოგდება პოლიციის ძალით. რუსული სახელმწიფოსათვის “თელასის” ეკონომიკური ეფექტიც მიზერია. მაგრამ ენგურჰესთან მიმართებით უკვე სულ სხვა სიტუაციაა: იქ ვერაფერს გააწყობ ძალით, რადგან რუსული ბაზები იქვეა, აფხაზეთში განლაგებული. ენგურჰესის ეკონომიკური ეფექტიც დიდია, დღემდე საქართველო ხარკის სახით უფასოდ აძლევს აფხაზებს ელექტროენერგიას. ჰიდრორესურსები არის ქართულ მხარეს, სამართავი პულტი კი აფხაზებისკენ, სოფელ საბერიოში, გალის რაიონში.

ამრიგად, უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან თვით სტრატეგიული ობიექტებიც, რომლის გაყიდვა შეიძლება და რომლის — არა. მაგრამ მე სულაც არ ვამართლებ არსებულ პრაქტიკას, რომელიც ხელისუფლებამ დანერგა და რუსი ოლიგარქების ჯიბეებს ასქელებს ჩვენი ქვეყნის ხარჯზე. მაგალითად, მადნეულის საბადოებში საშინელი მდგომარეობაა, იძარცვება იქაურობა, ნადგურდება გარემო, მდინარე მაშავერა მოწამლულია. იმის მაგივრად, რომ ადგილზე აგებულიყო გადამამუშავებელი ქარხანა, ქვეყნის გარეთ გადის ნედლეული. ამასთან, ის, რომ ქართველი დასაქმებული დაცული უნდა იყოს, მემარცხენეობად მიიჩნევენ. ეს ბენდუქიძის იდეოლოგიაა, იგი მრწამსით ულტრამემარჯვენეა და აცხადებს, რომ დასაქმებულთა სოციალურ პრობლემებზე სახელმწიფომ კი არ უნდა იზრუნოს, არამედ ამ ტიპის პრობლემები მხოლოდ ბაზარმა უნდა მოაგვაროს.

**—პატრიარქის ვიზიტმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში.**

— ვერ დაგეთანხმებით. საზოგადოება პატრიარქის საქმიანობას ყოველთვის დადებითად უყურებდა, როდესაც იგი რუსებთან დაახლოებას ცდილობს. თუ საზოგადოებაში იგულისხმება „თავისუფლების ინსტიტუტი“, ჟურნალი „ტაბულა“, მაშინ კი, ბატონო, მათი რეაქცია იყო უარყოფითი და გამოდის, რომ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქციაა. მართლმადიდებელმა ერებმა ურთიერთობები არ უნდა გაწყვიტონ, ამაში მხოლოდ რუსები არ იგულისხმება, ბულგარელები, სერბები, რუმინელები, ჩვენ ევქარისტულ კავშირში ვართ ერთად. და ეს ურთიერთობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე პოლიტიკური კონიუნქტურა. ჩვენ მოვალენიც ვართ, შევინარჩუნოთ ერთობა სულიერ ძმებთან, ამით სამომავლო პოლიტიკური საქმე გაკეთდება. თითქმის ეს ერთადერთი დასაყრდენია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოგვარებისა. ჯერ კიდევ სუსტად, მაგრამ მაინც დადებითად მუშაობს ერთობლივი კულტურული სივრცის არსებობა. მაგრამ მოდის თაობები, რომლებმაც რუსული ენა არ იციან. ერების გაუცხოებას აღრმავებს ხელისუფლების უარყოფითი, ხელოვნური ჩარევა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში.

**ნათია გოგიტიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# როგორ მოვირჩინოთ გრიპი?

**გრიპი ზამთართან ასოცირდება, რადგან ეპიდემიები სწორედ აციების დროს იწყება. წელს გრიპის სეზონი ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო, ფაქტობრივად შემოდგომის დადგომისთანავე. ერთმა ტალღამ უკვე გადაიარა, რომელიც თითქოს მსუბუქი ფორმით მიმდინარეობდა, თუმცა საკმაოდ სერიოზული გართულებები დატოვა. ეს არის, ხშირ შემთხვევაში, უსიცხოდ მიმდინარე ფილტვების ანთება, რომლის შემთხვევაშიც დიაგნოსტირება დროულად ვერ ხდება. ასეთი დაავადების მკურნალობა რთულია და განკურნების მერეც დიდხანს ტოვებს სისუსტეს. კიდევ უფრო ხშირი გართულება ბრონქიტია, რომელსაც ქრონიკულში გადასვლის ტენდენცია ახასიათებს. ამ თემაზე ევროკავშირის ექსპერტი, ჰომეოპათიის აკადემიის პრეზიდენტი თინათინ თოფურია გვესაუბრება:**

**— ქალბატონო თინა, ჩემს გარშემო ბევრი უჩივის ხველას, რომელიც 1-2 თვეა ვერაფრით მოიშორეს.**

— დიახ, მართალი ბრძანდებით. ეს განსაკუთრებით ხშირია ბავშვებში. ბევრ მათგანს ხველა სექტემბრიდან მოყოლებული დღემდე აწუხებთ და ვერც თანამედროვე ხველის წამლებით და ვერც ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებით ვერ შველიან. ამ პრობლემით წელს გაცილებით მეტი ბავშვი მოჰყავთ ჩემთან, ვიდრე წინა წლებში.

**— როგორ ფიქრობთ რა არის ამის მიზეზი, ეს ვირუსი სხვებზე უფრო ძლიერია?**

— ვშიშობ, რომ ბავშვების საერთო მდგომარეობაა ძალზედ სუსტი, პირველ რიგში კი იმუნიტეტი. ჩემს ცენტრში, რომელიც დიდი ხანია იმუნიტეტის გაძლიერებაზე მუშაობს, განსაკუთრებული აქცენტი ბავშვებსა და მოზარდებზე კეთდება.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში ბავშვებს სუსტი იმუნიტეტი აქვთ?**

— სამწუხაროდ, ბავშვებში იმუნიტეტის დასუსტების ტენდენცია აშკარად გამოხატულია. ძალიან მაღალია სხვადასხვა ფორმის ალერგიული გამოვლინებები. ასევე ბრონქების სისუსტე, სასუნთქი გზების დაზიანებები, დაჩირქებებისადმი მიდრეკილება, განსაკუთრებით გლანდების. ამის მიზეზი ბევრია, პირველ რიგში ეკოლოგიური პრობლემები. გარემოს დაბინძურება მკვეთრად აისახება ამ თაობის ჯანმრთელობაზე. მეორე, სერიოზული ფაქტორი მშობლების ცხოვრების ჯანსაღი წესია — ნარკოტიკები, ალკოჰოლი, სიგარეტი. ასევე, დედის მიერ ორსულობის პერიოდში მიღებული მედიკამენტები, განსაკუთრებით ანტიბიოტიკები და გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატები. ერთ-ერთი მიზეზი აცრები და არასწორი ხელოვნური კვებაცაა.



**— მაგრამ ხელოვნური კვება, რაც არ უნდა ბევრი რძე ჰქონდეს დედას, რაღაც ეტაპზე ხომ მაინც საჭიროა?**

— აუცილებლად, მაგრამ არ მესმის რატომ უნიშნავენ ბავშვებს მაწვნის ქვეყანაში იოგურტს ან ვაშლის ქვეყანაში რატომ აძლევენ დაკონსერვებულ უცხოურ ხილფაფებს?! — მხოლოდ იმიტომ, რომ ვაშლის გახეხვა ეზარებათ თუ რეკლამის გავლენის ქვეშ მოქცეულები ვერც კი ხვდებიან რამდენ კონსერვანტს იღებს მათი პატარა. კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა — არასწორი მკურნალობაა. როდესაც ბავშვს გრიპი შეეყრება, მშობელი აქცენტს სიცხის დაგდებაზე აკეთებს და ბავშვს სიცხის დამწევს, ზოგი კი ანტიბიოტიკსაც აძლევს თან. უნდა გავიგოთ, რომ ანტიბიოტიკი ვირუსზე არ მოქმედებს. იგი მხოლოდ ექიმმა უნდა დანიშნოს და ისიც მაშინ, როცა გაირკვევა, თუ რომელი მიკრობია ორგანიზმში. წინააღმდეგ შემთხვევაში ანტიბიოტიკის ბრმად დანიშვნისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ეს მიკრობი რეზისტენტულია მის მიმართ, რაც ნიშნავს, რომ წამალი საერთოდ არ იმოქმედებს და სარგებლის ნაცვლად პაციენტს ზიანს მოუტანს. რაც შეეხება სიცხეს — მისი არ უნდა გვეშინოდეს, ეს ორგანიზმის ადეკვატური რეაქციაა ვირუსზე ან გაციებაზე, რაც ნიშნავს, რომ იმუნური სისტემა ჩართულია და დაავადებას ებრძვის. თუ გრიპი უსიცხოდ მიმდინარეობს, ეს ცუდი მაჩვენებელია, რაც იმუნიტეტის სისუსტეზე მეტყველებს. როდესაც სიცხე ხელოვნურად, სწრაფად დაგვყავს ნორმამდე, ამით იმუნურ სისტემას ვთიშავთ და ხელს ვუშლით დაავადებასთან ბრძოლაში. ასე დაწეული სიცხე, მეორე დღეს ისევ მაღლა ადის, 2-3 დღეში ნორმამდე ან ნორმის ქვევით დადის და მერე გაუთავებელი ხველა, ანგინები, ყურის ანთება, სახსრების ტკივილი და ბევრი სხვა რამ იწყება. ეს გართულებები დიდხანს რჩება ორგანიზმში და ათასგვარი ქრონიკული დაავადებების ფორმას იღებს. ასევე, მაღალი სიცხის ამ ფორმით დაგდება, შემდგომი დაბალი სიცხე ადამიანის იმუნიტეტს ასუსტებს.

**— რა შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ სიცხის დამწევი საშუალებები?**

— მხოლოდ მაშინ, როცა სიცხე 39-ზე ზევით ადის, ძალიან თეთრ ან კრუნჩხვებისკენ მიდრეკილი ბავშვებისთვის 38,5-ზე ზევით. ამ დროს კარგია შუბლზე კომბოსტოს ფოთოლის დადება ბევრი სითხე, კომშის კომპოტი, ჩაი ჟოლოს მურაბით ან გამხმარი ჟოლოს ნახარში, ცაცხვის ყვავილების ჩაი, რომელსაც ანთების საწინააღმდეგო თვისებებიც აქვს. ბოლო დროს გახშირდა ჩივილები, რომ გადატანილი გრიპის შემდეგ მუდმივი დაბალი სიცხეები აქვთ. ეს სწორედ „ეფექტური“ მკურნალობის ბრალია. სამწუხაროდ, ჩვენთან ბავშვი უკვე „კარგად“ ნამკურნალევი მოჰყავთ, რაც ართულებს საქმეს, ერთ კვირაში მოსარჩენ პაციენტს ერთ თვეს ვანდომებთ მკურნალობას.

**— რამდენიმე დღეა, რაც გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის მოახლოების შესახებ. მოსახლეობა ახალი ეპიდემიის მოლოდინშია. რა იცით ამის შესახებ?**

— როგორც ყოველთვის, წელსაც გრიპის ვირუსის რამოდენიმე ნაირსახეობა იქნება. ზუსტი პროგნოზის გაკეთება, თუ როგორი იქნება ეს გრიპი, ჯერჯერობით რთულია. გარკვეულწილად ეს იმაზეცაა დამოკიდებული, რამდენად ცივი იქნება ზამთარი. გამოიწვევს თუ არა ვირუსი ეპიდემიას, თუ სეზონური გრიპის სახით ჩაივლის, ეს ჯერ არავინ იცის.

**— რატომ ამბობენ, რომ ახალი ვირუსი, ძირითადად ბავშვებს დააზიანებს?**

— მარტო ეს კი არა, ნებისმიერი ვირუსი უფრო ძლიერად ერევა მას, ვისაც სუსტი იმუნიტეტი აქვს. იმუნური სისტემა ასაკთან ერთად ყალიბდება და ძლიერდება, ამიტომ რაც უფრო პატარაა ბავშვი, უფრო ერევა გრიპი. ბოლო დროს ჩვენი ბავშვების იმუნიტეტის მდგომარეობას საშუალოზე დაბლა ვაფასებ. პატარების დიდი ნაწილი ცხვირით ვერ სუნთქავს, მათ ცხვირის წვეთებს უნიშნავენ, რომელიც აზიანებს ლორწოვანს და ხშირად ალერგიას იწვევს. კიდევ ერთი პრობლემაა ჰაიმორიტი, რაც ბოლო დროს პატარა ასაკის ბავშვებშიც გვხვდება.

**— როგორც ცნობილია, თქვენ გრიპის წამლებს ამზადებთ, თუ იცავენ ისინი ბავშვებს ამ გრიპისგან?**

—ჩვენი საპროფილაქტიკო საშუალებები საკმაოდ ეფექტურად იცავენ გრიპისგან. რაც შეეხება სამკურნალო წამლებს მხოლოდ სიცხის წამალია უცვლელი, დანარჩენების შემადგენლობა იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობს მოცემული გრიპი. იცვლება ვირუსი, კლინიკური სურათი და, ბუნებრივია წამლებიც. მაგალითად, ხველებისთვის გვაქვს 10 სხვადასხვა ტიპის ხველის წამალი.

**— ვინც უკვე მოიხადა გრიპი, დაემართება თუ არა მას იგი ხელახლა?**

— გრიპი სახადებისგან განსხვავებით მდგრად იმუნიტეტს არ ტოვებს, ამიტომ იგი შეიძლება თავიდან შეგეყაროს. გარდა ამისა, გრიპის ვირუსი იმდენად სწრაფად იცვლება ანუ მუტაციას განიცდის, რომ ერთ სეზონზე რამოდენიმე ფორმით გვხვდება და ყველა მათგანი ერთმანეთისგან განსხვავდება. გრიპის წინააღმდეგ არსებობს ვაქცინები, მაგრამ სანამ ვაქცინებს ქმნიან, იმ თვეების განმავლობაში გრიპის ვირუსი რამოდენიმეჯერ ასწრებს შეცვლას და რეალურად ის ვირუსი, რომლისგანაც ვაქცინამ უნდა დაგვიცვას, აღარ არის აქტუალური.

**— როგორ ავიცილოთ თავიდან ეპიდემიების საშიშროება?**

— ერთ ოჯახში ან კოლექტივში, სადაც ერთი ვირუსი ტრიალებს ზოგი ხშირად ავადდება გრიპით, ზოგს იგი საერთოდ არ ემართება. ყველა განსხვავებულად რეაგირებს ვირუსზე. ამ ყველაფრის თავი და თავი იმუნიტეტია. ამიტომ, პირველ რიგში ყველა პრობლემის თავიდან ასაცილებლად ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაზე უნდა ვიზრუნოთ, საუკეთესო საშუალებაა პროფილაქტიკა. მოსახლეობის დიდი ნაწილი საპროფილაქტიკოდ იყენებს ნიორს — მიირთმევს ძილის წინ, ან მთლიანად ყლაპავს 1 კბილს უზმოზე, მაგრამ ეს ხშირად იწვევს კუჭის და ნაღვლის ბუშტის გაღიზიანებას. ამიტომ ნივრით მკურნალობას ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. გთავაზობთ ერთ რეცეპტს, რომელიც უსაფრთხოა — გაჭყლეტილი ნივრის 2 კბილი ჩაყარეთ 1 ჭიქა მდუღარე ჩაიში, მჭიდროდ დაახურეთ თავი, დააყენეთ 5 წუთი და მიირთვით. იგი არ ტოვებს ნივრის სუნს და არ აზიანებს კუჭის ლორწოვანს. თუ უკვე ავად ხართ ძილის წინ ფეხის გულები ნივრის წვენით დაიზილეთ და შალის წინდა ჩაიცვით. ასევე, წვრილად დაჭრილი ნივრის კბილი ლამბაქით დადეთ ოთახის სხვადასხვა კუთხეებში. შეეცადეთ მიიღოთ მსუბუქი, ადვილად მოსანელებელი საკვები. მიეძალეთ ხილს, ასკილის ჩაის, მწვანილს, თევზს, კომპოტებს.

**თამარ შველიძე**


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



ჰომეოპათიური აფთიაქი გთავაზობთ ბუნებრივ საშუალებებს გრიპის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის



ვირუსის, გაციების, სიცხის, ბრონქების, იმუნიტეტის, გრიპის, ვირუსული ინტოქსიკაციის, ანგინის, ხველების: ამოსახველებლებს, მშრალი ხველის, ღამის ხველის, სპაზმური ხველის, კრუპოზული ხველის; ცხვირის წვეთებს, სურდოს, ცხვირის გაჭედილობის; მალამოს ალერგიულებისათვის, ბავშვებისათვის, ენერგიის, სწრაფი გამოჯანმრთელების, ჰაიმორიტის, ადენოიდების, ჭიების, გლანდების; ფეხმძიმეებისთვის — მალამო და სითხე დოლბანდისათვის. ჩვილებისთვის ყველაფერი მზადდება შეკვეთით.

ჰომეოპათიური აკადემიის პრეზიდენტი თინათინ თოფურია.

misamarTi: Tbilisi, faliaSvilis q. #43/3, (rigis quCis kuTxe)

tel.: 2 29 43 65; 890 29 43 65 12-dan 19 saaTamde.

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

*მთვარისა კევლიშვილი.*
ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**— გარდამეცვალა ძმა, ვარ თუ არა მისი მემკვიდრე?**

— და არის II რიგის მემკვიდრე.

თუ თქვენ ძმას დარჩა მეუღლე ან შვილები, ან თუნდაც ერთ-ერთი რომელიმე მათგანი, ისინი არიან I რიგის მემკვიდრეები და სამკვიდროსაც, შესაბამისად, ისინი მიიღებენ. II რიგის მემკვიდრე მამკვიდრებლის ქონებას მხოლოდ მაშინ მიიღებს თუ არ არსებობენ I რიგის მემკვიდრეები.

* * *

**— 7 წელია მეუღლესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში ვიმყოფები. შემიძლია თუ არა ახლა გავაფორმო მასთან საქორწინო კონტრაქტი?**

— შეგიძლიათ.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს.



* * *

**— გათხოვების შემდეგ მამაჩემმა მაჩუქა ბინა. შევა თუ არა ეს ბინა საერთო საკუთრებაში?**

— ბინა, რომელიც მამათქვენმა გაჩუქათ, თქვენს საკუთრებას წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის მიხედვით, თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს:

ა)ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;

ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.

* * *

**— შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა?**

— შეიძლება.

სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლის მიხედვით: 1) საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით; 2) ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია; 3) საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას.

* * *

**— რამდენია გირაოს მინიმალური რაოდენობა?**

— ამგვარი სახის შეკითხვა ხშირად შემოდის რედაქციაში.

მოგახსენებთ გირაოს როგორც მინიმალურ, ისე მაქსიმალურ რაოდენობას.

გირაო არის აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახე. გირაო არ არის სასჯელი, როგორც ეს ზოგიერთს მიაჩნია.

გირაოს მაქსიმალური რაოდენობა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაკონკრეტებული არ არის, ხოლო მინიმალური ოდენობა გახლავთ 1000 ლარი.

გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით.

* * *

**— რამდენი სახის პენსია არსებობს?**

— პენსია არის ორი სახის: სახელმწიფო და არა სახელმწიფო.

სახელმწიფო პენსიის დანიშვნის დროს პენსიის გადახდა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. არასახელმწიფო პენსიის მიღების დროს პენსია გადაირიცხება სპეციალურად შექმნილი ანგარიშიდან, რომელიც იქმნება ფიზიკური პირისა და არასახელმწიფო დაწესებულების გადარიცხვის გზით.

* * *

**— შეიძლება თუ არა საპროცესო შეთანხმების გაფორმება მხოლოდ სასჯელზე შეთანხმებით, ბრალის აღიარების გარეშე?**

— შეიძლება. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

ზოგადად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. ბრალზე შეთანხმება ნიშნავს ჩადენილი დანაშაულის აღიარებას. სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული, მართალია, არ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ არც ეწინააღმდეგება წარდგენილ ბრალს, ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა.

* * *

**— ჩემი შვილი არის ძებნილი. შეეხება თუ არა მას ამნისტია?**

— კანონი აკონკრეტებს, რომ ამნისტიით გამოცემული შეღავათები არ ვრცელდება ძებნილ პირებზე.

* * *

**— მოვიხადე სასჯელი ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენისათვის. ნასამართლობა ბევრ რამეში მაფერხებს. შეიძლება თუ არა ნასამართლობის ვადაზე ადრე მოხსნა?**

— შეიძლება.

თქვენ არ აკონკრეტებთ, რა სიმძიმის დანაშაული ჩაიდინეთ ან სასჯელი რა ვადით გქონდათ განსაზღვრული, ამიტომ კონკრეტიზაცია გამიჭირდება.

ზოგადად კი, სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდეც.

ასევე, სასჯელმოხდილ პირს ნასამართლობა შეიძლება მოეხსნას როგორც ამნისტიის, ისე შეწყალების აქტით.

* * *

**— რა ვადით ინიშნება გამასწორებელი სამუშაო?**

— გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდილი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაოს ადგილზე. თუ პირს არ გააჩნია სამუშაო, მას გამასწორებელი სამუშაო, როგორც სასჯელი არ დაენიშნება და შეეფარდება სხვა სასჯელი.

* * *

**— რას ნიშნავს იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა?**

— საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იურიდიული პირისათვის უვადოდ ან ერთიდან 10 წლამდე საქმიანობის ერთიან რამდენიმე სახის აკრძალვას.

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება გავრცელდეს საქმიანობაზე, რომლის განხორციელებისას ან რომლის განხორციელებასთან დაკავშირებით იქნა ჩადენილი დანაშაული.

* * *

**— გარდაიცვალა დედაჩემი. ერთადერთი მემკვიდრე მე ვარ. რა ვადაში უნდა მივიღო სამკვიდრო?**

— თქვენ სამკვიდრო უნდა მიიღოთ პირის გარდაცვალების მომენტიდან 6 თვის განმავლობაში. ამ ვადაში უნდა შეიტანოთ განცხადება სანოტარო ბიუროში სამკვიდროს მიღების შესახებ. თუ ამ ვადაში არ შეიტანთ განცხადებას, შემდეგ უკვე სასამართლო წესით მოხდება სამკვიდროს მიღება.

* * *

**— ჩაითვლება თუ არა მამის მემკვიდრედ ბავშვი, რომელიც რეგისტრირებული ქორწინების გარეშეა დაბადებული?**

— ჩაითვლება შემდეგი პირობით:

— რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი მამის მემკვიდრედ ჩაითვლება, თუ მამობა აღიარებულია ნებაყოფლობით ან სასამართლო წესით.

* * *

**— რას ნიშნავს სისხლის სამართლის პროცესში ახლო ნათესავი?**

— ახლო ნათესავი გახლავთ მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

* * *

**— რას ნიშნავს ბრალის წარდგენა?**

— ზოგადად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, პირს ბრალი წაეყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა.

# facebook

# xalxis azriT

უკვე ისე ვარ, მიშა რომ წავიდეს, მგონი რეაქციაც არ მექნება... და არ მგონია, არჩევნებით წავიდეს... თუ წავა, ე.ი. ამერიკამ დაუქნია ხელი და მასე არ მინდა, თუ ისევ ამერიკა დასვამს საქართველოში პრეზიდენტს... (P.S. ყველა ერი იმსახურებს ისეთ მთავრობას, როგორიც ჰყავს...)

ისევ პატარებმა თუ იმარჯვეს თორემ მონებად ქცეული ზრდასრული უმრავლესობა გინდა ყოფილა გინდა არა...

ამოცანა გვეკითხება: საიდან შოულობენ უკორუფციო თავჯდომარეები ასეთი სახლის ასაშენებელ ფულს. კუბლაშვილის ცოლისდის სახელზე, საჯარო რეესტრში ბუკიას ბაღის მიწის ფართობი სწორედ იმ წელს დარეგისტრირდა, როცა კუბლაშვილის ჯანმრთელობით შეშფოთებული ქართული საზოგადოება მის დასახმარებლად ფულს აგროვებდა.

გასაგებია რაც გვჭირს, მაგრამ მე ორი რამ მაინტერესებს: ა) რომელმა გენიოსმა ასწავლა, რომ მსოფლიო ზღვის მიმართულებით ვითარდება (ნახევრად სავსე ტბას რომ ხსნიდა, მაშინაც აწვებოდა ამ აზრს), და ბ) ბევრი ვიფიქრეთო რომ ამბობს, იმ "თ"-ში მის გარდა კიდევ რომელი გენიოსი იგულისხმება - ვინც ასწავლა, რომ მსოფლიო ზღვის მიმართულებით ვითარდება, თუ ვინმე სხვა. მაგ ლოგიკით გამოდის, რომ ავსტრია და შვეიცარია აღარ ვითარდება, რადგან ზღვა არ აქვთ? ვინმე დალოცვილმა გეოპოლიტიკის ნებისმიერი, ყველაზე უხეირო სახელმძღვანელოს შესავალი მაინც ამოუკონსპექტოს))))

აღმაშენებლის შემდეგ ასეთი აღმშენებლობა გლდანში არ ყოფილაო!.. მოდი ახლა და შეედავე აბა :)))

მიშამ ახალი ქალაქი "ლაზიკა" უნდა ავაშენოთო 500 000 მაცხოვრებლით... სულ გაგიჟდა((( და ეგ ნახევარი მილიონი ადამიანი ძალად უნდა ჩაასახლოს მანდ?:) ეგ ქალაქია თუ რეზერვაცია?:))

ეკუთვნის ამ კაცს ძეგლი, ერთ ხელში ანაკლიის მაკეტს დავაჭერინებთ, მეორეში დენზე მიბმული ნაგვის ქვითარს მაგრამ, ტანზე რა ჩავაცვათ, ვარდისფერი პერანგი და მწვანე შარვალი?

რა თანასწორობაზე შეიძლება საუბარი, როდესაც ნაცები ყველაფერს პროპაგანდისთვის იყენებენ და ამ კაცს კიდევ, რომლის მეოხებით იმდენი შენობა–ნაგებობა გარემონტდა საქათველოში, ერთი დღით სპორტის სასახლე არ დაუთმეს და ფილარმონიაც დაამადლეს...

ბიძინა ივანიშვილის მრჩევლებს!!!! :) წადით ბაბა სახლში. დაანებეთ თავი იმ საქმეს რაც არ გესმით. შეიძლება იმ კაცს ერიდება ამის თქმა და მიხვდით ეხლა თქვენით...

ასე თქმაც შეიძლება: მიშა ჩვენი მეფე კი არ არის, არამედ დედოფალია, რადგან სწორედ მან აასრულა პოეტის წინასწარმეტყველება: შენს ერთ სიტყვაზე ქალქები აშენდებოდა

ნიუ ლაზიკაში საპლანეტათშორისო საჭადრაკო ტურნირი უკვე დაგეგმილია, თუ ჯერ როგორც პროექტი განიხილება?:)ყივჩაღების ჩამოსახლებას აპირებს თუ 10 წელიწადში დაყოფის წესით აპირებს ჩვენს გამრავლებას? : ქალაქის დაარსებისთვის ლეგენდაა საჭირო. იქნებ წაენადირებინა ჯერ მიშას მაგ მიდამოებში? ))

შენ გვიშველე, გოსპოძი, თუ ველარ გვიშველის?– გოსპოდიმ ერთხელ უკვე გვითხრა ქართველებს ხელი გაანძრიეთ და გეშველებათო,სამწუხაროდ. ტვინიც გაანძრიეთო აღარ უთქვამს, იფიქრა ეს ხომ თავისთავად იგულისხმებაო... ჩვენ კიდევ სხვანაირად გავიგეთ ეს "ხელის განძრევა" და მას შემდეგ დღე და ღამე ... ეჰ... :))

ჭირდება უკვე ამ ქვეყანას ერთი დიდი ღობე წარწერით: ფსიქიატრიული რესპუბლიკა.




Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

ბანქი ქართუ
CARTU BANK

**სათავო ოფისი**
ჭავჭავაძის გამზ. №39ა
0162, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
(+995 95) 92 55 92
ფაქსი: (+995 32) 291 22 79
ელ.ფოსტა: info@cartubank.ge

**ვაკის სერვისცენტრი**
ი. აბაშიძის ქ. №24
0179, თბილისი
ტელ.: (+995 32) 225 06 14/15
ფაქსი: (+995 32) 225 06 15
ელ.ფოსტა: vake@cartubank.ge

**საბურთალოს სერვისცენტრი**
პეკინის ქ. №14ბ
0171, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+995 32) 292 55 93
ელ.ფოსტა: saburtalo@cartubank.ge

**მთაწმინდის ფილიალი**
ვეკუას ქ. №1, 0105, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
ფაქსი: (+995 32) 292 19 38
ელ.ფოსტა:
mtatsminda@cartubank.ge

**ისნის სერვისცენტრი**
ქეთევან დედოფლის ქ. №50
0198, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+ 995 32) 224 11 34
ელ.ფოსტა: lilo@cartubank.ge

**ქუთაისის ფილიალი**
ფალიაშვილის ქ. №4
4600, ქუთაისი
ტელ.: (+995 431) 25 65 65
ფაქსი: (+995 431) 25 65 60
ელ.ფოსტა: kutaisi@cartubank.ge

**ბათუმის ფილიალი**
გრიბოედოვის ქ. №2
6000, ბათუმი
ტელ.: (+995 422) 27 59 00
ფაქსი: (+995 422) 27 65 04
ელ.ფოსტა: batumi@cartubank.ge

**გორის სერვისცენტრი**
სტალინის გამზ. №10/14
1400, გორი
ტელ.: (995 470) 27 76 71
ფაქსი: (995 470) 27 76 71
ელ.ფოსტა: gori@cartubank.ge

**თელავის სერვისცენტრი**
ჭავჭავაძის მოედანი
0022, თელავი
ტელ.: (995 450) 27 09 00
ფაქსი: (995 450) 27 09 01
ელ.ფოსტა: telavi@cartubank.ge





## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – თქვენს ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებებია მოსალოდნელი. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. შეგიძლიათ თავს დასვენების უფლებაც მისცეთ.

**კურო** – ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ, რადგან კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა იზრდება. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში.

**ტყუპები** – პირად ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებები გელით. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. შესაძლოა, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

**კირჩხიბი** – ეს პერიოდი დასვენებას დაუთმეთ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.

**ლომი** – ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან ურთიერთობისას. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.

**ქალწული** – გელით რომანტიკული თავგადასავლები. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახურ გარემოში გაატარეთ. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ.

**სასწორი** – თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა – იღბალი თქვენს მხარესაა, გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა საუკეთესო პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ.

**მორიელი** – ამ პერიოდში აქცენტი პირად ცხოვრებაზე გააკეთეთ. შეგიძლიათ თამამი გადაწყვეტილებებიც მიიღოთ. ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.

**მშვილდოსანი** – წარმატებული დღეები გრძელდება. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

**თხის რქა** – ფინანსურ ოპერაციებში წარმატებები გელით, რასაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. ერიდეთ იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.

**მერწყული** – წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა დაგეგმილი საქმეები განახორციელოთ.

**თევზები** – ამ პერიოდში მნიშვნელოვანი არაფერი გელით. იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დასვენებას დაუთმეთ.